ოდ

ლიტერატურული ჟურნალი

№ 6 (59)

2022

თვით, –
დიადზეც –
უდიადესი...

ვინ ვგავართ
არსით –
დღეს, თუ,
ღამეს?..
ვარდს, თუ,
იელსო?..
ვინა ვართ:
მზეი?..
მზის სხივი, თუ,
ბუნდი – ჰადესის?..
არც – ტახტზე იჯდა,
არც – მართავდა:
მილეთს
იესო,
მაგრამ...
ის იყო –
თვით, –
დიადზეც –
უდიადესი...

ფარნა რაინა

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი
რედაქტორები
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი
მხატვრული რედაქტორი
სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www. nplg. gov. ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი),** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.

№6,(59), 2022

დეკემბერი

გამოდის სამ თვეში ერთხელ

„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

2. ფარნა რაინა. ლექსები

15. ვანო ჩხიკვაძე. გვირაბი. რომანი

36. რაჟდენ მექვევრიშვილი. ლექსები

37. ლანა მანველი. სად არის ბედნიერება. რომანი

46. აკაკი ბიძინაშვილი. ლექსი

47. ხათუნა გოზალიშვილი. ჯიბო. მოთხრობა

50. ვაჟა გიგაური. ლექსები

საბავშვო საკითხავი

52. ნუნუ ძამუკაშვილი. საბავშვო ლექსები

კრიტიკა

54. როინ ჭიკაძე. მარტოსულნი

წერილები

57. ციური ბერიძე. მკვლევარი გიორგი ნადირაძე და ნიკო სულხანიშვილი – გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი და ლოტბარი

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“

ფარნა რაინა

ეპიგრამა

უმისოდ, ღამეს
ვერ შევწვლით –
დღედა,
უმისოდ, მინყივ,
შვებას
ნუ ველით,
სამშობლო არის:
მშობელი,
დედა, –
მარად –
ერთი და...
მარად –
უწვლელი...

ფ. რაინა

კატრენები

(ტრილოგიის ახალი ციკლი)

დაიღალა – საქართველო!!!..

ნუთუ,
ნუთუ, –
სიყვარული
აღარ რთველობს?!..
და... წლებს,
ნუთუ,
ისევ მოვკლავთ –
დავით... ხვალაც?!..
დაიღალა, ჯვარცმით,
ხატი, –
საქართველო!!!..
დაიღალა!!!..
დაიღალა!!!..
დაიღალა!!!..

18. 11. 2022

სად არის?!..

(ჰიპერმეტრია)

მზე – სიყვარულისა
და... უფლის სადარი,
სად არის?!..
ნეტავ,
ნეტავ,
კვლავ, გაგვამთელოს...
სად არის – სიმართლე?!..
ერთობა სად არის?!..
სად არის – სინდისი?!..
სად არის – საქართველო?!..

12. 11. 2022

ნეტავი, როდის?!..

გონებაც,
გულიც
ვით იყოს:
ჩუმად?! —
მიწაზე სისხლი
და... ცრემლი
რო დის?!..
„კაგდა ესტ –
სილა,
ნე ნადა –
უმა“,
დასამარდება –
ნეტავი,
როდის?!..

9. 6. 2022

ვედრება...

ეს, – ვედრებაა:
შროშის... შრომის...
შილდის... შინდისის, –
ამას გვთხოვს:
გენი, –
გულმდუღარი,
ფიქრით გართული,
არ-რით გავყიდოთ:
გონი... გული...
სული... სინდისი...
არ-რით გავყიდოთ:
ერთი გოჯიც, –
მიწა, – ქართული...

2. 11. 2022

რა ქნას – ხალხმა?!..

ცა-მიწა შეძრა –
უკრაინის ხალხის
ვალალმა,
ხან, ჭკვიანს,
გიჟი,
ზესიგიჟის –
გამო, ერევა...
მეფე, თუ, გიჟობს,
რა ქნას ხალხმა, –
რუსმა,
ალალმა?!..
გონებასუსტი –
თევდორე, თუ,
გამოერევა?!..

28. 09. 2022

ასე მგონია...

გულშეძრული და...
სულშეძრული
შევყვები ფიქრებს, –
სუყველა –
თავის ხედვას ხატავს, –
ბრძენიც და...
ყბედიც...
ასე მგონია,
ასე ვფიქრობ,
ასეა, იქნებ?!..
უკრაინაში წყდება, –
ახლა,
მსოფლიოს –
ბედი?!..

29. 10. 2022



ფარნა რაინა

ბედნიერებაც, სიყვარულიც რა არის? – იცით?..

სიბრძნე და აზრი,
რომ გვეძლევა:
ვის – მიწით,
ვის – ცით,
დასაბამიდან, –
გვამაღლებდა,
გვამაღლებს, –
ახლაც...
ბედნიერებაც,
სიყვარულიც
რა არის? —
იცით?..
სიკეთისათვის დახარჯული –
სიცოცხლე
გახლავთ...

7. 10. 2022

ომახიანი მიყვარს – სიყოყხლე...

ყველა სიკეთე
სიბრძნის
მზით ვლოცე,
მიზანიც, –
ასჯერ,
ასი დარული,
ომახიანი მიყვარს –
სიცოცხლე,
სიტყვაც,
სიმღერაც
და... სიყვარულიც...

01. 09. 2022

იმედი...

იმედს
გარს ვივლებ,
ქარგად,
იმედი მაძლევს –
ხალისს,
იმედს, აროდეს –
ვკარგავ,
იმედით ვცოცხლობ, –
ხვალის....

02. 10. 2022

მზეკალმოსანი...

სიცოცხლე:
ზოგჯერ –
ზეიმია,
ზოგჯერ –
ვალალი...
მწამს ზენაარით –
თუ, რამე მწამს,
უმზესი, –
ერთი:
მზეკალმოსანი, –
ჭეშმარიტი,
წრფელი,
ალალი,
მოციქულია –
ამ, ცა – მზის ქვეშ,
დიადი
ღმერთის...

16. 09. 2020

ისევ და... ისევ, და... ისევ – მწერალი...

ჩვენ, –
მზესიტყვაში
ვპოვეთ სიბრძნის
საუფლო –
ვალი,
უმისოდ რა ვართ? —
არარაი
და... დროის
მტვერი...
მწერალი როა –
ერის გული
და... ერის –
თვალი,
სწორედ, –
მას ებრძვის:
უმზაკვრესი,
ცბიერი –
მტერი...

25. 09. 2022

დიდი ღალატი*...

ნააზრევს ბრძენთა
დრონი თვლიან –
სიბრძნის
ღალადო,
მაგრამ... რამდენმა,
გადაიცვა –
გიჟის ხალათი?!..
სიბრძნეს, –
მწერლობის,
ვინაც ებრძვის,
ვინაც –
ღალატობს,
არის:
ერის და...
ქვეყნის,
ხალხის –
დიდი ღალატი..

25. 08. 2020

ქვეყანამ წაღმა იაროს – როგორ?!..

მზე ღამეს –
სახეს სხივებით
უცვლის,
მზეს ჰგავს
პოეტის –
მართალი
ლოგოც...
სიმართლეს, როცა,
ფასი აქვს –
ცურცლის,
ქვეყანამ
წაღმა იაროს –
როგორ?!..

11. 12. 2011

---

* გასულ საუკუნეებში – ალექსანდრე პუშკინი მოკლეს, მიხეილ ლერმონტოვი მოკლეს, ილია ჭავჭავაძე მოკლეს, გარსია ლორკა მოკლეს, პაბლო ნერუდა მოკლეს, ხოსე რიზალი მოკლეს, – ფიზიკურად მოკლეს... XXI საუკუნეში კი მწერლებს, ზოგან, ცოცხლად კლავენ... რა ხდება?!..

ბედნიერება

გულის მზეს –
გულზე,
თუ, ვინმე,
მაშლის,
მე, იმ, სიცოცხლის –
წამებსაც
ვლოცავ...
ვარ ბედნიერი –
უფრორე,
მაშინ,
მზეობა ძალმიძს –
სხვებისთვის,
როცა...

15. 11. 2022

რაა სიყოყხლე?!..

საქმით,
დარდით, თუ –
ტრფიალით ხვითქვა?!..
ვისთვის –
ვარდი და...
ვისთვის კი –
ღოლო?!..
რაა სიცოცხლე? —
რამდენჯერ მითქვამს, –
ერთი,
პატარა სიზმარი, –
მხოლოდ...

30. 10. 2022

რა, უსხივესი – მზეგული გშვენის...

ნათელა დეკანოზიშვილს

რა, უსხივესი –
მზეგული გშვენის,
მაგ სხივით –
სევდას
და... ტკივილს
მიქრობ...
გადაივიწყე –
თავიც კი, – შენი...
ყოველ წამს –
მხოლოდ,
ჩემზე, რომ
ფიქრობ...

23. 11. 2022

რატომ?!..
ათასჯერ,
რატომ?!..

ისევ, – სიავის –
ეშმაკის და...
სატანის
ზნეს ვდევთ,
განა,
მზის ღმერთის?! –
ისევ, –
ღამის ვირჩევთ
იერსო?!..
რატომ შემოგვრჩა:
ბოროტების სურვილი, –
დღემდე?!..
განა იუდას?!
ჯვარზე, ისევ,
ვაცვამთ –
იესოს?!..

21. 01. 2022

ძნელია, – უფრო...

რამდენი –
სიბრძნეს აღარ ეძებს –
იოტს, – გენიდან,
წუთისოფელიც –
მზაკვრობით და
სიავით
სუფრობს...
სანთლით ეძებდა
ადამიანს –
დიოგენე და...
ძნელია, ახლა,
მისი პოვნა –
მიწაზე, –
უფრო...

01. 11. 2022

სიყვარული...

მზესული –
ვერ-რით,
ვერასოდეს,
ვერავინ
შერყვნას,
მზეგული –
ვერ-რით,
ვერასოდეს,
ვერავინ
ბოლოს...
თუკი, რამ, არის –
დასაბამით,
დიადი, –
ქვეყნად,
სიყვარულია:
არსიც, მისი –
თავიც და...
ბოლოც...

25. 10. 2022

ჩემი საზრისი...

სიკეთე – მზეა...
და... ნათდება
სამყაროს
ცა მით,
მაინც ტრიალებს
ამ – ცა – მზის ქვეშ,
ბოროტი –
ვნება...
ფიქრიც რომ წამცდეს
ბოროტული, –
თუნდ, ერთი –
წამით,
მე, თავს არ მივცემ –
წამითაც კი,
სიცოცხლის
ნებას...

21. 10. 2022

კრიტიკა...

სიცოცხლე
თუ, გვსურს:
სიმართლით და...
აზრის –
მშვენებით,
ცხოვრება, მაშინ,
სიყვარულის სიბრძნით
ივსება...
კრიტიკა, როცა –
წამალია:
წინსვლის,
შენების,
მუდამ იგრძნობა:
სულის,
გულის –
მზეც და...
ღირსებაც...

01. 10. 2022

არჩევანი...

ჩვენ შევხვდით
სულის სიდიადით,
ვითარცა –
მთა მთას,
სიბრძნის მშვენებით
უმჯობესნი მიწაზე, –
მშვენთა...
სხვასთან სიცოცხლეს
მირჩევნია –
წლებს... დღეებს, –
ათასს,
ერთი წუთით და...
წამითაც კი,
სიცოცხლე –
შენთან...

23. 10. 2022

ნაღდი ქართველი...

რაც უნდა ვხატო,
არაა – სრული, –
ნაღდი ქართველის
დახატვა მიჭირს...
ელვარე – გული,
ელვარე – სული
და... სიყვარულის –
ელვარე ნიჭი...

16. 10. 2022

ძნელზე ძნელია...

ამპარტავნებით,
ქედმაღლობით,
რამდენი –
ირყვნა?!..
ბღენძთა და რეტთა –
სკამით თრობით,
რამდენი –
ვივნეთ?!..
ძნელზე ძნელია, –
უძნელესიც,
სირეგვნე –
ბრიყვთა,
ავადმყოფობა ზეობისა
სჭირს, როცა –
ვინმეს...

4. 10. 2022

მეგობარი

წუხს, –
ორგულობით,
ერიც და...
ბერიც...
მზის ქვეშ,
რამდენი ტრიალებს –
ცოდვა?!..
მყავს მეგობარი, –
ძალიან,
ბევრი,
მაგრამ... ერთგული –
ძალიან,
ცოტა...

05. 10. 2022

ნუთუ?!..

გონს გადაეკრა –
ნუთუ, ფულის:
ნისლი და...
ბინდი?!..
ნუთუ, ჩაგვიტყდა
აზროვნების –
ხიდიც და...
ბონდიც?!..
ნუთუ, –
სიკეთე,
სიყვარული
და... სიბრძნე
მიდის?!..
ნუთუ, –
ღორული სიცოცხლე და
ცხოვრება –
მოდის?!..
ნუთუ?!..

27. 09. 2022

ხან...

განცდას ვიყენებ,
როცა –
მე, ტივად,
ვუვლი ოცნების
მინდვრებს...
ხან, –
სიყვარული,
ჩუმი,
მეტია,
გაცხადებული –
ვიდრე..

03. 11. 2022

აი, –
მზეობა ჩვენი –
ის არი...

აი, –
მზეობა, ჩვენი –
ის არი:
ცას არ ვუყურეთ
შავი –
სათვალით...
გულს, რომ
არ მოხვდეს
ღამის –
ისარი,
სინდისთან
უნდა ვიყოთ –
მართალი...

26. 09. 2022

საოცარია...

ზოგს –
ვარდი მოსწონსო,
ზოგს –
ვარდის პატრონი,
რა საოცარია:
ყოფნაც და
ცხოვრებაც...
ხან, ხდება –
ათასშიც,
ვართ –
მაინც, მარტონი,
ვის ელის –
კრულვა და...
ვის ელის –
ცხონება?!..

29. 09. 2022

საქართველო...

(სურათი)

ფიქრის ცეცხლი და...
ვულკანი –
მახლავს,
დარდის მივიმკი –
სამრიგად,
სამ სვეს...
საქართველოა ობოლი, –
ახლა,
მორიელებით,
გველებით –
სავსე...

15. 09. 2022

შევმტკიცდეთ, – ერთად!!!..

დღეს,
პარტიობის თამაშია –
უაზრო,
ფუჭი,
აზრი:
„დივიდე ეტ იმპერა“, –
მიზანი – მტერთა,
ქვეყანა, როცა –
ბეწვზე გადის
და... ეგზომ,
უჭირს,
ყველა ქართველი,
ვითარ, ერთი,
შევმტკიცდეთ, –
ერთად!!!..

18. 09. 2022

უარესია სიკვდილზე, – უფრო...

მზედ ვლოცავ,
ვინაც –
ღირსებით
უფლობს,
თუ, რამეს ვლოცავ,
ღირსებას –
ვლოცავ...
უარესია სიკვდილზე, –
უფრო,
ღირსებას, როსმე,
კარგავენ, –
როცა...

14. 09. 2022

როდემდე – ვთვალო?!..

მილეთს სძრავს
ჩემში დარდის –
კივილი,
ზესიყვარულის
განცდავ და...
თვალო?!..
ფიქრის ტკივილი,
სულის ტკივილი,
გულის ტკივილი
როდემდე –
ვთვალო?!..

19. 09. 2022

ვიცი

მარისხებს ბევრის –
მეობა და...
ბუნება –
მგლური,
დრო გასცემს პასუხს –
ყველა, უძღებ:
სახელთაც,
გვართაც...
ბევრი სიკეთე
დამითმია, –
მზით სავსე
გულით,
კვლავ, დავთმობ, –
ვიცი,
ღირსების და...
სინდისის
გარდა...

17. 09. 2022

თუ, გნებავთ, ვკითხოთ – ათასჯერ ათასს..

მე, რასაც ვამბობ,
გამოვხატავ –
სიმართლის
სურვილს...
თუ, გნებავთ,
ვკითხოთ:
ათს,
ასსა და...
ათასჯერ,
ათასს...
ბოღმაში,
შურში იხარშება –
დაბალი
სულის...
დიადი ლოცავს:
სიდიადეს,
მზეობას, –
სხვათა...

15. 11. 2022

მითქვამს ასჯერ და... ვიტყვი – ათასჯერ...

შევძრავ მიწას და...
შევძრავ –
ცათა ჭერს,
სადა აქვს:
სრული სული,
სად – ტანი?!..
მითქვამს ასჯერ და...
ვიტყვი –
ათასჯერ, –
მეგზურად იქცა
ფული, –
სატანის...

14. 11. 2022

რატომ?!..

ველარ მივედით –
სიყვარულის,
სიბრძნის ბაღამდე,
განცდის ზამთარში –
თოვლი ველარ
დადნა იანვრის...
გულდამწვარი და...
სულშეძრული –
მოვთქვამ... ვღაღადებ, –
ადამიანში
რატომ ქრება –
ადამიანი?!..

13. 11. 2022

მწამს...

რაიც, რამ, ხდება, –
დასაბამით,
და... ვის, რა –
უკვირს?!..
მონაა ზოგი, –
დროისა და...
ეპოქის ქართა...
მე მწამს, –
ყველაფერს ეშველება,
სიბრძნე გვაქვს, –
თუკი,
არაფერია უსაშველო, –
სიკვდილის გარდა...

12. 11. 2022

ღმერთმა უმრავლოს...

სახელოვან დასტაქარს –
ვახტანგ ქაცარავას

რწმენით,
იმედით...
და... მზით –
ვივსებით,
სულით, გულით და...
საქმით –
მკურნალო...
შენებრ: ღვთიური, –
მადლით,
ღირსებით,
ჩვენს საქართველოს
ღმერთმა –
უმრავლოს...

11. 06. 2022

შეგონება...

ტაცებით... ხვეჭით...
მტრობით...
სული, ვინც –
ჯვარზე
ვაცვით,
სიავით... შურით
აღზევების
ჟინით, ვინც
ვიწვით,
სიქველის განცდას
კარგავს, ვინაც –
ქალი, თუ,
კაცი,
მზეს –
სიყვარულის,
ვერვინ ნახავს:
ცითა და...
მიწით...

16. 11. 2022

დედაქართული – სასწაულია...

ფესვს,
უკვდავების,
არა აქვს –
ბოლო,
მზის ხელი,
განა,
წამს წაუვლია?!..
სუყველა კილო –
სხივია,
ხოლო,
დედაქართული –
სასწაულია...

08. 11. 2022

როგორ მინდა...

როგორ მინდა –
ჩემი ხმა,
მთელ პლანეტას
მოვფინო,
სიკვდილსაც, ხომ,
ჩვენ ვცემდით:
ბნედასა და...
შიშის ზარს...
როგორ მინდა
გაიგოს:
სამყარომ და
მსოფლიომ, –
რომ... ჩვენა ვართ:
დავითის
და... ილიას –
ჯიშისა...

5. 11. 2022

არ არსებობს ძვირფასი, – უფრო...

ცხოვრება, ვისთვის –
ზეიმია,
ვისთვის კი –
ქუფრობს, –
კარგის და ავის
ომი არის...
და... ქროლა –
ქართა...
მე, თუ, მკითხავენ,
არ არსებობს –
ძვირფასი, –
უფრო,
უფლის,
სიმართლის,
სიყვარულის,
სინდისის
გარდა...

04. 11. 2022

ზოგზე, იტყვიან...

ცხოვრების –
ბევრი,
ფარდა იცვალა, –
მკვიდრთა:
ქოხთან, თუ –
კოშკთა,
სრასახლთა,
ზოგზე, იტყვიან:
გარდაიცვალა,
ხოლო,
ზოგზე კი –
ჩაკვდა,
ჩაძაღლდა...

02. 11. 2022

ვფიცავ!..

ამას ჩავძახი –
ქვებს და...
ლოდებსაც, –
მზეს,
მიწასა და...
სიცოცხლეს
ვფიცავ,
მე, ჩემს,
ღირსებას ვიცავ,
როდესაც, –
მწამს –
საქართველოს ღირსებას
ვიცავ...

01. 11. 2022

უსიყვარულოდ...

მზეობს მარადის
სიკეთის
ცა, – მით,
კაეშნის ყინვამ
რაისთვის
ფიფქოს?!..
უსიყვარულოდ,
თუნდ, ერთი –
წამი,
აზრს კარგავს –
ყოფნის, –
სიცოცხლე,
თითქოს...

16. 11. 2022

სანამ?!..

ხალხური მოტივით

სანამ – გველობა?!..
შტერობა?!..
გზა –
უცხო,
უნდო,
მტვრიანი?!..
„ცუდას რად უნდა –
მტერობა,
კარგია, მუდამ,
მტრიანი“...

10. 09. 2022

როგორ გაუძლებს?!..

ვინ, რა ისმინა –
უბრძნესთა რჩევის?! —
სად ნახავთ გვემას, –
სხვაგან,
რაც აქ არს?!..
სანამ გაუძლებს
მამული ჩემი:
ამდენ –
ყაჩაღს და...
ამდენ –
ნაკაცარს?!..

07. 11. 2022

ჩემი ცრემლი*...

მამულის მიწას
საკუთარი სისხლი
უღვარეს,
საუკუნეებს
ტკივილით და...
ჯავრით გავცდებით,
ეს, –
ჩემი ცრემლი,
განა ცრემლი? –
ცეცხლი, –
მდუღარე,
დიდებას,
ხსოვნას –
უსაფლავო
ჯარისკაცების...

02. 09. 2022

ჭეშმარიტება, როცა – ზეიმობს...

აზრის უკუნი
დაბლა –
ეყარა,
გონებამ, როცა –
სიბრძნის
მზე ივლო...
ბედნიერია –
ხალხიც,
ქვეყანაც,
ჭეშმარიტება, როცა –
ზეიმობს...

10. 09. 2022

მე, რომი მიყვარს...

ეს რომი –
სხვაა,
ვერ ვიტყვი
მის ყავლს,
სულ სხვაა:
მისი –
ხიბლიც და...
მინდიც, –
მე, რომი მიყვარს,
უზესად,
მიყვარს,
ყველა გზა, რადგან,
რომისკენ
მიდის...

11. 11. 2022

მე იმ გულს – ვლოცავ...

სიცოცხლე
მაშინ კარგავს –
ღირსებას,
სინდისთან, როცა –
არ ვართ
მართალი...
მე, იმ, გულს –
ვლოცავ,
მზით, რომ –
ივსება,
და... მიზანს –
სიბრძნის,
ზომავს
ცხრა თვალით...

08. 09. 2022

სანამ?!..

მამულის,
ქვეყნის
გვიქრება მრჩენი,
ვინ, აღარ გვიმტრობს –
აწიც, ნაკლებად?!..
სანამ ამღვრიონ
ქვეყანა ჩვენი –
პოლიტმეძავმა
ლაწირაკებმა?!..

01. 09. 2022

გაიგოს, – სუყველამ!!!..

ფულმა და...
ზეძალამ
სიმართლეს –
უყელა...
ჩვენ, მხოლოდ,
სინდისს და..
ღირსებას მოვნებდით...
გაიგოს,
გაიგოს,
გაიგოს, –
სუყველამ:
არა ვართ,
არა ვართ –
ჩვენ,
ფულის მონები!!!..

06. 11. 2022

დე, შეაჩვენოს...

უკუღმა, ვისაც,
აქვს:
გონიც,
ენაც, –
ჭეშმარიტება, როცა –
იურვის...
დე, შეაჩვენოს –
უფალმა,
ზენამ,
უნდო... უაზრო,
ყველა –
ჟიური...

03. 09. 2022

---

* გულმხურვალე პატრიოტების, მეორე სამამულო ომის მონაწილე, შინმოუსვლელი ჯარისკაცების – მამაჩემისა და უფროსი ძმის მარადიულ ხსოვნას..

ომი და...
მშვიდობა...

ვინ –
სიცოცხლეს და...
ვინ –
სიკვდილს ჰყვარობს,
სამოთხედ ვაქცევთ
პლანეტას –
შრომით...
მშვიდობა არის
სიცოცხლის წყარო,
სიკვდილი –
შვილი:
შუღლის და...
ომის...

05. 09. 2022

შენა ხარ –
დიდი ზეზვაის
მოდგმა

**სამაჩაბლოში 2008 წელს
გმირულად დაღუპული
გიორგი ანწუხელიძის ხსოვნას**

ქართველთ
მამულის ტრფიალი
მოგვდგამს,
თუმცა, დრო
თავის ქარცეცხლში
გვახვევს...
შენა ხარ –
დიდი ზეზვაის
მოდგმა,
შენა ხარ –
თუში ვაჟკაცის
სახე...

07. 09. 2022

ვიყო...

ყველას მოხვდება –
მზის ტყვია,
ვინც, ხვეჭამ –
გადაიყოლა...
ვიცი, რამდენზე,
იტყვიან:
„იყო... და...
არა იყო, – რა“...

10. 11. 2022

პოლიტიკა...

პოლიტიმეძავთა
პოლიტიკა
სიავეს –
გვაშლის, –
ვინაც კი, ოდენ,
მეობისთვის –
იწვის და...
იბრძვის...
ჭეშმარიტია პოლიტიკა, –
ღვთიურიც,
მაშინ,
სახეა, როცა –
ღირსების და...
სიკეთის,
სიბრძნის...

09. 11. 2022

იყოდეს უნდა...

უკვირს:
ამ ზეცას,
ამ მზეს,
ამ მთებს
და...
უკვირს ველებს –
რამდენს,
სიცოცხლის,
ყოფნის ფასი
არა აქვს –
ქაცვის...
იცოდეს უნდა:
უწინარეს
და...
უპირველეს,
თავისი თავის –
მტერი,
თვითონ,
არ იყოს, –
კაცი...

10. 06. 2022

დავიღალე!!!..

სად ხარ, ღვიძლო:
სამაჩაბლო,
ცხუმო,
გაგრა?!..
დღემდე,
ველარ ავადინეთ:
ალი, – ღამეს?!..
დავიღალე:
თქვენზე ფიქრით,
განცდით,
მაგრამ...
თქვენზე დარდით,
ასჯერ მეტად –
დავიღალე!!!..

01. 06. 2022

უშენოდ...

ზესიყვარული
უფლის
მირონს გვცხებს,
მინდა სიყვარულს
ცა მზით –
ვუმშვენოთ...
ხომ, ძნელი არის:
დავთმო –
სიცოცხლე?..
უფრო ძნელია:
ყოფნა –
უშენოდ...

30. 05. 2022

მოყიქულია
სატანის...

სულის მზე ენთოს, –
ნეტავი,
ირგვლივ,
ბედნიერების მეგზური –
ერთა...
მოციქულია
სატანის –
იგი,
მზის ქვეშ,
განძს და ფულს
თვლის, ვინაც –
ღმერთად...

13. 06. 2022

მივტირი...

ვიხსენებ –
სულის სხივით
დაქარგულს:
ფიქრს და ოცნებას –
უსაზღვროს,
ულევს...
მივტირი დღეებს –

დანთქმულს,
დაკარგულს,
მზესიყვარულით
ანთებულ
გულებს

05. 06. 2022

ღმერთი უნდა – იყო... და...

მლოცავს:
სხალთაც,
იკორთაც,
ფიქრს გვირგვინად
მიწნავს – მზე, –
ღმერთი უნდა –
იყო და...
დადიოდე –
მიწაზე...

12. 06. 2022

სჯობს...

ქაჯმაც, რომ...
ვერ თქვას:
ქაჯობო...
და... რომ...
არ გაგყვეს –
იარად,
სჯობს:
კაცს –
კაცობით
აჯობო,
არაკაცობით
კი არა?!..

10. 06. 2022

ნუთუ?!..

ხიდები დავწვათ:
ყველა –
ფლიდისი,
გული –
ცეცხლით და...
რისხვით
ივსება...
ფულში იცვლება –
ნუთუ,
სინდისი?!..
ფულმა დაშრიტა –
ნუთუ,
ღირსება?!..

11. 06. 2022

როდემდე?!..

როდემდე – მიწა:
სისხლით
ნამული?!..
ასჯერ, ვქრები და...
ასჯერ –
ვენთები..
როდემდე ვაცვათ
ჯვარზე –
მამული?!..
როდემდე ვაცვათ
ჯვარზე –
ღმერთები?!..

04. 06. 2022

უბედურება, უფრო, რა არი?!..

იცოდე უნდა:
გლვიძავს, თუ –
გძინავს,
სიყვარულია
უფლის
საარი...
ხალხის სიყვარულს
დაკარგავს –
ვინაც,
უბედურება, უფრო,
რა არი?!..

03. 06. 2022

გვახსოვს...

ძველიდან, აქეთ –
თემისტოკლედან,*
იმღვრევა ფიქრი,
ვითარცა –
ვერე...
გვახსოვს, რამდენი,
თვითონ, მოკლეს და...
დიდი პატივით
დაკრძალეს, –
მერე...

02. 06. 2022

სიყვარული...

წლებთან,
ბევრი, რამ,
გაქრება და...
უკვალოდ,
ინთქმის...
მზესიყვარულზე
უუმზესი,
სად,
ვინ, რა,
პოვეს?!..
მზის ქვეშ,
მიწაზე,
სიყვარულად,
თუკი, რამ –
ითქმის,
შენა ხარ:
ჩემი სიყვარულის –
„ანიც“ და...
„ჰოეც“..

08. 06. 2022

სჯობდა, – იქნება?!..

მზე იყავ, –
მზეი...
ახლა, იმ მზის –
ჩრდილი ხარ, –
ოდენ...
სიცოცხლე მტკივა
და... ტკივილი
არ-რით
მიქრება...
აღვირი ტკივილს,
ფიქრს და განცდას
ველარ – რით
მოვდე,
რომ... არ მენახე,
არ მენახე,
სჯობდა, –
იქნება?!..

05. 11. 2022

---

* (დაახლ. ძვ. წ. 525-460) ძველი ათენის მხედართმთავარი, – ენერგიული, გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწე. მან ათენი აქცია პირველხარისხოვან, საზღვაო სახელმწიფოდ. უსამართლო მტრულმა ძალებმა ათენიდან გააძევეს და... თავი სპარსეთს შეაფარა. სპარსეთის მეფემ, არტაქსერსე პირველმა დიდი ზარზეიმით მიიღო სამშობლოდან მოკვეთილი, სამმართველოდ მისცა მცირე აზიის ქალაქები: ლამფაკოსი, მიუნტი, მაგნესია და, შემდეგ, უბრძანა საბერძნეთის წინააღმდეგ, სალაშქროდ, ჯარის მეთაურობა ეკისრა. თემისტოკლემ ბრძანების შესრულებაზე უარი თქვა და თავი მოიკლა. ელინები გვიან მიხვდნენ თემისტოკლეს გამორჩეულ, გმირულ თავდადებას, დამსახურებას სამშობლოს წინაშე და... დღესაც ამაყობენ მისი საქმით და... სახელით...

რამდენჯერ, ისევ...

ცხოვრებამ –
არ – რით,
მიიკრიალა, –
რამდენჯერ,
ისევ,
ცეცხლში ვვარდებით...
და... მტერი,
ზოგჯერ,
ტყვიით კი არა,
მოდის – კოცნით და...
მოდის – ვარდებით...

07. 06. 2022

მეზიზღება...

სამყაროზე –
უფლის
მოველ ნებით,
არ ვგავარ –
ფუტუროს და...
ნარიყალს...
მეზიზღება –
ორფეხა
ცხოველები...
თავკერძა
ცხოველები
არ მიყვარს...

06. 06. 2022

გული, თავისას, არ იშლის...

ხალხური მოტივით

ფიქრო, რად,
მოხველ: ტრფიალით?! —
ამშლელო, დარდის
ქარიშხლის!..
გული, ეს
ოხერტიალი,
მაინც, თავისას
არ იშლის...

28. 10. 2022

უნდა იყოდე...

შენ მოგიზღავენ,
თვითონ, რაც აქვთ,
ყველა,
იმ ცოდვებს,
არ შეიცვლიან –
სიყვარულით,
გულს და...
იერსო...
თუკი –
ღმერთი ხარ,
უნდა –
გწამდეს,
უნდა –
იცოდე:
შენც გაგაკრავენ –
ჯვარზე,
ისე,
ვითარ –
იესოს...

20. 08. 2020

ასე მგონია...

დარდს შევეჭიდე –
ასჯერ დიდს და...
ასჯერ გოლიათს,
ჩემო ტკივილო, –
ზოგჯერ, ცხადო,
ზოგჯერ, მალულო...
ქარს გავატანე –
ჩემი წლები, –
ასე მგონია...
და... ვერ მოგხედე,
ვერ გიშველე,
ჩემო მამულო...

06. 11. 2022

ვის?!..

რომ ვართ,
როგორც –
გარიყული,
მიზნით –
ამ ხალხს,
ამ ერს ვინ კლავს?!..
ვის სურს, ჩვენთვის,
ალიყური?!..
ვის?! —
„მეგობარ“
ზიმბვამბეს?!...

10. 11. 2022

სინანული...

თქვით, შეცდომამ,
ოდით,
ვის, რა,
არგო?!..
ხდება, ზოგჯერ,
გზას, რომ ვირჩევთ –
ქვიანს?!..
ვცდებით, როცა,
რაიმეში,
კარგო,
ამ შეცდომას –
სინანული
ჰქვია...

22. 10. 2022

ხან...

მეორე ვარიანტი

დიდება, ვისიც,
ქარივით –
ქრება,
ხან, ვცდილობთ – ქარის ძეგლის
აგებას...
ზღვარგადასული,
ხან, ვიცით –
ქება,
ზღვარგადასული
ვიცით –
ძაგებაც...

24. 10. 2022

ვინ?..

ვინ –
გულით მზეა,
ვინ, არცკი –
ცვილი,
ვინ, უკუნეთით,
ვინ, მზით –
ივსების...
ვინც მოყვარეა –
ჭორის და...
ცილის,
მას, ნატამალიც
არ აქვს
ღირსების...

26. 10. 2022

ჭეშმარიტება*
თუ, არ ახლავს –
საქმეს და...
მიზანს...

რუსთაველს ვკითხოთ,
ვკითხოთ –
საადს,
ჰაფეზს და
ნიზამს, –
უსამართლობა –
ჯოჯოხეთის,
ქარსა და...
კარს ჰგავს...
ჭეშმარიტება
თუ, არ ახლავს –
საქმეს და...
მიზანს,
აზრსა და მიზანს
და... ღირსებას
მტვრად აქცევს, –
კარგავს...

28. 08. 2020

სუყველა ხატავს
საკუთარ –
სახელს...

ვინ –
მიზნით,
განცდით...
და... სურვილით,
სიცოცხლეს
იწვავს, –
სუყველა, საქმით:
ხატავს,
ძერწავს
საკუთარ
სახეს...
ვინ –
განძს აგროვებს,
ვინ კი –
გულზე დასაყრელ
მიწას...
ვინ კი –
სიყვარულს,
სიდიადეს,
სხივსა და
სახელს...

18. 08. 2020

მაოცებს...

ბიძინა ივანიშვილს**

არვის წინაშე –
ქედს სიმართლის,
წამით, რომ...
არ ხრი,
მთელი სიცოცხლე,
რომ შესწირე –
სიკეთის
სურვილს...
მაოცებს –
შენი სიყვარული:
მამულის,
ხალხის,
მაოცებს –
შენი სიდიადე, –
უმზესი
სულის...

P.S.
ჭეშმარიტება, –
მარადისი,
მწამს გაჰკვეთს –
უკვეთს...
დრო გამოგაჩენს, –
ხვალინდელი,
ყველაზე,
უკეთ...

20. 12. 2020

გაქრობა ელის...

ცხოვრება გახლავთ:
ასპარეზი
და...
შრომის ველი,
ის თავს გაიტანს,
გარჯით, ვინაც,
მზეს –
არ – რით ილევს...
მაგრამ...
ქვეყანას,
იმ ხალხს,
იმ ერს
გაქრობა ელის,
წურბელად, სადაც,
ზრდიან –
შვილებს...
და...
შვილის შვილებს...

21. 08. 2020

ღმერთმა დაგლოცოს

სულხან სულხანიშვილს, –
დიდებულ დასტაქარს და,
უფრო, დიდებულ ადამიანს...

მე, რასაც ვამბობ,
ვამბობ ხალხის –
წადილს და...
სურვილს...
და... განა,
ერთხელ?..
ვიტყვი – ათჯერ,
ვიტყვი – ასჯერაც...
ღმერთმა დაგლოცოს:

---

* „ქმნა მართლისა, სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“
რუსთაველი

„როცა, სამართლიანობა უჩინარდება, მაშინ, აღარაფერი რჩება ისეთი, რომელიც ადამიანურ ცხოვრებას ფასს დასდებდა“...
ემანუელ კანტი

„სამართლიანობა, კეთილ თვისებებს
შორის,
ყველაზე მაღალი თვისებაა“...
ციცერონი
(მარკუს ტულიუსი)

„თუ, შენ, დამალავ სიმართლეს, – ეს, იმას ნიშნავს, რომ, – უღალატე ჭეშმარიტებას“...
ჯეკ ლონდონი

** რაც საქართველო არსებობს, უფრო დიდი ქველმოქმედი არ ახსოვს ჩვენი მიწის ისტორიას და... იგი დარჩება, როგორც – სათნოების შუქურა, სიკეთის უკვდავების ძეგლი... სხვებსაც აქვს – მილიონებიცა და მილიარდებიც, მაგრამ... იქნებ, კიდევ, ვინმე დამისახელონ, ვისაც გაუღია – ოდნავი სიკეთე მაინც?.. ვფიქრობ, – ყველაზე დიდი ქართველობაც, ადამიანობაც: მამულისა და ხალხის მსახურებით, სიყვარულით, სიკეთითა და ერთგულებით გამოიხატება, არა, მხოლოდ, პირადი სარგებლობისათვის ბრძოლით... დროის სარკეში, ხომ, ყველაფერი, ნათლად ჩანს?..

მაგ, – ღვთიური –
გულით და...
სულით...
ღმერთმა გიკურთხოს:
ეგ, – მარცხენაც
და... ეგ, – მარჯვენაც...

21. 08. 2020

ტკივილით მოვთქვამ...

მისნის და
მოგვის –
ტკივილით
მოვთქვამ,
სიმართლე მზეა, –
მისნის და
მოგვის,
გთხოვ, მომიტევო
უფალო,
რომ ვთქვა:
რა
სატანური სახეა –
ზოგის?!..

31. 08. 2020

ჩემს გაოცებას – საზღვარი არ აქვს...

სულით,
სიქველით,
სიცოცხლით –
სათნო*,
ვესწრაფვოთ:
სიბრძნის –
არაგვს და
არაქსს...
დღეს –
თუ, ვინმეა:
კეთილი,
სათნო,
ჩემს გაოცებას
საზღვარი –
არ აქვს...

03. 08. 2020

* (რუსთ. 867,3, – სათი) ძვირფასი თვალი.

რა ეშველება?!..

ვიაროთ, – სანამ?! —
სიცრუის
დროშით?!..
თქვას – ერთმაც, –
ეს, თუ,
არ არის –
ასე?!..
რა ეშველება –
ქვეყანას, –
მოშლილს?!..
მაღლა –
ასროლილ,
ატყორცნილ
ფასებს?!..

P.S.
ამ, –
უფულო და...
უგულო –
დროში,
მაკულატურით:
გაძეძგილს,
სავსეს?!..**

08. 03. 2019

დიდი თამაში...

დღეს, –
კაპიტალი მიაჩნიათ
ფულის –
ჭად, რაკი,
ძალმომრეობა –
ამ სამყაროს
ქიშით
აიკლებს...
დედამიწაზე თამაშია –
დიდი, –
ჭადრაკის,
პატარა ქვეყნებს
გვიყენებენ, როგორც –
პაიკებს...

01. 09. 2020

** ,,ახლა წიგნის ბეჭდვა პრობლემა აღარ არის (?! ფ. რ.); ფული გაქვს? – შეგიძლია, ე.წ. „საპირფარეშოს ლირიკაც“ კი გამოსცე. ჩვენს „კუტრობაზე“ დღეს, ბევრს ვწუწუნებთ, მაგრამ, ღვთის მადლით, ფულიან ხალხს, საქართველოში, რა გამოლევს?! მათ შორის ბევრია „წერას ატანილებიც“, – სული რომ უკაწკაწებთ, სტამბურად აწყობილი შრიფტით იხილონ თავიანთი გვარ სახელი წიგნის ყდაზე, ჰოდა, იბეჭდება ზღვა მასალა ავტორებისა, არამცთუ – მწერლობასთან, საერთოდ, წიგნიერებასთან კავშირი რომ არ აქვთ“ თამაზ კვაჭანტირაძე, – (მეცნიერ-ინტელექტუალი. ფ.რ)

ნეტავი...

რამდენი:
ვაგლახ –
ვფაფხურობთ,
ვდაობთ, –
რამდენი:
განცდით,
უაზროდ,
ვღელავთ?!..
რად ვძულდეთ –
ერთურთს,
ძმაო და
დაო?! —
ვნატრობდეთ ერთურთს, –
ნეტავი,
ყველა...

19. 08. 2020

დავეცით – რამდე?!..

ვიყავით – რანი?!..
დავეცით – რამდე?!..
გზას ვუთმობთ:
მხვეჭელ,
ცანცარ-ბრექიებს?!..
დღეს, –
პარლამენტშიც,
იხილავთ, რამდენს –
წურბელებსა და...
ნაცარქექიებს?!..

12. 08. 2020

უპირველეს... და... უწინარეს...

ვხედავ, როდესაც,
თაღლითებმა –
გზა, უწინ, არეს,
თუკი, რამ, მიწვავს –
უგნურების
ბნედა მიწვავს მზეს...
ვასწავლით, თუკი, –
ვინმეს,
რამეს...
და... უწინარეს,
უნდა ვასწავლოთ:
სიკეთის მზე,
დედამიწაზე...

10. 01. 2022

ვფიქრავ...

მადლს ვფიცავ:
მზის და...
ამ, – ცა – მიწის,
მთა – ველის,
ამ, ზვრის,
კორდილიერებს, –
გადაჭიმულს,
ასევე –
ანდებს...
მოსვლას და...
წასვლას, –
ზოგის,
ქვეყნად,
არა აქვს –
აზრი,
თუ, ცოცხალია,
მზით, –
სიკეთის,
ხომ, უნდა –
ჩანდეს?!..

17. 08. 2020

ღირსება...

დასაბამიდან, –
ბედის ვარსკვლავს –
ღირსებით
ვდიოთ,
საწუთრო, თუმცა,
ცილით,
ქიშპით,
რამდენჯერ,
მარტობს?!..
ღირსეულს შექმნის, –
ვერასოდეს,
უღირსი, –
იოტს...
ღირსება არის –
შემოქმედი დიადის, –
მარტო...

12. 09. 2020

ღმერთო...

ველარ გასრულდა, –
ღმერთო, გულში,
ცეცხლი და...
ალხი,
ველარ დამიდგა:
სიმშვიდის და...
სიკეთის –
რთველი...
ჩემი – მამულის
ჩემი – ქვეყნის
და...
ჩემი – ხალხის
ფიქრის და
დარდის
ჯვარზე ვაცვი
სიცოცხლე, –
მთელი...

12. 09. 2020

გულიდან, გულზე, მზის გავდოთ – ბონდი...

გულიდან,
გულზე,
მზის გავდოთ –
ბონდი, –
უსიყვარულოდ,
წამიც კი –
ქუფრობს...
თუ, ჰკლავს რაიმე –
სიცოცხლეს, –
ოდით,
ბოროტება და...
ბოღმა ჰკლავს, –
უფრო...

14. 09. 2022

სიყვარული გადაგვარჩენს, – მხოლოდ*...

სიყვარულით –
გულის ცრემლიც
შრება,
სიკვდილია –
შუღლიც
მტრობაც,
ხოლო, –
სიყვარული –
სიცოცხლეა,
შვება...
სიყვარული
გადაგვარჩენს, –
მხოლოდ...

12. 04. 2020

უნდა – დადნე და... უნდა – დაინვა!!!..

მუხა**, რომ არის –
ნამეხარი, –
ოდით,
ნამუმლი,
თუ, ხარ –
ქართველი,
მასთან იყავ, –
გულით,
წამი – წამ...
სიყვარულისთვის,
სიკეთისთვის,
ხალხის,
მამულის,
უნდა – სუნთქავდე!..
უნდა – დადნე!!..
უნდა დაინვა!!!..

27. 08. 2020

თავისუფლებაც?!.. დემოკრატიაც?!..

სადღაა სიბრძნე, –
მზემონთებული?!..
სხვათა ნააზრევს
ვრჩეობთ – ქარტიას...
ქართულ სულს ებრძვის
შემოგდებული –
თავისუფლებაც?!..
დემოკრატიაც?!..

15. 10. 2022

გემუდარები, – გაჩერდი წამო!..

მიგვიხმობს, სანამ,
სოფელი ზესთა,
სიყვარულს, სანამ,
სიცოცხლედ ვწამობ,
როცა ვარ –
გულის
ელვარე მზესთან;
გემუდარები, –
გაჩერდი, წამო!..

10. 08. 2018

---

*1964 წელს ამერიკის საპრეზიდენტო-საარჩევნო კამპანიისას, პრეზიდენტობის კანდიდატის რეკლამა გახლდათ პოლიტიკური პროპაგანდის შედეგი: „გვირილა“, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ლინდონ ჯონსონს. „გვირილის“ ტექსტი, დღესაც, არ კარგავს აქტუალობას: „ჩვენ უნდა შევქმნათ სამყარო, რომელშიც ყველა ღვთის შვილი იცოცხლებს, ან, გაუჩინარდება უკუნეთში. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, თუ, არადა, მოვკვდებით“...

** ნამეხარ-ნამუმლ მუხას ქართველები საქართველოს სიმბოლოდ აღიქვამენ.

პროზა

ვანო ჩხიკვაძე

ნემსის ჩხვლეტაზე ტუჩის კიდე შეუტოკდება.

ფანჯარას ზრიალი მოანყდება და ჩარჩოიანად ლამის შიგნით შემოიტანს.

რა ხდებაო, თვალებით ჰკითხავს გოგოს.

– რაკ აქამდე, ჩემო ბატონო, ერთ ამშენებელ ხელისუფალს სავარძელს აკლიან, რომ ახლა მეორე დააბრძანონ.

– უკანალის ზომა და გვარ-სახელები იცვლება მხოლოდ! – დაიჩურჩულა.

– დიახ... დიახ... მაგათი მოსვლა-წასვლის მეტი რა ვნახეთ!..

მიტინგის ამგორებელთა გნიასი და გულმოსული ექთნის კომენტარები შორიდან, ნანყვეტ-ნანყვეტ ჩაესმოდა.

ვ. ჩხიკვაძე

დასასრული. დასაწყისი იხ. „ოლე“ №2, 3, 4, 5, 2022 წ.

გვირაბი

(რომანი)

* * *

ტრენინგის დამამთავრებელ დღეს მხარის რჩეულთა „დარბაზის“ წინამძღოლის მოადგილე, დეპუტატი და მთავარი არქიტექტორი გვეწვივნენ.

მოადგილის გაზეპირებულ მიეთ-მოეთსა და თავდაჯერებულ ხმის ტემბრზე მეტად, ჩემი ყურადღება, ორი თითის კომბინაციამ მიიქცია – ადგილობრივი ხელისუფლების დესპანი, საუბრისას, სალოკ და არათითს ისე უცაცუნებდა ერთმანეთს, რომ უნებურად ამეკვიატა, ნეტავი, ქრთამს თუ შეაძლევენ, აიღებს, თუ მიმტანს კაბინეტიდან გარეთ გამოაბუნძულებს-მეთქი.

აიღებს თუ არ აიღებს... აიწონა, დაიწონა! – სააფთიაქო სასწორის პინებს ათამაშებს ახირებული ფიქრი.

ბოლოს, გადავწყვიტე, რომ აიღებს!

ან, რატომაც არა, როცა ცხოვრება დასწრებაზეა!

„მიმტანი“ ალბათ, დაინტერესებული პერსონის ან კომპანიის სანდო შუამავალი იქნება, თორემ, როგორ გაბედავს... თუმცა ამ მოძველებულ, მაგრამ გამოცდილ მეთოდს ვიღა უფრთხის — სიხარბე, სულმოკლეობა, მოუთმენლობა რომ არა, აქამდე ცნობილი „აღებ-მიცემობის“ გახმაურებული ფაქტების ნახევარზე მეტი, გაუხსნელი და გასაიდუმლოებული დარჩებოდა.

თითების ცმაცუნში არ აჰყოლია, სამაგიეროდ, ამ მხარის იერსახეზე პასუხისმგებელმა არქიტექტორმა, მოადგილის სიტყვის პათოსი და ტონი თავიდან ბოლომდე გაიზიარა.

შეხმატკბილებულ ტანდემს უმრავლესობის პოზიციიდან გადახრილმა დეპუტატმა ცოტა „აურია“: უნდა ვაღიაროთ, მართალია, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საეჭვოდ გამარჯვებულმა ორმა სამშენებლო კომპანიამ პირობა დაარღვია, პროექტები ჩაგვიგდო... მიზეზი? სატენდერო თანხები შუა გზამდეც არ მიჰყვათ, სარემონტო ობიექტები მიგვიტოვეს და ახალი სასწავლო წლისთვის ვერც სამხატვრო სკოლას გავხსნით და „მოწყალების სახლიც“ როგორ სავალალო დღეშია, აქვე, ქუჩის კუთხეში მიბრძანდით და თქვენი თვალით შეგიძლიათ ნახოთო.

— მერე და ეგ მხარის მმართველობის ბრალია? – თვალები დეპუტატის მიმართულებით გადაქაჩა პირველმა მოადგილემ.

— განა არ იცი, კანონით, ვინც უფრო ეკონომიურ ხარჯთაღრიცხვას წარმოადგენს, გამარჯვებულადაც ის ცხადდება?

— ვიცი, ბატონო ბონდო, მაგრამ, ხომ ყველანი ვგრძნობდით, რომ არარეალური იყო კომპანიების წარმოდგენილი გაანგარიშება და, საბოლოო ჯამში, გაგვაცურეს კიდეც?!

— გადამრევს ეს კაცი! – ველარ დამალა გულისწყრომა მოადგილემ, – ჰკითხეთ ამ ხალხს, – მოგვაშვირა ხელი, – ამათ მუნიციპალიტეტებში გამგეობებს თუ შეუძლიათ, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებაში ჩაერიონ და „ჩააგდონ?“

არა, ბატონო, არავითარ შემთხვევაში, აქეთ-იქიდან წამოვიდა ბატონი ბონდოს მხარდამჭერი ხმები.

უბედურებაც ეგ არის, რომ მახინჯმა სატენდერო პოლიტიკამ ბევრჯერ არ გაამართლა, მაგრამ მაინც არ ვეშვებითო, – არ ცხრებოდა დეპუტატი.

— მაგ „პოლიტიკის“ ავკარგიანობა ჩვენ დონეზე არ განიხილება... „ზემოთ“ უფრო კომპეტენტური ხალხია და, თუ საჭირო იქნება, გადახედავენ! – წარბის მკაცრი აწევით სიტყვა ჩამოართვა მოადგილემ მოპაექრეს და სადილობამდე „მონოლოგის“ სადავე ხელიდან აღარ გაუშვია.

გაყუჩებულ, იღლიებში ხელებამოწყობილ დეპუტატს ხან ერთი ტუჩის კიდეში გაუკრთებოდა დამცინავი ღიმილი, ხან – მეორეში და ამის მიხედ-

ვით ვხვდებოდი, მოადგილის თავმოსაწონებელი წარმატებების „კიბეს“ სად ჰქონდა „საფეხურები“ ჩატეხილი და სად – არა.

აბა, შეკითხვები თუ გაქვთო, კლასის მკაცრი დამრიგებელივით გადმოგვხედა სპლიყვმა.

იცოცხლე, სხვადასხვა ქალაქებიდან მობილიზებულმა „დატრენინგებულებმა“ იყოჩაღეს.

გაიწელა შეხვედრა, კედლის საათის ისარმა უკან ჩამოიტოვა სადილობის დათქმული დრო, პავლოვის ნერწყვმომდგარი ძაღლივით აყეფებული შიმშილის შემოტევას ველარ გავუძელი და სპლიყვს ვანიშნე, უნდა გავიდე-მეთქი.

ხელი კარისკენ ისე გამიქნია, ვითომ, მიდი, თავს შენ მაინც უშველეო.

მეც ვუშველე!

ჩვენი კოპწია, თეთრ ჩაჩიან-ხალათიანი სასადილოს „კოორდინატორი“ გოგო საყვედურით შემხვდა, გაცივდა კერძები, სად ხართ აქამდეო.

ეგ თქვენი „დარბაზის“ წინამძღოლის პირველ მოადგილეს ჰკითხეთ-მეთქი.

— უჰ, ღმერთის ტოლი სტუმარი გვყოლია, ეგ რომ მცოდნოდა ხმას არ ამოვიღებდიო. – ტუჩებზე მსუბუქად მიირტყა ხელისგული.

ვიდრე წვნიანს მოვათავებდი, დანარჩენებიც ჩამოლაგდნენ.

სპლიყვმა ცალკე დაჯდომა აღარ ინება, თავის თეფშებიანად ჩემს მაგიდას მოადგა.

მობილურზე დაურეკეს.

არ მიკითხავს, ვის ესაუბრა, თავისით „გამოტყდა“.

— ჩვენი პროექტის შეფი ზღვისპირეთში მიდის კონფერენციაზე და მთხოვა, მეც იქ ვეახლო, – სუფს კოვზი დაურია.

— რომელ ზღვისპირეთში – სოხუმში, გაგრაში თუ გუდაუთაში? ბიჭვინთა, ოჩამჩირე და რიწაც გადასარევია...

— სამწუხაროდ, მოლოდინი უნდა გაგიცრუოთ, ბათუმში...

— მოლოდინის გაცრუებას, კარგა ხანია, შეგვაჩვიეს.

— რა ვუყოთ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ეგეთი ყოფილა „დინების საპირისპიროდ“ მოცურავეთა ხვედრი.

— გასაგებია, მაგ სითამამისთვის მკაცრად დავისაჯეთ, მაგრამ საინტერესოა, თავის დროზე, აბორიგენმა ინდიელებმა რაღა დააშავეს, ისინიც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდნენ, მუსრი რომ გაავლეს?

– მაშინდელი გაუგებრობის გამო, სისხლიანი კოლონიზაციის ავტორების შთამომავლებმა, დიდი ხანია მოიბოდიშეს და ააშენეს ქვეყანა, სადაც დედამიწაზე ყველაზე მეტად მიაგებენ პატივს დემოკრატიას, ანუ კანონს, თანასწორობას და წესრიგს, რომლებიც თქვენთან, ჯერჯერობით, მხოლოდ ფურცელზეა გაცხადებული... ამ გოგოს გემრიელი კერძები გამოსდის, – შეაქო მზარეული.

– უკეთესი გამოუვიდოდა ნამდვილი დემოკრატიის სანელებლებზე ხელი მეტად რომ მიუწვდებოდეს.

— ოჰ, ეიჩარ, ზოგჯერ ისეთი გულუბრყვილოს შთაბეჭდილებას ტოვებთ, მგონია, ახლა გადმოხტით მზრუნველი ბებიის კალთიდან.

— შეიძლება, არ გედავებით, მაგრამ ხომ არ მომესმა? მგონი, „თქვენთანაო“, ასე ბრძანეთ, არა?

— ნამდვილად ეგრე ვთქვი! – რამ გაგაკვირვათო, აიჩეჩა მხრები.

— ჩემი არ იყოს, განა თქვენც საბჭოთა მენტალიტეტით დაბნელებულ ქართულ ოჯახში არ დაიბადეთ?

— ეგრეა!.. სად, როდის და ვისთან დავიბადოთ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არჩევანის უფლებას ღმერთი არ გვაძლევს.

— ესე იგი თქვენც, აკვანთან, იავნანას მოღუღუნე, წინდების მქსოველი, მეზღაპრე ბებიის კალთიდან გადმოხტით.

— თითქმის! – აუტყდა სიცილი, – მაგრამ, როგორც კი თვალი ავახილე და საბჭოური წუმპეს ოხშივარი ღრმად შევისუნთქე, რომელშიც დედამიწის ერთი მეექვსედი ცხოვრობდა...

— გადაწყვიტეთ ახალი ბებიის კალთა მოგეძებნათ!

— დიახ, ეიჩარ, საშუალება მომეცა თუ არა, არჩევანი თავად გავაკეთე და უფლის შეცდომა გამოვასწორე... კომშმარული ლეთარგიიდან გამოსვლას დრო სჭირდება, ჯოჯოხეთური უღლის მიერ კისერზე გაჩენილი წყლულების მოშუშება, ნამდვილ, ადამიანურ ღირებულებებთან შეგუება ადვილი არ არის!

— გეთანხმებით, დასანგრევი უნდა დანგრეულიყო (თუმცა ვერ მოვახერხეთ, ამ პროცესისთვის შორიდან გვეყურებინა, დინების საწინააღმდეგოდ არ მოგვესვა მკლავი და ნანგრევებში არ მოვყოლოდით), მაგრამ პირველმა ეიფორიამ გაიარა, რკინის ფარდის იქითაც მივიხედ-მოვიხედეთ და საზოგადოების ნაწილში მორიგი იმედგაცრუების, ეჭვების ნამწვის სუნი დადგა, ახალი უღელი, ძველზე უარესი ხომ არ იქნებაო!

— რა სისულელეა!.. კარგად იცით, ეგ კატეგორია მსგავსი გამოხდომებით, კუდს ვისაც უქიცინებს.

— გულწრფელად მინდა დაეჭვებულები ცდებოდნენ და ჩვენმა ცხვარმა ტყუპი ბატკანი მოიგოს!

— მოიგებს! აი ნახავთ, თუ არა! – თეფშის კიდეზე ჩანგალი დააკაკუნა.

— და, ქართველი ბებია კვლავაც თავის კალთაში მოჩიტავს შვილიშვილებს?

— რა თქმა უნდა!

— მაგრამ, ოცდათერთმეტ წლამდე, თქვენგან წაქეზებულმა, კარიერისთვის მებრძოლმა ქალიშვილმა, საბოლოო ჯამში, არჩევანით იმედგაცრუებულმა ან მიზანს მიღწეულმა, შეიძლება შვილების გასაჩენად დედობრივი მოვალეობის შეს-

ასრულებლად კიდევ ივარგოს ან საერთოდ, ოჯახის შექმნა მოინდომოს?!

— ჩვენი შეთავაზება ნებაყოფლობითია, ეიჩარ, აღარ იმუშავებს ადამიანის აღიარებული უფლებების შემზღუდავი მექანიზმი, როგორც სამოცდაათწლიანი მომწამვლელი იდეოლოგიის თანამდევი, ჩვენ საუკუნეში გადმოყოლილი სინდრომი.

— ყოველ შემთხვევაში, ვითომ სასიკეთო დეკლარაციებით შენიღბული, საყოველთაოდ მიღებული „წესრიგის“ რბილი ეკლები არანაკლებ იჩხვლიტებიან... თუმცა ამაზე კმარა!.. რა მაგის პასუხია და, რომელი ლიტერატურული გმირი მოგწონთ?



ვანო ჩხიკვაძე

— რაო, ტესტს მიტარებთ? სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს გამოგონილი ლიტერატურული გმირები, უფრო ისტორიული, ამა თუ იმ ეპოქალური მოვლენების ნიჭიერი საჭეთმპყრობელები და წარმმართველები მხიბლავენ... გამოგიტყდებით, იმის წარმოდგენაც კი მამხიარულებს, რომ სადღაც ვილაც სიგარეტის ბოლში გახვეული უზის მაგიდას და ზეშთაგონების კარნახით ტვინს იბურღავს, რათა გამოგონილი გმირი შობოს... ვიდრე ეს ნაყოფი რეალურ შედეგს მოგვცემს, კაცობრიობა ვერ დაელოდება, ვერ გაუჩერდება დროში ჩარჩენილ პერსონაჟს, რომელიც ძალიან ცდილობს, მაგრამ ჩვენი მოძრაობის ასაჩქარებლად არსებითს ვერაფერს გვთავაზობს...

— მე მკვრადშობილ ლიტერატურულ გმირებს არ ვგულისხმობ... ცხოვრებისგან ნატანჯმა, „ნებაყოფილობით ტვინგაბურღულმა“ ხეიბარმა, ჯერ კიდევ როდის, ყველა თანამედროვე სამედიცინო გამოკვლევას და ფარმაცევტული ტექნოლოგიის მიღწევას გაუსწრო და უტყუარი დასკვნა დადო – ადამიანის პიროვნებას თავბრუდამხვევი ტექნოლოგიების დამანგრეველი ვირუსისგან, მხოლოდ „ლამანჩელის ვაქცინა“ იხსნის.

— ეგ ვაქცინა აფთიაქში გაიყიდება თუ მრევლს, უფლის თანხმობით, წირვისას დაურიგებენ მღვდელმსახურები?

— ეჰ, სამწუხაროდ, ბებიის კალთიდან მართლაც ძალიან შორს გაქცეულხართ!

— აი, ხომ ხედავთ, ეგეც ძალადობაა, საკუთარი აზრის გამოთქმას რომ მიშლით... ყველა ლიტერატურული გმირი, წიგნის ყდაში ჩაკეტილი ჯინია, რომელიც მხოლოდ კითხვისას გიმორჩილებს და ემოციურად ბატონობს შენზე, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში, როდესაც გაუთვალისწინებელი გამოწვევების აზვირთებული ოკეანე, მზად არის თავისთავიც დაღუპოს და დედამიწაც, ადამიანს გამოგონილი გმირები ვერ იხსნიან...

— რომელ ადამიანს, პირველქმნილის სრულფასოვან, დამოუკიდებლად მოაზროვნე ორიგინალს თუ მხოლოდ გარეგნულად მიმსგავსებულ, ტექნოლოგიებით გამოყვანილ, „მსოფლიო მოქალაქის“ პულტით სამართავ რობოტს?

— საინტერესოა!.. თუმცა მე მაინც ჩემს აზრზე ვრჩები: მგრძნობიარე, პროგრესული, ყოველ წუთს, ყოველ წამს განახლებადი ტექნოლოგიური მიღწევები ხელიხელჩაკიდებულ კაცობრიობას მომავლისკენ მიაქანებს...

— დასაღუპავად თუ გადასარჩენად?

— ცხადია, გადასარჩენად! განა ჯერ კიდევ გუშინ არ ვუკაკუნებდით თითებს საბეჭდ მანქანებს, რომელიც ბატის ფრთისა და სამელნეში ამოწებული კალმის წვერის შემდეგ, უდიდესი ნახტომი იყო კაცობრიობისთვის? მაგრამ მათ დღეს მტვერსა და აბლაბუდასაც არავინ გადააცლის... მოკლედ, ეს ყოვლისშემძლე ჯადოქარიც, ლიტერატურული გმირივით ჩამორჩა დროს; ჩამორჩა კი არა, როგორც ზღაპრებშია, ბუზის ტოლადაც აღარ მოჩანს... ადამიანს თავისი შესაძლებლობები ჯერ არ ამოუწურავს, მოხსნის კიდევ საკეტებს ტაბუდადებულ, საიდუმლო სარქვლებს და მერე ნახავთ, რაც მოხდება!

— მოხდება ის, რომ ადამის ძემ, შეიძლება, უფრო სწრაფად მოუღოს თავის თავს ბოლო, ვიდრე დღემდე ახერხებდა!..

— არა, ეიჩარ, კაცთა გონის დიდი გამარჯვება სრულიად განსხვავებულად მოაზროვნე, ახალ მოდგმას შობს.

— ღმერთმა ერთხელ უკვე შობა ადამიანი და მეორედ შობა აღარ სჭირდება.

— მაშ, რა ვქნათ, თუ ძველი ვარიანტი სამომავლო გამოწვევებს ვეღარ უპასუხებს? დარჩეს ისეთად, როგორიც სამოთხის დედანში იყო? სარგებელი რა იქნება? დონ კიხოტის შუბი, რამდენიც უნდა აქოს და ადიდოს, მოგვაწონოს მისმა პატრონმა, სამსახურს ვეღარ გაგვიწევს!

— რა თქმა უნდა, სახელმწიფო გიგანტების სამხედრო ბაზებს იმ შუბით ვერაფერს დავაკლებთ, მაგრამ იმდენს მაინც გვასწავლის, წინ როგორ აღვუდგეთ და მსოფლიოს მუცელღმერთა „ვეშაპებს“ ლიფსიტები არ შევაჭმევინოთ!..

სპლიყვმა ხელები ამიწია, თუ მხოლოდ ეგ იკმარებს „ლიფსიტების“ გადასარჩენად, მეც თქვენ გვერდით მიგულეთო...

ნაშუადღევს „მოწყალების სახლს“ ვესტუმრეთ. შესასვლელი და სასადილო, ასე თუ ისე, შეეკეთებინათ.

მეორე სართულზე ამავალი ფილაქანაყრილი კიბე და სარემონტოდ გამზადებული დერეფანი,

სამშენებლო ორგანიზაციას შუა გზაზე, გაზაფხულზე მიეტოვებინა და აღარ გამოჩენილან. სასადილოში ხანდაზმული ადამიანები თავაუღებლად შეექცეოდნენ კუთვნილ ულუფას და ჩვენი მისვლა ბევრს არც გაუგია.

— ასეთ უმწეოებს და დაჩაჩანაკებულებს რომ უყურებთ, უმეტესობა საინტერესო ცხოვრება გავლილი ხალხია; ბევრი თავის დროზე, დაფასებული პროფესიისა და თანამდებობის პირიც იყო, – გვეუბნება დირექტორი.

შავსათვალიან, წითურთმიან ქალბატონს, მაგიდას მარტო რომ უჯდა, იატაკზე კოვზი დაუვარდა.

დავასწარი, კოვზს დავწვდი და მივიხედ-მოვიხედე, იქნებ, ვინმემ გამოუცვალოს-მეთქი, მაგრამ მადლობაო, კი არ გამომართვა, კოვზი გამომტაცა, ქაღალდის ხელსახოცით გაწმინდა და ისევ მათლაფაში სტუცა.

ჩემს გაკვირვებულ სახეს ერთი ამოხედა და თავდახრილმა ჩაილაპარაკა:

— ადრე, რა თქმა უნდა, ამას არ ვიზამდი, მაგრამ ახლა... თავმოწონებისა და ეტიკეტის დრო მოკვდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის... ალბათ, დანარჩენებისთვისაც... თუმცა უპატიებელი რა ჩავიდინე? ადამიანს პირიდან ამომავალი მოგშხამავს თუ ჩამავალი, შედეგი ხომ ერთნაირი იქნება?

დავეთანხმე, ცამდე მართალი ბრძანდებით-მეთქი და, თანამგზავრებთან ერთად ბეტონის მაღალი ფილებით შემოღობილ ეზოში გამოვედით.

ფილებს, ეტყობა, ორმაგი დატვირთვა აქვთ: არც გარედან შემოუშვან და არც აქედან გაეპაროთ ვინმე; ისე, თუ არ შემოემატათ, ვინ გაიპარება?!

სამშენებლო მასალის ნარჩენები უწესრიგოდ ეყარა ეზოში. იქვე იდგა რამდენიმე ზურგიანი ძელსკამი. საჩრდილობელ ხეებქვეშ, ერთმანეთისკენ წახრილ ცაცხვებზე დაკიდებულ, ლამის მიწამდე ჩამოთრეულ საქანელაზე ხანდაზმული ქალბატონი იჯდა და დაფხავებული მარაოთი, მოკრძალებულ დეკოლტიან კაბაში ლავიწებამოყრილ მკერდს ინიავებდა, თან ოთახის ფლოსტების წვერებს მსუბუქად გაჰკრავდა ხოლმე მიწას და ქანაობდა.

სახელდახელოდ მოწყობილ ფიცარნაგზე, რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციის სცენის მოყვარულები სპექტაკლის საჩვენებლად ემზადებოდნენ.

ჭიშკრის ხელმარჯვნივ, გადახურულ ფანჩატურთან, კიდევ ერთი ყურადსაღები ტიპი შევნიშნე.

ხის გადანაჭერზე ჩამომჯდარს ვიწრო შარვლის ტოტები ლამის წვივებზე გაჰკვროდა და ბატონკაცურად ფეხიფეხზე შემოდგმულს ჭრელი წინდების ყელი მოუჩანდა – ეცვა ცირკის ჯამბაზივით გრძელჭვინტიანი, ზონარგაყრილი, პრიალა, შავი ფეხსაცმელი. მოკლე, სახელოაკეცილი, თხელი ქურთუკი, ისიც შავი, გვერდით, მეორე ხის გადანაჭერზე ისე ფაქიზად გადაეფინა, როგორც კოპწია კაცებს სჩვევიათ.

მუხლისთავზე შემოჭერილი, ერთმანეთში ჩახლართული ხელებით, თითქოს თავისთავს დასაძინებლად უნანავებდა, ნება-ნება, წინ და უკან ირწეოდა და ვიღაც აქ მყოფთაგანს, ჩემი ვარაუდით, ალბათ, უფრო დირექტორს, ნიშნს უგებდა – ეზოში შემოვალ თუ არა, არავის არაფერს ვაკითხებ, თუნდაც ასე ვიჯდები მამლის ყივილამდეო... ამ მატარებელმა თუ გამასწრო, მეორეს დაველოდებიო...

კაცს ხმაც იმის შესაფერისი ჰქონდა, როგორც გამოიყურებოდა – წვრილი, გაპარული, გეგონება ყელიდან უსტვენსო.

ვინ არის-მეთქი, ვკითხე დირექტორს.

აბა, რა გითხრათ, ხეირიანად არც მე ვიცი, თვითონ ამბობს მეკუბოვე არისტო ვარო.

რაო?! მე და სპლიყვს გული ერთდროულად და ერთნაირად შეგვიხტა.

მეკუბოვეო! – გაგვიმეორა დირექტორმა, – თითქმის ყოველ შაბათ-კვირას გვსტუმრობს, საქმიანი სახით დაივლის ორივე სართულს, ცხვირს შეყოფს ოთახებში, შიგმყოფებს მიესალმება, მოიკითხავს და მერე არამამაკაცური, წიკვინა ხმით შეიცხადებს, რა ხდება, თქვენ კიდევ ცოცხლები ხართო?!

ამის მოსმენა ვის ესიამოვნება: ფეთდებიან, ნერვიულობენ, წნევა უწევთ... რამდენჯერ გავაგდეთ, პოლიციამაც აუკრძალა ბენეფიციარებთან კონტაქტი, მაგრამ რა გინდა ქნა, გაიხედავ და ისევ სკუპია შუა ეზოში...

უცნობი გრძნობდა, ჩვენი საუბარი მის პერსონას რომ ეხებოდა და დამცინავ მზერას არ გვაცილებდა.

— ამათ ხო არ უყვართ, ხო ეშინიათ, ლანძღვა-გინებით აგდებენ ოთახიდან, მაგრამ ბოლოს მაინც მიუცუცქდებიან ხოლმე.

ესეც, აბა რას მერჩით, დალოცვილებო, მე თქვენკენ ვარ, თქვენ კი ეშმაკებისკენ! არ იცით, ცოცხალზე მეტად მკვდარს სჭირდება პატრონიო?! მოკლედ, თქვენ ოლონდაც რამე გაბედეთ და ისეთი გამომშრალი მასალის „მაკინტოშები“ ჩაგაცვათ, საიქიოში შურით გასკდნენო!

ბარემ ისიც გვითხარი, წინასწარ შეკვეთა რომ მოგცეთ, მაგ საქმისთვის რომელი ხე უფრო ივარგებსო, ჰკითხავს რომელიმე.

— რად გაინტერესებს, განა ვერა ვხვდები, – დაუქნევს თითს, – გინდა, კუბო მაგარი ფიცრით შევკრა, ჭიაღუებმა, იღლიებში, რაც შეიძლება გვიან შემოგილუტუნონო...

შიში კიდევ უფრო ზაფრავთ, მაგრამ მაინც ეცინებათ, აბა, შენ ვინ რას გამოგაპარებსო, უკბილო დედაკაცები კიდევ ჩიფჩიფით ქოქოლას აყრიან.

ეე, ღუტუნს რაც მოჰყვება, ხომ იცით: ზოგჯერ სასაფლაოზე ისეთ სიცილ-ხარხარს მოისმენ, მიწას ნახადის ქვაბივით აბუქნავებსო.

როგორაო, ძალიან გაიკვირვებენ, განა მკვდრები იცინიანო?

თუ იცინიან, ისინი იცინიან, თორემ თქვენ რა გაქვთ სასაცილო, ორი ქვა უნდა გეჭიროთ და მეს-

ამეს ეძებდეთო.

ასე საღამომდე ფეხს არ მოიცვლის, იყბედებს, იყბედებს და წავა.

— საქანელაზე რომ ქალბატონია, ვინ არის?

— ეგ ერთადერთი ლტოლვილი გვყავს! თქვენს მტერსა და ავს, მაგას ისტორია აქვს, – ჭიშკარი გაჭრიალდა, – აჰა, კორესპონდენტებიც გვესტუმრნენ!

— უმაგათოდ რა იქნება!

— ჰოო, ძაან მოედვნენ! ჩაგჩრიან პირში მიკროფონს და გაინძერი თუ ბიჭი ხარ!.. ესენი კი კარგები არიან!.. – მობრძანდითო, მიეგება დირექტორი კამერიან-დიქტოფონიან გოგო-ბიჭს.

— კიდევ არ გამოჩნდნენ თქვენი „ამშენებლები“, ხო? – გოგო პასუხს აღარ დაელოდა, ბიჭს ლტოლვილისკენ გაუძღვა, თან გადაულაპარაკა, თუ არ აურია და დალაგებულად გვითხრა ყველაფერი, დაიშოკება მსმენელიო.

ქალი ისევ ცნობისმოყვარე გამომეტყველებით აკვირდება ყველას და არ ავიწყდება საქანელას შენელებული მოძრაობა კვლავ ფეხისწვერით ააჩქაროს.

ღრიტინებს გულის გამაწვრილებლად ხეებშორის გადებულ რკინაზე საქანელას გორგოლაჭი.

— გაგიგონიათ? ხანდახან, ეზოში ბავშვები შემოვლენ და იმათაც კი არ უთმობს, მთელი დღე ასეა თოჯინასავით ჩაკვეხებული... ნეტა მადლს იზამდეს და დედაბერს ვინმე გააჩერებდეს.

— ჩათვლემს, თავი ჩაექინდრება, მაგრამ ფეხის მიწაზე გაკვრა ძილშიც არ ავიწყდება.

— დაგეზეთათ მაინც, რომ არ ეჭრიალა!

— ტექნიკური ზეთი არ გვაქვს და, საჭმლისამ კი არ ქნა სიკეთე!

— თავი იმართლა დირექტორმა.

გოგომ ირონიული ღიმილით შეაფასა მისი ნათქვამი და ქალისკენ დაიხარა.

— გამარჯობა, ბებო!

ქალმა თვალები მიაცეცა, ჯერ შუბლზე აიცურა, მერე სულაც მოიხადა წარბებამდე ჩამოფარებული ხილაბანდი.

ჭაღარა, სხივილა თმა ჩამოეშალა.

— რა ლამაზი თმა გქონიათ, – გადაუსწორა გოგომ ნაზი, თხელი თითებით და ახლა წინ ჩაუცუცქდა, – მიცანით? ამასწინათ, რადიოდან რომ ვიყავი, კიდევ გინახულებთ და ჩაგწერთ-მეთქი?

— რადიოდან? – უცებ მოცოცხლდა ქალი, – კი, კი!.. რადიო კარგია, ნამეტანი... მახსოვს, მოჰქონდა ქვეყნის ამბები, ნაირ-ნაირი... ომის დაწყებაც პირველად რადიოთი გავიგეთ... ეკიდა თავისთვის კედელზე, ხან მღეროდა, ხან ბჟუტურებდა რაცხას და მე ვსაქმიანობდი ჩემთვის, „კუხნაში“...

— რას საქმიანობდით?

— ოჯახის ქალმა ეგ უნდა იკითხოს?! – დატუქსა გოგო, – დიასახლისს საქმეს რა გამოულევს: შვილები – სკოლაში, მეუღლე — სამუშაოზე, სადილ-ვახშამი არ უნდოდათ?! ვიღლებოდი, რა თქმა უნდა, მაგრამ რა სიამოვნებაა, რომ მოვლენ დამშეულები, რომ მიუსხდებიან მაგიდას და შენს მომზადებულს გემრიელად შეექცევიან!.. ახლა სადილ-ვახშამს ვიღა ამზადებს, გარეთ მიირთმევენ, ცხენებივით ფეხზე დგომელა... ადრე ქუჩაში სახალხოდ, გამვლელ-გამომვლელების თვალწინ, ღრანჭის ქნევას როგორ იკადრებდი! მეუღლეს, პურზე წაცხებული კარაქით ხელში, ბავშვები რომ ეზოს გარეთ დაენახა, მაშინვე შემორეკავდა, აბაა?.. რა უნდოდათ, ვის რას ვუშავებდით! მეკეთებინა სადილ-ვახშამი, მეკაკუნებინა ქვასანაყით ჩემი ქვიჯა... ცუდი ამბები მოხდა, ძალიან ცუდი... თქვენ არაფერი გაგიგიათ?.. აბა, დაყნოსეთ ჩემი ხელისგულები!.. გადატყავებამდე ვიბან, ვიხეხავ... მაინც ვერ მოვიცილე, ახლაც მწარე კვამლის, ცეცხლის, ნამწვის, ცრემლის და სისხლის სუნი ამდის! — საქანელას თოკებს გაშვებული ხელები ჯერ გოგოს და მერე ბიჭს ისე გაუშვირა, თითქოს სილამაზის სალონში მემანიკურესთან იჯდა, – გამორჩეული, ხორცში ჩამკვდარი სუნია და თავს არ გავიწყებს!.. ვერც მე დავივიწყე, ვერა!.. – თვალგაშტერებული ერთხანს გაირინდა, – ვიცი, საფლავშიც არ მომასვენებს, იქაც გულს ამირევს... ფეხმძიმობისას ვიცოდი ასე, მაგრამ ის სხვა გულისრევა იყო... კიდევ რაღაც... რაღაც... ჰო, სიკვდილის სუნი! – ხელებს მაჯებიდან იდაყვამდე ყნოსვა-ყნოსვით აჰყვა, – მძულს, მეზიზღება ჩემი თავი, ამ სუნს რომ დავატარებ!.. – სახე ისევ ხელებში ჩარგო, – დედაჩემი მეძახის, რა უნდა, პატარა ხომ აღარა ვარ! ნეტა, ვისადილე?..

— გაფანტული სკლეროზის ნიშნები აქვს, ნორმალურად გელაპარაკება და უცებ სადღაც გადახტება, – თქვა დირექტორმა.

— ოო, როგორ მეტკინა საფეთქლები, შიგნიდან ჩაქუჩს მირახუნებენ... ომის სუნზე მძიმე სახადი არ არსებობს!.. ერთი თუ შეგეყარა... ბებო, „რადიო“, გოგო, დაიხარე, გენაცვალე... ნუ გეშინია, ხელს რომ გკიდებ, ეს ავადმყოფობა გადამდები არ არის, მხოლოდ მე მტანჯავს... წეღან ძალიან მეამა თითები რომ გადამისვი... ასე მხოლოდ დედაჩემმა იცოდა!..

აცრემლებულმა კორესპონდენტმა ისევ გადაუწია თმა და შუბლზე აკოცა.

— მადლობა, შვილო, ტყუილად არ მყვარებია რადიო... ჰო, ჩვენთანაც მოვიდა ომი... დედამთილი მედო ზალაში, მკვდარი... მთელი უბანი ან გაქცეული იყო ან სახლებში შეკეტილი... ვინ მოვიდოდა სატირალში? ვუსხედით იმ საცოდავს, აქეთ-იქიდან, მე და ჩემი გაუთხოვარი მული... მარტო კოჭლი ბიძაშვილი და დედამთილის ძმა მოხანხალდნენ და მალე წავიდნენ, სასახლის თადარიგს დავიჭერთო... მოუკვდეს დედა, სხვები რომ გაერიდნენ იქაურობას, ვერ მიგატოვებო, უმცროსი ბიჭი მაინც ჩემთან დარჩა, ისიც ავადმყოფი, ცალი მკლავი წართმეული ჰქონდა... მე ხელს ვინ მახლებსო, მაწყნარებდა, მაგრამ მაინც სარდაფში მყავდა დამალული, თვალში არავის მოხვდეს-მეთქი... უბანში რომ შემოცვივდ-

ნენ, მეზობელი მოხუციც არ დაინდეს და სამზადში გამოკეტილს ცეცხლი მისცეს, მაინც შემეშინდა

— გაჭირვებაში რას არ იზამს ადამიანი!.. მე და ჩემმა მულმა მიცვალებული თავის ოთახში, ლოგინში გადავიყვანეთ, ვითომ, ავად იყო, ბიჭი კი, იმის მაგივრად, ტახტზე დავაწვინეთ და სუდარა წავაფარეთ... დედა, მაცალე, შენთან წამოსვლის დრო არ მაქვს! რადიო შენც ხომ გიყვარდა, იქიდან არიან და კარი როგორ მივუხურო!.. ჰო, კარგი, კარგი! – ჩაელაპარაკა, ვითომ საიდუმლოდ, პირზე აფარებულ ხელისგულს და მერე, ჩვეულებრივად განაგრძო, – უარობდა, საწყალი, მაგრამ ორ ქალთან რას გააწყობდა... შემოცვივდნენ ჩვენთანაც, ვიდრე ზალაში თავს დაგვიკრავდნენ, „ჭირისუფლები“ უფრო ხმამაღლა ავზლუქუნდით... ცოტათი შეცბნენ, ვინა ჰყავთ გარდაცვლილიო, ჰკითხა იმან, რომელიც უფროსობდა, ქართულის მცოდნე ბიჭს.

შვილი... ბიჭი-მეთქი.

მაინც გარეშემო შემოგვიარეს, გვაკვირდებოდნენ. კარისკენ გასასვლელად როცა გაილალნენ, უკან მიმავალი უცებ შედგა, მოიხედა, მაგრამ ჩვენ არ გვიყურებდა, პატარა მაგიდაზე, საყვავილეზე აყუდებულ სურათს მისჩერებოდა.

გამცრა – დედამთილის სურათის აღება დაგვიწყნოდა!

დანარჩენებიც მოახედა.

ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს, მერე იმ პირველმა სუდარა მოაფრიალა და ბიჭი წამოაგდეს.

აივანზე ზალის კართანვე დამიხვრიტეს – დაბლიდან მაღლა ამოტანა რომ არ გაგიჭირდეთო, დაგვცინეს კიდეც... დედა, მაცალე, შვილი ხო გამოგიგზავნე, მეტი რა ვქნა, – წარბებშეჭმუხნულმა მოისრისა საფეთქლები და განაგრძო:

— იმ წუთიდან სუნთქვა შემიკრა საშინელმა ოხშივარმა, სახეზე აფარებული ხელებიდან რომ ამოხეთქა და უგონოდ ჩავიკეცე... გეხვეწებით, გააჩერეთ ეს ჩაქუჩი!..

თვალებმოხუჭულმა უკან გადაიწია, გაფითრებული მიეყრდნო საქანელას საზურგეს, მერე თანდათან სახე შედარებით დაუმშვიდდა და დაიხარეო, სთხოვა კორესპონდენტ გოგოს.

გოგომ დიქტოფონი ჩხაკუნით გამორთო.

— აგე, იმ კაცს ხომ ხედავთ, – გვანიშნა „მოწყალების სახლის“ პარმაღზე გამოსულ, ხელჯოხიან მოხუცზე – აი, ეგ ბატონი მთხოულობს და ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე, არადა, მარტოხელობა ძნელია, ძალიან ძნელი!

საქანელადან წამოიწია, საქორწინო კაბა მზად იქნება და უნდა მოვისინჯოო.

კორესპონდენტებმა ხელი შეაშველეს.

წელში რომ გაიმართა, ორივე მოიცილა, ახლა ჩემით წავალო. თვალი გავაყოლე, მაინტერესებდა, ჯოხზე დაყრდნობილ „სასიძოსთან“ გავლისას რას მოიმოქმედებდა.

ეგრე ჩაუარა, ბერიკაციისკენ არც მიუხედავს, სამსაფეხურიან კიბეზე ყოჩაღად ავიდა და შენობაში შევიდა. დირექტორმა თავი სინანულით გადააქნია:

— შვილის ტრაგედიას ყველას უამბობს, მაგრამ ისე, თითქოს სხვის ამბავს ყვება... ეტყობა, გაფანტული სკლეროზის აფეთქებამ მწუხარების აღქმის უნარი გაუქრო.

ცარიელი საქანელა საღამოს ნიავმა ააქანავა.

ამასობაში, სახელდახელო სცენაზე დინამიკები ახრიალდნენ, ვაგნერის მუსიკა თანდათან დაიწმინდა, ეზოში ჩამოიღვარა და ფიცარნაგის დიაგონალზე, მარშის საპატიო ხმაზე, პირობითი კულისიდან, ჩვენკენ ერთ მდგომარეობაში კისერმოღრეცილი მონაწილენი დამწკრივდნენ.

მწკრივს ყრონტამდე ღილებშეკრულმა წამყვანის როლის შემსრულებელმა კიტელიანმა ჩამოუარა და ავანსცენაზე, ზურგსუკან ხელებდაწყობილი, გალაჯული გაირინდა.

ხაკისფერი შარვლის დაშვებულ ტოტებს ორივე მხარეს მარშალის ხასხასა, წითელი ზოლები დაჰყვებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცხვირზეც წითელი ბურთულა ეკეთა, თავზე კი ჯამბაზის ქუდი ეხურა, – ძნელი მისახვედრი სულაც არ იყო, ამ აღკაზმულობით ვის აშარჟებდნენ!

ყოველ შემთხვევაში, ცირკის მანეჟზე დაბზრიალებულ იური ნიკულინს ან ოლეგ პოპოვს – არა!

წინ წამოიწიეთო, მოუწოდა დირექტორმა სცენიდან მოშორებით ჩამომსხდარ „მოწყალების სახლის“ ბინადართ.

სათვალიან-პომადიანმა ქალბატონმა ყველას აჯობა, ყოჩაღად დაწინაურდა და ჩვენს მხარეს, ფიცარნაგის კუთხესთან მიჩოჩებულ სკამზე დასკუპდა.

ადგილზე მარტო მეკუბოვე არისტო დარჩა – მხოლოდ გადაჯვარედინებულ ფეხებს მოუნაცვლა ადგილი.

ჰო, კიტელიან წამყვანს ყელზე ბავშვის საწოვარა ეკიდა. მას ხან თვითონ გამოღეჭავდა ხოლმე ხან მორიგეობით, სხვებს ჩასჩრიდა პირში და ისინიც, ვითომ „გადმოჩქეფილი“ რძით ძალიან ისიამოვნეს, ჩაიკოკლოზინეს ყელი, მადლიერებით, ლამის იატაკს შუბლს უხათქუნებდნენ.

არც ეს სიმბოლური თავსატეხი გახლდათ ძნელად ამოსახსნელი და დამაინტრიგებელი.

„დაამწყალობა“ წამყვანმა თანამოაზრეები, გადაიარა პრელუდიის აპოთეოზმა და ვიბრაციით აცახცახებული დინამიკები თანდათან ჩაცხრნენ, პათეტიკურმა მაჟორმა სი ბემოლის ტალღებში შეცურა.

არ ვიცი, ასე რამ მოხიბლა, სპლიყვმა მოწონებით ცერი ამიწია, დასაწყისი არა მარტო კარგი, დამაიმედებელიცაა!

ვერ გავიგე, რამ ან რატომ დააიმედა, ჯერ ხომ „სცენაზე“ კრინტიც არ დაეძრათ, ამიტომ მე, პირიქით, ცერი დაბლა დახრილი ვუჩვენე.

— ვაგნერი ისტორიული „კიტელის“ ნამდვილ პატრონს, გულზე დიდად არ ეხატებოდა, უფრო

ხელმოცარულ მხატვარ ეფრეიტორს აღაგზნებდა, კაცთა ჟლეტის იშტაზე მოჰყავდა.

— იშტა რა არის?

— მადა!

— მაგ მადას, მგონი, არც „მარშალი“ ემდურო-და... ბელადი მაინც ვის მუსიკას მოჰყავდა იშტაზე?

— თუნდაც ჩაიკოვსკის... განსაკუთრებით, მონარნარე გედების ცეკვას...

— რათა მერე ნაზფეხება, რეპრესირებულ „გედებს“ ციმბირის ყინულებზე ესრიალათ? ვერ გა-მიგია, თავისი მოღვაწეობით მაინც რისი დამტკიცე-ბა უნდოდა ბოროტების დონ კიხოტს?

— თქვენს კითხვაზე პასუხის გასაცემად, ჩვე-ნი დრო-ჟამი, ჯერ კიდევ მზად არ არის!

— როგორ, მისი ჩაჩრილი საწოვარა ხომ გად-მოაგდო კაცობრიობამ, ამაზე მეტი რა პასუხი გინ-დათ?!

— ჰო, მაგრამ უნდა ვიფრთხილოთ, ისე არ წა-ვიდეს საქმე, ადამიანებს ახალი, უარესი სატყუარა არ ჩასჩარონ.

— ეგ სიფრთხილე კარგია, მაგრამ, ვიმეო-რებ, თქვენი, დროში ჩარჩენილი, აზროვნება, ეიჩარ, ძალიან მაკვირვებს.

ვიღაცებმა საყვედურით მოგვხედეს, მოგვას-მენინეთო. ვჩუმდები, მოუსმინონ, ჩემი რა მიდის!

სპლიყვის გაკვირვებასაც უპასუხოდ ვტოვებ და არ ვეუბნები, მეც რომ მაოცებს, ვის სამსახურშიც ჩავდგებით, რატომ ვხდებით იმათზე, მაგალითად, რუსებზე უფრო მწარე რუსები ანდა ამერიკელებზე მეტად გულდამწვარი იანკები?!

ალამუთის ეპოპეაში, მონღოლების საამებლად, რატომ შევასკდით ასასინებს და, მადლიერების ნა-ცვლად, ჰულაგუ ყაენის ირონია დავიმსახურეთ, სხ-ვათა ომში უაზრო თავგანწირვის გამო?

კითხვები, კითხვები, მხოლოდ ურმის გადაბ-რუნების შემდეგ რომ წამოყელყელავდებიან ხოლმე.

ეჰ, რამდენი ურემი გადაბრუნდა, მაგრამ ჩვენ მაინც პირველი შეცდომების ერთგულები დავრჩით და ყოველ ჯერზე ბეჯითად ვიმეორებთ.

ამასობაში სცენაზე მრავალჯერ დამარხული იმპერია, თავის კანონიერ მშობელთან ერთად, კიდევ ერთხელ დაასამარეს, ისინიც ჩააყოლეს, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვდა, იმ წლებში მოღვაწეობდა და ახლა ღრმა სიბერის უსიხარულო ნაბიჯებით ტკეპნიდა ყუაზე დასულ წუთისოფელს.

მოკლედ, ფანჯრიდან გადაგდებული ნაგვის პარკივით მოისროლეს მთელი მეოცე საუკუნე.

მთავარი ინტრიგა მერე გაინასკვა, ლენინის, რატომღაც ვითომ ახალგაზრდა ქვრივი ენკავედეს შეფმა ხელკავით რომ ჩაატარა, ნატყვიარებით და-კენკილ, წითელი შხეფებით გადადღაბნილ კედელს ააყუდა და კაბაწამოხდილ ლაჯებში შეუვარდა. ყველას თვალწინ გაუპატიურება დაუპირა, მაგრამ ვინ აცალა! კიტელიანმა ღრმა ნაფაზით ჩიბუხი გააპლაკუნა, მოწყალების სახლის ბინადრებით დაკომპლექტებულ დარბაზს თვალი მოავლო და იკითხა:

— ფელიქს ედმუნდოვიჩ, ვინ არიან ესენი, შენი ბრძანებით საიქიოს გასტუმრებულთა უკან მობრუნებული ლანდები, ცოცხალი ადამიანები თუ აბლაბუდები?

— ჯერჯერობით, ცოცხალი ადამიანები, ამხ-ანაგო...

— მერე რას ელოდებით, აბლაბუდები დროზე ჩამოგავეთ, ვერ ხედავთ, ნათელ მომავალს რომ აბ-ნელებენ?

პირუეტით შემობრუნებულმა ედმუნდოვიჩ-მა ქვრივს თავი მიანება და მაუზერის კაბურაზე დაირტყა ხელი.

— გესმით ხალხო? აბლაბუდებიო?! – ვინ უნდა ჩამოგავოთ, ან რეჟისორი არ გყავთ, ან პა-ტრონი? – წამოვარდა სცენის კუთხესთან მჯდომი შავსათვალიანი ქალბატონი.

სხვა რომ ვერაფერი მოიხელთა, ფეხსაცმელი გაიძრო, ქუსლი მთელი ძალით სცენის ფიცარს დაჰკრა და ძარღვებდაბერილი ყელიდან ამოსუ-ლი ჩახლეჩილი ხავილით დინამიკების ხრიალიც კი გადაფარა.

დარბაზი შეჩოჩქოლდა, ახმაურდა.

მონაწილენი დამუნჯდნენ, ხმა ვეღარ ამოიღეს, ვერ ხვდებოდნენ, რა ხდებოდა.

— გამოიყვანეთ ავტორი, რომ ჩამოსაგველებ-მა მადლობა ვუთხრათ და ოვაცია გავუმართოთ!.. იცით, აქ მსხდომ რამდენ ღირსეულ ადამიანს დას-წყვიტეთ გული? განა ჩვენი ბრალია, იმ დროში, იმ წყობაში რომ მოგვიწია ცხოვრება, არსებობა, მოღ-ვაწეობა?! ასე, ერთი ხელის მოსმით, სცენიდან მა-ყურებელს ვინ შეურაცხყოფდა!.. ჩვენი არსებობით, მოქმედებით, ყველაფერ ქართულს, განსაკუთრე-ბით, სიტყვას ვეფერებოდით, ოთახის ყვავილივით წყალს ვუსხამდით, რომ თქვენამდე, საკადრისი პა-ტივით მოგვეტანა... გაცრუვდა ჩვენი იმედები და მოლოდინები – ქართულ სიტყვას სწორედ თქვენ ხელში, თავისუფალ საქართველოში გაუჭირდა!.. ამ-იტომაც, ვერავის ამაგს ვერ აფასებთ, იმათ ღვაწლს ალმაცერად უყურებთ, ჩემსავით ახლა თქვენ რომ შემოგყურებენ. ვითომ რაღაც ახალი გინდათ გა-მოიგონოთ და, სინამდვილეში რაც ფასეული იყო, ანგრევთ... დღეს, რა თქმა უნდა, აბლაბუდა ვარ, აბ-ლაბუდაც და უბედურიც, რადგან ჩემი ცხოვრების პირუთვნელი შემფასებელი არავინ მრჩება... აგერ, მეც და დანარჩენებსაც, ბელზებელივით გვადგას თავზე მეკუბოვე არისტო და სულსა გვთხოვს...

დაბნეულმა დირექტორმა მკლავში ხელი გამოს-დო, ნუ აწყვეტინებთ, ვაცალოთ... გააგრძელონ... უხერხულიაო...

ბორშიდან ხორცი რომ ქრება, ის არ არის უხ-ერხულიო?!

გეკადრებათ?! აბა რას ბრძანებთო, – მოგვხედა აწურულმა დირექტორმა.

ისე, სწორად იქცევით, აბლაბუდების ბებერ ძვ-ლებს ქოლესტერინი ნამდვილად არ მოუხდებაო.

— ქალბატონო ბელადონა! – ხმა გაიმკაცრა დირექტორმა. ბელადონაო? – ამ სახელმა საფეთქლებში ედმუნდოვიჩის საკონტროლო გასროლასავით გამიარა...

წინა საღამოს კოშმარმა ჯერ კარგა ხანს არ დამაძინა, მერე უთენია წამომაგდო ლოგინიდან.

გული ნარბენივით ამოვარდნაზე მქონდა. ოფლდასხმული, უკან გავჩოჩდი და საწოლის თავს მოჩვენებასავით ავეყუდე.

შეღებული ფანჯრიდან შემოსულ, დასიცხული ღამის მერე, დილის გრილ ჰაერს თავისი სურნელი აქვს.

ჩაისუნთქავ და ხვდები, ახლომახლო მიმალული გათენება, სადაც არის, თავს დაგიკრავს.

დათქმულ დროს არც გუგულმა უღალატა, ფერდობს შეყოლებული ხეების კორომიდან შემოგვეხმიანა.

ღმერთო ჩემო, რა ვნახე და რა მოვისმინე!.. ჭადრაკულშარვლიანი, ხმადაწვრილებული მეკუბოვე, ყორანივით თავს რომ დასჩხავის მოწყალების სახლის ბინადრებს, უბედური დედის გამაოგნებელი ისტორია, რომლითაც მსმენელების დაშოკვას აპირებს რადიოს კორესპონდენტი, უპასუხისმგებლო, კიტელიანი კაჭკაჭი, გასული საუკუნე რომ მოთხარა, წაშალა, ამოძირკვა, მერე კლოუნის აღკაზმულობა მოიხსნა და დარბაზში შეკრებილ იმ საუკუნის ნარჩენებს, სანახაობას ადევნებული რეფრენი ჭერივით თავზე დაამხო: გამაგებინეთ, ადამიანები ხართ თუ აბლაბუდებიო.

რა საჭიროა წარსულით ზედმეტად თავის ატკივება. ჩამოგავე აბლაბუდები და მორჩა და გათავდა! სუფთა დაფაზე შეუდექი წერას, შობე ახალი ისტორია!

ყველაფერს ნოლიდან ვიწყებთო, აკი ბრძანა კიდევაც ციდან მანანასავით ჩამოვარდნილმა, უცხოური საიდუმლო სამსახურების ჩამოთესლილმა, საიმედოდ შეფუთულმა ერთმა ჩვენმა პირველკაცმა და... ისტორიის სუფთა ფურცელზე პირველი ხნულიც გაავლო!..

სიმყრალემ, რომელიც ჩამავალის კი არა, ამომავალის თვისებაა, არ დააყოვნა, ფუთა კარგი კვებით გასიებულმა უკანალმა და ქონის ალყაში გაბოჭილმა სტომაქმა გამოხეთქა, გაარღვია ნაკერები და ააქოთა ქვეყანა...

ნოლიდანაო, კაცო! – დუჟმორეულ ღვთის გლახას ნოლი არაფერი ჰგონია! ვერ გაუგია, ამ ვითომ არაფერს ტრილიონ-სიქსტილიონიც რომ მიუწერო, ისევ ნოლად დარჩება, მაგრამ თუ წინ კოჭლ, ხეიბარ, დაბრეცილ ერთიანს მაინც გაუძღოლებ, ცარიელ-ტარიელ ბოგანოს მაშინვე ათად აქცევს...

საყოველთაო სიყვარულს ქადაგებენ და თავად სძულთ სიყვარული... მთავარია, რადაც უნდა დაუჯდეთ, თვითონ გადარჩნენ, ჩაიკეტონ ფეშენებელურ ციხესიმაგრეებში, დაბურულშუშებიან, დაფუზარავებული შავი ბიზონებივით მანქანებში და ძვირადღირებული მობილურებით იქიდან მართონ ომებით, ლტოლვილებით, ნგრევით, ეკოლოგიური კატასტროფებით ჯვარცმული ქვეყანა... ვინ დარდობს, მათ გვერდით მშიერ-მწყურვალთა მღვრიე მდინარე რომ მიედინება... აგერ, ჟორა-პანი, თან საქმეების გამკვარახჭინებელი, თანაც თუ დასჭირდებოდა, მორალთან გაბუტული გადამგდები, თავის ქალაქში, ნაცნობ შეჭირვებულებს ისე ეხმარებოდა, ღვთის წყალობა ვისგან მისდიოდათ, ვერც იგებდნენ...

ნამეტანი გავახურე, მაგრამ, რა ვქნა, შემეცოდნენ წინა საუკუნეში ჭიპმოჭრილი ამომგდებები, ვისაც მოყვარულთა დასმა ჯერ რეპრესიები გაახსენა, მერე ხუთწლედებით დახუნძლული ათწლეულებიც არ დაუვიწყა და უმომავლო იდეოლოგიის დამჭლევებული, ბეხრეკი წითელი ჯაგლაგის ოცდამეერთე საუკუნემდე მოჭენებაში დასდო ბრალი.

უმეტესობა, ცხრა ათეულს მიღწეული აბლაბუდა, გაოგნებული ისმენდა სასტიკ განაჩენს და წაშლილი წარსულიდან, ნოლით თუ არაფრიდან სამანდადებულ ყოფაში, ის კი არ უნდა ეკითხათ, სად გაიპარა ბორშიდან ხორცი, სამშენებლო კომპანიების მიტოვებულ ხარაჩოებზე ქამრები უნდა ჩამოებათ და თავი გაეყარათ...

ქამრები სადა გვაქვსო!

გიპასუხებთ, ბატონო:

აბა, მაშინ რის მოჭერას აპირებდით, ძვირფასებო, მამა და მარჩენალი, ორშაბათის რადიოინტერვიუში რომ მოგვიწოდებდა, ახლა ქამრები მოვიჭიროთ, დროებით, რა თქმა უნდა, და, მერე მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამაო...

ჩაიქროლა აღთქმულმა, შეპირებულმა შვეიცარიამ, ჩაგვიშხუილეს სხვებმაც, ჩვენს უკან საერთოდ რომ არ ჩანდნენ... და სამი წლის შემდეგაც იგივენი ვიყავით, რაც სამი წლის წინათ!

არადა, ისედაც წელზე გაკრულ ნეკნებს რაღა ქამრის მოჭერა უნდოდა!

გამოტყდით, ძველი გამოცდილებით ხომ იცოდით, რომ მარჩენალი ახლაც გვატყუებდა! არ უარყოთ, თორემ დავუძახე ნამდვილ კიტელიანს, იმის პენსნეიან მეაბჯრეს და თქვენგან, ქამარს კი არა, საქალამნე ტყავსაც ამოიღებენ!.. ქამრებზე მაინცდამაინც ნუ დაგწყდებათ გული, რომელიმე არასამთავრობო თოკებს მაინც არ დაგამადლით!.. აი, თქვენ კი, ბიძაჩემო, ცალი ფეხი და ხელჯოხი უკვე სამარეში რომ გიდგიათ, ამ საწყალ საქანელას ქალს თავგზა რატომ აუბნიეთ?!. აა, დამტირებელი გინდათ, ღაწვები რომ დაიხოკოს და აბეზარ, წვრილკანჭება არისტოს სამადლოდ შეკრულ კუბოს თავი ურტყას?.. მოეშვით რა, თავისი უბედურება ეყოფა, რაღა დროს ამის გათხოვებაა!.. აქამდე მოგითმენიათ და ახლა რა ცეცხლი წაიკიდეთ: შესრულდებიან გერმანელი ქალები ოცდათერთმეტისანები, როგორც სპლიყვმა ბრძანა, აამაღლებენ ქალის როლს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ცხოვრებაში

და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში, გახსნიან აქამდე დაგმანულ (?) ქალწულობის საკეტურებს... ჰოდა, ჩაბრძანდით, ბატონო და იბაირამეთ აქტიური ურთიერთობის რეჟიმში...

ბებერი ხარის რქებზე ნათქვამი რაც არის, ვიცით და, იქნებ, ისე გაგიმართლოთ, ძველი რომის დამაქცევარ ვანდალების შთამომავლებს მეორე ცალტრიკა, ხელმოცარული მალერიც გაუგოროთ, რომ მიძინებული ცისფერი სისხლის ამბიცია, გამარშებული ვაგნერის საფანელით თავიდან გამოაღვიძოს! (ჩემთვის რომ ეკითხათ, მოყვარულების სპექტაკლს ამდაგვარი ვრცელი მონოლოგით გავაგრძელებდი).

მეც მაგრად ავურიე!

მამფი როგორც იტყოდა, არც სიგიჟეს ჰქონია საზღვარი!

არა, არა!

თანაც, მასთან ნაზიარებნი სულაც არ არიან ძნელად ამოსაცნობნი, სანთლით ან დიოგენეს ლამპრით საძებნი. გასარკვევი მხოლოდ ორი, წუთისოფლის თანმდევი მგზავრის სულიერი მდგომარეობაა, ვისი ავადმყოფობის ისტორიაც დაუდგენელი დიაგნოზის გამო, დღემდე არ დახურულა, რადგან თავად მათი ცხოვრების აღმწერსაც არ დაუბარებია, რომელ მრევლს მივაკუთვნოთ – სამუდამო თავსატეხად დაგვიტოვა და, როგორც ბრძოლაწაგებულ, ჯარის თავმომწონე წინამძღოლებს სჩვევიათ, თვითონ კი არ გაიკეთა ბატის ფრთით ჰარაკირი, სქელტანიანი მეორე ტომის დამამწუხრებელ ეპილოგში, მამაც, მაგრამ უიღბლო იდალგოს, თავადვე დაუგო სასიკვდილო სარეცელი.

აქამდე მოარული ავი ხმები იმაზეც ღაღადებდნენ, რომ მწუხარე სახის რაინდის ამგვარი აღსასრული იმდროინდელი გავლენიანი საზოგადოების მოთხოვნა და შეკვეთა იყოო, რაც, თითქმის შეუძლებელია, დაიჯერო ან არ დაიჯერო.

ასეა თუ ისე, იდალგოს აღსრულების შესახებ, ეპილოგის შავით თეთრზე დადასტურებულმა ვერსიამ რაინდის თავგადასავლებით და მჭერმეტყველებით მოხიბლული მკითხველი თუ დაამწუხრა, სამაგიეროდ, იმათ მოჰგვარა შვება, ვის ბნელ სულებშიც მოხეტიალე არამკითხე მოამბე ველარ იფათურებდა.

ერთნიც ცდებოდნენ და მეორენიც – ყველგანმჭვრეტი კეთილშობილების მზის სხივი, სამუდამოდ რომ ქრებოდეს, მაშინ ჩალუსკუმებულ, გაუსაძლისი წუთისოფლის გვირაბში გზას როგორღა გავიგნებდით!

ოთხმოცდათიანების ბოლოს, ოქტომბრის პირველ შაბათს, გულის სნეულებათა ცენტრის სარეაბილიტაციო განყოფილებაში, სტენოკარდიის მძიმე შეტევით მოყვანილმა ავადმყოფმა, მილულული თვალები გაახილა და მოულოდნელად იკითხა:

— ექიმო, ახლა აქ შუბიანმა ცხენოსანმა ხომ გაიარა?

— რას ბრძანებთ, პალატაში ცხენოსანს რა უნდოდა?!

— არც ვირზე ამხედრებულმა იმისმა მეაბჯრემ?

— დაწყნარდით, ბატონო!.. მეხუმრებით თუ განგებ მაშინებთ? — ახალგაზრდა კარდიოლოგს ფონენდოსკოპის ყურსასმენი მკერდზე ჩამოუცურდა, – ალბათ, მოგეჩვენათ!

— არა, არ მომჩვენებია, ისე ცხადლივ დავინახე!..

— ჰო, კარგი!.. თანაც ერთმა კი არა, რამდენიმე შუბოსანმა... თოხარიკით... თვალი ძლივს შევასწარი! – გაეხუმრა ექიმი.

— ეჰ, ქალბატონო, ქალბატონო!.. – თავი გვერდზე გადააბრუნა და უილაჯობის ცრემლი ჩამოუგორდა.

ექიმმა განყოფილების გამგეს შესჩივლა, ჩემს ავადამყოფს ცხადშიც კი უცნაური მოჩვენებები აქვს, თავი იპოდრომზე ჰგონიაო.

— აბა, ჰკითხე, ფსონი რომელ ნომერ ულაყზე აქვს დადებული, — გაეცინა გამგეს.

— ახლა შენც მაგიჟებ? – მხარზე მსუბუქად წამოჰკრა ხელი, – გული, ავად თუ კარგად, მკურნალობას დაექვემდებარა, სხვა მხრივაც, საგანგაშო არაფერი სჭირს, მაგრამ მაინც დღითიდღე უკანუკან მიდის...

— ადამიანს მხოლოდ ხორცის ტკივილი არ ინელებს... სულის ტკივილთან მედიცინა, ჯერჯეროებით, უძლურია...

— სული რამ უნდა ატკინოს, მაგის ჩადენილ საგმირო საქმეებს ტომები ვერ დაიტევს, მამაჩემისგან ვიცი.

— ჰოდა, სწორედ ეგ ჰკლავს, ეგ ტომები რომ დაიხურა, ფუნქცია დაკარგა, მაგის ჯავრი ინელებს.

— ალბათ, ალბათ!..

ავადმყოფის ტომეულებიდან ერთი ამბავი გამახსენდა – ჩამოიფურცლა კალენდარი, თხუთმეტჯერ სამას სამოცდახუთი დღე დროის ქარმა გაფრენილი ფოთლებივით დაადევნა ერთმანეთს.

როგორც ყოველ ზაფხულს სჩვევია, მაშინაც სიცხე ბუგავდა დედაქალაქს. აუტანელი ბულის ეპიცენტრში, აბიტურიენტებისა და მათი გულშემატკივრების ალყაში მოქცეული უნივერსიტეტი წარღვნის წინ ნაპირს მომდგარი კიდობანივით ტორტმანებდა. იყო გაუთავებელი ჩოჩქოლი, მიდი-მოდი, ოფლისღვრა, ცრემლი, გულისწასვლა, ოთხად გადაკეცილი გაზეთებისა და მარაოების ფრიალი.

ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიაში შავ-ყვითლად გადაღებილ მერხებზე ჩამომსხდარი აბიტურიენტები ელოდებოდნენ, ვის გაუღიმებდა მწყალობელი ნოე და კიდობანის მწვანე ბარათს არგუნებდა! მოკლედ, აქეთ სტუდენტობის მოსურნენი და იქით – მაუდგადაფარებულ მაგიდას შემომსხდარი საგამოცდო კომისიის წევრები.

კომისიის თავმჯდომარე, გურამ გვარამი, ფან-

ჯარას მოსცილდა, ხალხით გაზიმზიმებულ ეზოს რომ გადაჰყურებდა და თავის სკამს დაუბრუნდა.

— იტყვი რამეს, ბატონო წიქა და ქვეყნის მტრად გამოგაცხადებენ! ასეთ გაგანია სიცხეში გამოცდების ჩატარება შეიძლება?! ამ ბავშვების ტანჯვის ყურებას, არ აჯობებდა, სარდაფის ტემპერატურაზე ჩაგრილებული დოქის რაკრაკს ვუსმენდეთ?

— უჰ, უჰ, საღერღელი ნუ ამიშალე, თუკი დაუსხამ წიქასა, წვეთს არ შეარჩენს ჭიქასა...

კომისიის დანარჩენმა წევრებმა ყური ცქვიტეს, აბა, გურამ ბატონი რას უპასუხებსო.

ამანაც არ დააყოვნა:

— ნახეთ, ბიჭებო, ტრაბახი, ჩამობერებულ ხარისა, რის დამლევიც ხარ, კარგად გცნობ, მოწმეებიც მყავს ამისა!

წიქამაც მაშინვე ტყვია ტყვიაში ჩასვა:

— თვალში ნუ გეცოტავები, არ შეგაცდინოს ხარისხმა, საღამოს ჩემთან ჩავუსხდეთ, თუ იმედი გაქვს თავისა!..

ამ პაექრობამ ცოტა მოახალისა სიცხით შეწუხებული კომისია. გამოცდა დაიწყო. წიქა დორეული პირველ მერხზე თმაგადატკეცილ, ნაწნავებიან აბიტურიენტ გოგოს ჩამოუჯდა.

„როგორი ქართული სახე აქვს, თვალებიც, ჩვენი ბანოვანი ქალებივით ცხვირის კეხიც შვენის... ბავშვების პატრონები მაინც რამ გადარია, შინ ვერ დაეტევიან?! ჩემ ახალგაზრდობაში, ვინ იცოდა, სად ვაბარებდით... მოვილაპარაკეთ რამდენიმე თანაკლასელმა, მოვედით და აღმოსავლეთმცოდნეობაზე ჩავირიცხეთ..“. – კომისიის თავმჯდომარეს თვლემა მოერია (წინა ღამეს თარგმნამ შეიყოლია, ლამის თავს დაათენდა).

მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილმა სახეზე ხელისგული მიიფარა და თვალები მიელულა.

მალე დორეულის ხმამ მოაფხიზლა:

— რა ვქნათ, გოგონი, მაღალ ნიშანს სილამაზეში რომ ვწერდეთ, ვინ ოხერი, მაგრამ...

წამწამებზე ცრემლდაკიდებული აბიტურიენტი შეეცოდა. გვარი ჰკითხა.

წიქამ საგამოცდოს ჩახედა და გოგოს ნაცვლად უპასუხა.

— რაო? – ეგონა მოესმა.

გოგომ გაუმეორა.

ახლა სადაურობით დაინტერესდა.

პასუხმა საბოლოოდ გამოაფხიზლა.

ამას და ამას თუ იცნობო.

მამაჩემიაო.

აი, სასწაული თუ გინდა!

გურამ გვარამმა და დორეულმა შეთქმულებივით გადახედეს ერთმანეთს.

გაახსენდა კომისიის თავმჯდომარეს ჟორა-პანი და ის, წლებით ადრე, შემთხვევით, სუფრასთან გვერდი-გვერდ რომ მოხვდნენ.

შორიდან გიცნობთ, თქვენი თავგადასავლებიდან ზოგი რამ მსმენიაო, როცა გაშინაურდნენ, გამოუტყდა გურამი.

საპასუხოდ, ჟორა-პანმა, გვარამის თარგმნილი ჰაფეზი წაიკითხა. გაუკვირდა, სად ჰაფეზი და სად საკავშირო მნიშვნელობის აფიორების დიდოსტატიო!

თუ რამეში გამოგადგებით, მიმსახურეთო, შესთავაზა „დიდოსტატმა“.

მთაში, ექსპედიციებში, სასიარულო ტრანსპორტი დამიძველდაო.

რომელი გნებავთ, ნივა თუ ვილისიო.

თავმდაბალი კაცი ვარ, ვილისს თუ გამიხერხებთო...

ხვალ რუსეთში მივფრინავ და ორ კვირაში მანქანა თქვენს ეზოსთან იდგებაო.

იმავე საღამოს ჰონორარებით შეგროვილი ხუთი ათას ხუთასი ჩაუჯიბა.

თავიდან ჟორა-პანი შეყოყმანდა, ჯერ საქმე მოვაგვაროთ, თანხაზე მერე ვილაპარაკოთო, მაგრამ გურამი არ მოეშვა, მერე ეშმაკისაა, მისაღებს რომ მიიღებთ, უფრო მეტად მოინდომებთო.

უფალო, ხომ მოწმე ხარო, მხრებაჩეჩილმა ზეცისკენ აღაპყრო თვალი და, რა ექნა, ამანაც „მიიღო“.

შებახუსიანებულებმა ხუმრობით საათზე დროც კი დაინიშნეს, აქედან მოყოლებული, ორ კვირას წუთიც არ გადასცდებაო და ერთმანეთს დაშორდნენ...

დაშორდნენ და დაშორდნენ...

ჩაირთო წამზომი და მას შემდეგ, ვინ მოთვლის რამდენმა ორმა კვირამ შემოურბინა მარათონელივით დროის ციფერბლატს. დორეულმა საერთო ნაცნობები მოძებნა, ჟორა-პანი მოგვანახვინეთო.

მაგის ნდობას, სჯობდა, ფული წყლისთვის გაგეტანებინათ, მინგეჩაურისკენ, მტკვარი მაინც დაგრჩებოდათ მადლიერი... ჟორა-პანის გზა-კვალს თუ თავისით არ გამოგვეცხადა, ვერავინ მიაგნებს, ეგ იგივეა ბაიკალის ტბაში ნემსის ყუნწი იპოვოთო.

გადაუწურეს იმედი. რაღას იზამდა, დანაკარგი ისე აღარ აწუხებდა, როგორც ჯავრი, ღლავივით რომ წამოეგო ანკესზე. თუმცა, რა ჰქონდა ძალიანაც გულდასაწყვეტი, „ნემსის ყუნწი“ ისეთ საქმეებს სჩადიოდა, თავად სამართალდამცავებიც ვერ მალავდნენ აღტაცებას.

შესვენებისას, პირველიდან ორამდე, ერთი საათით ნაყიდ დირექტორის კაბინეტში, როგორც ვითომ წარმოების ხელმძღვანელმა, წერილობით გასცა ყალბი ბრძანება, რომლის საფუძველზეც შავმიწანიადაგიან ცენტრს მანქანა-ტრაქტორები გამოუყო.

რამდენი დაჯდა ქარხნის „დირექტორთან“ გარიგება, მხოლოდ საქმის ჩასაწყობად ცენტრიდან მივლინებულმა შუამავლებმა და ჟორა-პანმა იცოდნენ.

სიტუაციიდან გამომდინარე, მეტი არც იყო საჭირო!..

ჩემი ახირება კი არ არის, რასაც ვაკეთებო, –

აღიარა ჟორა-პანმა გურამთან საუბრისას, – მექრთამეობა აღებ-მიცემობის ხიმინჯებზე შემდგარი სახელმწიფოს დაკვეთაა. ქურდები, ყალბისმქმნელები, გადამგდებები თუ ჯიბეებზე მონადირე წვრილფეხობა ისევე სჭირდება, როგორც ქვეყნის მმართველი სტრუქტურები... სახალხო დოვლათს ნაღები რომ მოხადონ და ხიმინჯები არ ჩამოეშალოთ, ძალიანაც აწყობთ ჩვენნაირი არაფორმალური გაერთიანებები... ვითომ, ვის საკეთილდღეოდაც მოხდა რევოლუცია, იმათ ისევ თავწაღუნულმა უნდა უერთგულონ უფლის მცნებას, „ოფლითა შენითაო“... დანარჩენებმა კი... მექრთამეობის ვოლგაზე უფრო წყალუხვი მდინარეები თქორავენ, აპოხიერებენ ილიჩის ნაანდერძევ სისტემას... ასე რომ, სახელები გვაქვს სხვადასხვა, თორემ ჩვენც და ხელისუფლებასაც ერთი და იგივე თაფლის ჯამში გვაქვს ხელი ჩაყოფილიო.

„მერე თაფლის ჯამის მსგავსს რას მიგულებდი, ხიმინჯების დუღაბო, ფულიანად კვალწმინდად რომ დამეკარგე, – გურამ გვარამმა თვალი გოგოს გაუშტერა, თითქოს პასუხს იმისგან მოელოდა, – რა ვქნათ, ახლა, ჩემო ამშენებელო, როგორც იმსახურებ, ისე მოვიქცეთ, თუ...“

— იცის რამე ჟორა-პანის ასულმა?

დორეული დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

— სამიანზე ქაჩავს!

— მერე ყოფნის?

— რომ ყოფნიდეს ხომ... არ ეკუთვნის, თორემ, ვინ ოხერი... მხოლოდ ხუთიანი!..

— ხუთიანი თუ ხუთი ათას ხუთასი! – თავის ნათქვამზე თვითონაც გაეცინა და დორეულსაც.

„რა ვქნათ-მეთქი, ჟორა-ბატონო, ვერ გაიგე?.. თუ გაცილებულ ცოლთან მიტოვებული შვილიც გადაგდებული, გამეტებული გყავს და შენთვის სულერთია..“.

— ანგელოზივით კია, ეს მამაძაღლი!.. – წიქამ საგამოცდო წინ დაუდო.

გურამმა ფურცელს ხელისგული ნელა გადაუსვა, ერთხელ, მეორედ, თითქოს მტვერს წმინდავსო, მერე გრაფას თითი გააყოლა, ნიშანი ჩაწერა და ფურცელი ისევ დორეულისკენ გააცურა. წიქამ ნიშანს ჩახედა, მხარზე ხელი მოუთათუნა და კეფაზე აკოცა.

პირველ სექტემბერს, უნივერსიტეტში კათედრაზე წასასვლელად რომ ემზადებოდა, დილის ვარჯიშიდან დაბრუნებულმა შვილმა, ოთახში მიიხედ-მოიხედა და იკითხა, ასე ადრიანად მანქანით ვინ გვესტუმრაო.

გურამმა ფანჯრიდან გადაიხედა.

ეზოს წინ ჭიშკარზე ცხვირმოდებული ვილისი იდგა.

ალაყაფის კარი გაჯახუნდა. გარეთ გამოსული გურამის დანახვაზე ჩიხში მიყენებულ ნივაში მსხდომებმა მანქანა დაქოქეს და უკუსვლით თვალს მოეფარნენ.

ვილისში მძღოლის სავარძელზე, მანქანის დოკუმენტაცია და ჩვეულებრივზე მოზრდილი, მწვანე კონვერტი იდო.

ქალბატონო ბელადონაო! – ედმუნდოვიჩის საკონტროლო გასროლასავით გამიარა საფეთქლებში-მეთქი.

განა საქართველოში ამ სახელის მატარებელი რამდენი ქალი იქნება?!

— მიცანი? დავაკვირდი.

— ახლა კი... რა თქმა უნდა!

— მე მაშინვე, სასადილოში, როგორც კი კოვზის ასაღებად დაიხარე... აცქვეტილ ყურებზე დაგხედე თუ არა...

— ყურები ხომ არ შემეცვლებოდა...

— ყურები არა, მაგრამ ჩემი არ იყოს, შენც გვარიანად შეფერთხილხარ!

— კი, აბლაბუდობას ბევრი აღარაფერი მიკლია.

— გახსოვს, ჩემი ყოფილი ქმრის მეზობლად ნაქირავებში რომ ცხოვრობდი?.. ბოლო ხანებში, სიზმარში ხშირად ვხედავ.

— აცხონოს, ღმერთმა!

— თუ ძალიან გინდა, აცხონოს, ჩემი რა მიდის!

— ასეთი ავი არ მახსოვხართ!

— ხომ იცი, ნამსახიობარი ვარ და თითოეულ ასო-ბგერას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ, – ეს „თ“ საიდან მოიტანე?

— მოვიბოდიშო? კარგი, „არ მახსოვხარ!“

— მაშინ უფრო უკეთესი ვიყავი?

— ენა ვერ აღწერს, ისეთი!

— გეყოფა, ამხნის დედაბერი არ ამაცრემლო!

— განა აბლაბუდებიც ტირიან?

— მაშ, სატირლად სხვას ვისა აქვს საქმე?!

— „ეგ ბებრუცანა და ჩერჩეტი თავს არ ანებებს იმ დიდებასა, რომელიც სხვას გადასცა“... უბედურ ლირში გონერილას როლში პირველად რომ გნახე, ისეთი ურცხვი და ბოროტი იყავი, მინდოდა, სცენაზე ამოვსულიყავი და შუაზე გამეგლიჯე!

— მართლა? რატომ აქამდე არ მითხარი, ეგ ხომ ყველა ქება-დიდებაზე ძვირფასია, რაც კი თეატრმცოდნეების ჩემთვის მოძღვნილ ნაბოდვარში ამომიკითხავს!.. ასეთი ავი არ მახსოვხარო!.. ამ მოძალადე წუთისოფელში, მე რომ გავიარე, მოდი და ნუ გაავდები – შხამიანი ბალახის სახელიც, ალბათ, ამიტომ დამარქვა მამაჩემმა...

— რამ მოაფიქრა...

— ყველაფერ იტალიურზე გიჟდებოდა, მუსიკით დაწყებული და მაკარონით დამთავრებული... ბელადონა ჟღერადობით შემირჩია და შინაარსზე არ უფიქრია.

— ბალახ ბელადონას ისეთი შხამი აქვს, სამკურნალოდაც იყენებენ.

გაეცინა.

— თუ მკურნალობამდე გაუძელი და შხამ-

მა არ მოგინელა!.. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, გონერილას როლის შემსრულებლის ნაცვლად სცენაზე როცა შემიშვეს... „მამას“ კარისკენ რომ მივუთითე და მწარე სიტყვებითაც შევამკე, დიდმა მაესტრომ, სახალხო არტისტმა, სათაყვანო ბატონმა სერგომ, ისეთი თვალებით შემომხედა, დამავიწყდა სცენაზე რომ ვიდექი და ლამის ამოვიკნავლე, მაპატიეთ-მეთქი... მაშინ მივხვდი... როგორ შეიძლება ის შემოხედვა, იმედგაცრუების, ტკივილის, გაოცების, გულისდაწყვეტის გასაოცარი ნაზავი, სიტყვებით რომ ვერ გამოითქმება და ვერც მონოლოგით ჩაანაცვლებ, ხსოვნიდან ამოიშალოს... უკვე ისეთ ასაკში ვიმყოფები, იქითკენ უფრო ვარ, ვიდრე აქეთ... ასე მგონია, თუ რაიმეს გავიყოლებ, დავიმგზავრებ ამ წუთისოფლიდან, ეს შემოხედვაც იქნება... ალბათ, რას ბოდავსო, გიკვირს!.. კიდევ უფრო უნდა გაგაოცო... რაც თეატრიდან წამოვედი და აქეთ გადმოვიხვეწე, ცხადში თუ სიზმარში, დღემდე ერთ როლს ვთამაშობ, რომელიც არც ბუნებაში და არც წიგნის ფურცელზე არ არსებობს — ის მეოცნებე, ბრძენმა შეშლილმა გამოიგონა, ვინც თავის დროზე სილა გააწნა კაცობრიობას და ამ სილის ექო დღემდე ყურის ბარაბნებს გვიხეთქავს... დაგღალე? ძველი ნაცნობობის ხათრით, ცოტა კიდევ გამიძელი... აქაურ სიყრუეში ძლივს მომსმენი გამოგიჭირე!.. რას ვამბობდი? – საფეთქელზე საჩვენებელი თითი მიიჭირა, – ჰო, უსიტყვო როლი, იქნებ პანტომიმა, ზღვარდაუდებელი ფანტაზიის ნაყოფი, ჩემთვის ჩამოქნილი, დილის კამკამა ნამივით, ხელისგულიდან ხელისგულზე სანანავებელი, „ყველა ქალწულზე უბედნიერესი, მშვენიერების ჯავარი და შარავანდედი“...

— მაშ, ის ჯადომოხსნილი, იდალგოს ნაოცნებარი ქალბატონი, შენ ბრძანდები?

— არ ვიცი... შეიძლება... მე არ მითქვამს... შენ ამბობ...

— მზად ვარ, ჟორა-პანივით ქედი მოვიდრიკო და ხელზე გემთხვიო.

— მაგრამ ეს ხელი ის აღარ არის, შენ რომ გახსოვს, დაძარღვული, ჭკნობაშეპარული ფოთოლია... არც ხმა, მწეველი და სასმელთან გაშინაურებული კახპასავით რომ დამიბოხდა!.. აღიარე, როცა მეზობლად ვცხოვრობდით, ცოტათი ხომ შენც მოგწონდი?.. ოცი წლის ცხვირმოუხოცავს, ოცდაათი წლის დედაკაცი!..

— განა ხელისგულიდან ხელისგულზე მოგოგმანე ნამს ასაკი აქვს?

— ეს – სცენაზე... ცხოვრებაში კი... გმირად რომ იქცე, არავის უნდა ჰგავდე, შენი განსაკუთრებულობის მონეტა უნდა მოჭრა... ვიღას სჭირდებოდა, ლეგენდარული როსინანტიდან ჩამოქვეითებული, ყველას დამსგავსებული, დაჭკვიანებული იდალგო, ალონსო კიხანო... იმათგან აღარაფრით გამორჩეული, გარეშემო რომ ეხვივნენ... ან მე ვიღას დავჭირდები, თუ მისი საოცნებო ქალწულის აჩრდილიღა დავრჩები!.. – სათვალე მოიხსნა და თვალები ცხვირსახოცით ამოიმშრალა, – ამათ, სცენის მასხარა ვითომ მსახიობებს, ხომ ეტყობათ, რომ არ უგრძნიათ ნამდვილი სიტყვის მადლი... ემოცია გულიდან კი არა, ყელის ზემოდან ამოსდით... – მკერდზე ხელი მიიფარა, – აბლაბუდებიო!.. რა იციან, ამ აბლაბუდაში როგორი ნაღვერდალია გახვეული!..

— მე ვიცი!

— სასადილოში რომ ვერ მიცანი, თან მეწყინა, თან გამიხარდა... დიდი ქალაქიდან და თეატრიდან გამოვიქეცი, რათა წარსულზე უარი მეთქვა, ყველაფერი დამევიწყებინა... შენ კი იმ სასტიკ გვირაბში უკან შემაბრუნე... არ გეცოდები? ასე რატომ გამიმეტე, რად გამომეცხადე?! რას მერჩოდი! განა ისე დავჩაჩანაკდი, ძირს დავარდნილ კოვზს მე თვითონ ვერ ავიღებდი?! ხომ იცი, მაინც როგორი მაგარი ვარ! არ გახსოვს, ჯერ მარტო ყოველდღიურად სასმელში ჩამბალ გუდურას და გულღრძო დედამთილს რამდენ ხანს ვიტანდი, ვუძლებდი, ვიდრე... შვილი მაინც გვყოლოდა!.. მეგონა, ჩემი ბრალი იყო... ასე დამაკომპლექსეს საყვედურებით ქმარმა და დედამთილმა... მერე, გაცილების შემდეგ, მქონდა მიჯნურობის ერთი ხანმოკლე გაზაფხული და, შენ წარმოიდგინე, დავფეხმძიმდი... არავინ იცის, იმ ხანებში როგორი სიხარული მანებივრებდა, მაგრამ დილის რეპეტიციის დროს დეკორაციიდან ჩამოვვარდი... მოკლედ, მუცელი მომეშალა... ალბათ, ღმერთს არ უნდოდა... დამსაჯა, ოღონდ, არ ვიცი, რისთვის! – ხელი მკლავში ჩამავლო და შემანჯღრია, —
იქნებ, შენ იცი და არ მეუბნები? მიფრთხილდები, გული არ გამისკდეს?.. გახსოვს, ჩემებს როგორ უყვარდი, დედა უეჭველად რამეს მოგართმევდა, მამა კიდევ მაშინვე ჭადრაკს გაშლიდა, აბა, შევერკინოთ, ყმაწვილოო!.. მერე რიგრიგობით წავიდნენ, გამოყრუებულ ბინაში სიმარტოვე დამახრჩობდა, იმას რომ არ შევხვედროდი, უკვე დაღლილს, ოჯახურ სიმშვიდეს მონატრებულს... იცი, ჩემს წარმოდგენაში ჩამდგარ ქარიშხალს ჰგავდა, ზოგჯერ ხელახლა რომ ამოვარდებოდა, ცოტა ხნით გადაიკარგებოდა და ისევ უკან ბრუნდებოდა, ჩამცხრალი, მშვიდი, ღიმილით და საჩუქრებით...

— მახსოვს თქვენი გაცნობა...

— გაცნობამდე სამების ეკლესიაში ვხედავდი. წირვის დროს, შესასვლელიდან ხელმარჯვნივ, ჯვარცმასთან იდგა ხოლმე, მაღალი, ჭაღარა, მხრებში ინტელიგენტურად მოხრილი...

— ინტელიგენტურად?

— ეგრეა, განსაკუთრებულები ინტელიგენტურად იხრებიან, დანარჩენები იკაკვებიან!.. ჰო, იდგა და ხელები მკერდზე ჰქონდა გადაჯვარედინებული... მეც შორიახლოს ვიდექი, ლოცვანს ჩაჩერებული... მოსანანიებელი ორივეს საკმარისად გვქონდა... მერე შენ მოხვედი და ერთმანეთი გაგვაცანი...

— მაშინვე ინტელიგენტურად დაიხარა და ხელზე გეამბორა!

— იმის მუჭში ჩემი ხელი თავისუფლად იმალე-

ბოდა, თავს ჩიტივით მშვიდად, მყუდროდ და მოხერხებულად გრძნობდა...

— გაგაცანი თუ არა, შენი როლები გაიხსენა ფილმებიდან!

— უნიჭო როლები!

— ის ასე არ ფიქრობდა!

— რას ფიქრობდა, ბოლომდე გაუგებდი?.. მერე კაფე „მეტროში“ მიგვიპატიჟა, შამპანურზე... მერე უშენოდ შევხვდით, მერე... ყველა შეწუხდა, ჩვენი დაახლოება რომ გაიგეს, ისეთი სახელი ჰქონდა, მაგრამ გაიცნობდნენ და უცებ იხიბლებოდნენ... მეგობრებიც ზრდილი და თავაზიანები ჰყავდა... სასაუბროდ რომ დასხდებოდნენ, გვერდით ოთახში გავდიოდი. არა, თვითონ არასოდეს უთხოვია, დაგვტოვეო, მე თვითონ... უფრო ხშირად შინ იყო, სავარძელში ჩაძირული გაზეთს ან წიგნს კითხულობდა... მიტინგობანა როცა აგორდა, იქაც დადიოდა და გაღიზიანებული ბრუნდებოდა, დიდ, მტაცებელ მეზობელს ფეხებს რომ უბაკუნებ, ჩემი ტერიტორიიდან წაეთრიეო, თუ დაიკიდა შენი ბაკუნი და არ წაეთრა, მერე რა უნდა მოიმოქმედო, წინასწარ უნდა გქონდეს მოფიქრებულიო. ისე რა აზრი აქვს ხალხის აბუნტებას, ერთი ადგილით კაკლის მტვრევას, გამოდის, რომ მოგზავნილი აგენტი და პროვოკატორი ხარო!.. კი, ზოგჯერ შვილი მოჰყავდა, დაისვამდა წინ, მაგიდასთან და უყურებდა... წამალი რაა, ერთი აბიც არ ჰქონდა გასინჯული, თანდათან გულმა აურია... მოკლედ, ჩემთვის ეს მოქმედებაც დამთავრდა, ბინა და ცხოვრება კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დაცარიელდა... აკივლებული გვირაბის ორპირმა ლამის ჭკუიდან გადამიყვანა – მივატოვე თეატრი, სახლი გამოვკეტე და უკან მიუხედავად გამოვიქეცი... მეგონა ვინმე ჩემი მოკრძალებული დამსახურების გამო მაინც მომიკითხავდა, შეწუხდებოდა... შენც არ მომიკვდე! ისე გავქრი, არავის გახსენებია ჩემი არსებობა და არც მე წამიჭამია ვინმესთვის თავი... ასე მერჩივნა კიდეც, „იყო და არა იყო რა“... ჯერ კეთილმა ახლობლებმა შემიფარეს, ახლა კი მოწყალების სახლმა. უკვე სადილის კოვზსაც ვერ ვიმაგრებ და ხელიდან ძირს მივარდება...

— დღევანდელი სცენა ისე არ არის განებივრებული შენნაირებით, რომ მაყურებელს დაავიწყდე.

– ეჰ, სადღაა ის მაყურებელი ან ის კინო და თეატრი!.. აგერ, ჩემი ბოლო სპექტაკლი, აქ თამაშდება: უკანასკნელი იმედი არისტოა. კარგად შეკრულ კუბოს მპირდება და, იმედია, ეს მაინც არ დამაღალატებს... – ხელჩანთიდან დაკეცილი ცხვირსახოცი ამოიღო და თვალის უპესთან ფაქიზად გადაისვა, ნაოჭები გადაისწორა.

— იქნებ გადაიფიქრო და ფეხი ჩამოგიცდეს.

— არა მგონია. ადამიანი ამტანი და ყველაფერთან შემგუებელი ცხოველი ყოფილა!.. აგერ, გელოდებიან თანამგზავრები... დავიწყებულის გახსენებამ მეც თავი ამატკივა. წავალ, ჩემს სამადლო საწოლში მოვიკუნტები, – რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ მომიბრუნდა, – დეკორაციიდან რომ არ ჩამოვვარდნილიყავი, იქნებ... – სახეზე მოსმული ხელით ტუჩებთან გამომკრთალი მწარე ღიმილი წაშალა და მთხოვა, როცა უკან დაბრუნდები, სამებაში, ჯვარცმასთან, ერთი კაცის სახელზე კელაპტარი აანთეო.

ეგრე ვიზამ-მეთქი, თავი დავუქნიე.

* * *

„რა ხდება, თომა, ერთმანეთს ლაპარაკს რატომ არ აცლიან?“

„კიდევაც რომ აცალონ, ერთმანეთის ნათქვამს მაინც ვერ გაიგებენ“.

„როგორ, დარბაისული, ტკბილხმოვანი ბესტაეთური...“

„ოჰ! ვიღას ახსოვს...“

„მაინც რაო, რას ამბობენ, რა გვინდაო?“

„ეგ რომ იცოდნენ, რაღა უჭირთ. ან ბესტაეთს, ანდა ამბობენ იმას, რაც არ უნდა თქვან და, რაც უნდა თქვან, იმას მალავენ“.

„მაშ, აქეთ რატომაც მოვიჩქაროდი, იავარქმნილია და დიდი იმედგაცრუება მელოდება?“

„იმედგაცრუება თუ გაკმარეს... ზოგჯერ სჯობია საოცნებოს შორიდან ელაციცო, ვიდრე ახლოს მიხვიდე და ის არ დაგხვდეს, რასაც ელოდი“.

„მირჩევ უკუვიქცეთ და ჩემი უმანკო შროშანი ამ ჭაობს შევატოვო?.. ამას ვის ვხედავ! ჩემი რაინდული თაყვანისცემა, მშვენიერო ქალბატონო, დონა როზალია! თუ საიდუმლო არ არის და გაიმხილება, იქნებ მიბრძანოთ, აქეთ რა ქარმა გად- მოგისროლათ? აი, შეხვედრა – ოთხი საუკუნე, იქნებ ხუთიც, ცოტა ხომ არ არის, მაგრამ მაინც უძლურია ძველი მეგობრის დასავიწყებლად!.. პირველად რომ გნახეთ, უკვე ტობოს ასულის სიყვარულის ნესტარი წიწკნიდა ჩემს გულს, თორემ...“

„სომბრერო რომ მოაფრიალეთ, ქალს სად ხედავთ, ბატონო!“

„ჩემთან სომბრეროს რა უნდა? ჩაჩქანი!“

„დიახ, დიახ!.. საიდან მობრძანდებოდა, ეგ თქვენი უხილავი დონა როზალია?“

„საგვარეულო მამულიდან... მწუხარე იყო – ქმარი დაუკრძალავს საცოდავს!“

„მერამდენე?“

„გამოიანგარიშე, ფილიპე გულქვას შემდეგ, მერამდენე იქნებოდა... ეტყობა, შენს დედაკაცს ჩვენი ბაასი არაფრად ეპიტნავა, აგე, მოშხუის, რაღაც ორყურიანი, სპილენძის...“

„სპილენძი ვინ მოგვაშავა, თუჯი იქნება!“

„მადლობა ღმერთს, აგვაცდინა!.. აკი გითხარით, ქალებს მიზანი არ უვარგათ–მეთქი“.

„მერე, ვინ გითხრათ, რომ ქალია?“

„რაღაც ან ვიღაც ხოა?“

„ერთი ტაფაღა დაგვრჩა და ნეტავი ისიც გამოაშხუილოს, ჩვენც მოვისვენებთ და ისიც!“

„თუ ნამზითვია, ვერ გაიმეტებს!“

„იცნობდეთ და...“

„უნდა შეუნდო, თომა, რა ქნან დედაკაცებმა, მეტს ვერ ქაჩავს მამაკაცის ნეკნის ძვლის ტვინი“.

„გესმით, ბატონო, თქვენზე რას ამბობენ? ორსახოვანი კი არა, სამსახოვანიაო – ჩრდილოეთის დიდი მთავარი როცა იყო და ხალხს დასახვრეტად ბღუჯა-ბღუჯა აგზავნიდა, ერთი შემსრულებელი ჰყავდა, მსხვერპლს მაინცდამაინც კეფაში ტყვიის დახლით ისტუმრებდა იმქვეყნად, ამიტომაც „კეფა“ შეარქვესო... ეგეთი უკუღმართი ბრძანდებოდა, წინიდანაც კი, სახეში რომ უყურებდა ადამიანს, მაინც კეფას ხედავდაო“.

„დავფიქრდი თომა და, სხვები გავიხსენე, ეგ „კეფა“ კი ვერა!“

„შემსრულებელი!“

„ვერა-მეთქი! მგონი, ისევ მახსენეს!.. რაო, მარტო განაჩენის გამომტანია დამნაშავე, შემსრულებელს ბრალი სულ არ მიუძღვისო?“

„იმდენივე, რამდენიც სწორ ნაწლავს, რომელიც მხოლოდ იმას გაატარებს, რასაც კუჭის წვენში მოთქვეფილს ჩააწოდებენო“.

„მაშ, ჩემს ავხორცს შვილებსაც ეპატიათ, მამის ცოდვას თავისიც რომ დააწონეს?“

„ეგრე გამოდის... ურცხვ დედაკაცებს სამეფო როგორ გაუყოო... გავასწროთ, ბატონო, თორემ ხომ ხედავთ, ამდენი ხალხი ჭკუასთან ჩვენზე მწყრალად ყოფილა“.

„რატომ გიკვირს, დიდ ქვაბში უფრო დიდი სისულელე და უმეცრება იხარშება!“

„მითუმეტეს, გავეცალოთ აქაურობას!“

„გავეცალოთ, მაგრამ ბედისწერას სად გავექცევით! ისე როგორ უკუვიქცეთ, ამ ჭაობს გარეშემო რომ არ შემოვუჯირითოთ!“

„როგორც გენებოთ... თავს არც დაგიქნევთ, არც გადავაქნევ, დუმილის უფლებას გამოვიყენებ“.

„გახსოვს, ერთ ვაჭარზე მოგახსენებდი, როდესაც უნდა დამტკბარიყო თავის მონაპოვრით, ფეხი მაშინ გაჭიმა-მეთქი... დარჩა ოხრად სასახლეები, გემები, ზანდუკები, მამულები, მონები..“.

„რა ქნეს ჭირისუფლებმა, რა გაატანეს თავისი მონახვეჭიდან, საიქიოში რომ მომსახურებოდა, ერთი მონა მაინც თუ ჩააყოლეს სამარეში?“

„მაგას ვინ ჩივის, ლალისთვლიანი ბეჭედი, მარჯვენა ხელის არათითს რომ უმშვენებდა, მიცვალებულს ისიც კი წააძრეს და ალეპოში თურქს მიყიდეს“.

„ეგ რომელ თურქსა, სვეგამწარებულმა მავრმა ფეხქვეშ რომ გაიდო? ან რა დროს მავრია, ბატონო, აკი გითხარით, აქაურობას გავეცალოთ-მეთქი!“

„უკან დავბრუნდებოდით, მაგრამ რა შეიცვლება? გზადაგზა, რაც მარჯვნივ იყო, მარცხნივ დარჩება, რაც მარცხნივ – მარჯვნივ... რაო, მართლმსაჯულებას გამოქცეული ავაზაკები ხართ და უნდა დაგსაჯოთო?.. უთხარი, თომა, ჩვენ, დიახაც, გამოვიქეცით, მაგრამ, იქიდან არა, მაგათ რომ ჰგონიათ... ანდა, რად უკვირთ, მას შემდეგ, რაც დედის მუცლის ტყვეობიდან კაცი თავს დაიხსნის, იმის მერე სულ გარბის და გარბის, ალბათ, იმის შიშით, ვაითუ, ისევ უკან დააბრუნონ და, ხმა რომ ვერ ამოიღოს, ჭიპლარი ხელახლა ჩატენონ პირში... სახრჩობელები რატომ დაუდგამთ, ერთი მაღალი და მეორე დაბალი?“

„რამდენჯერ უნდა გითხრათ, მაღალით თქვენს ახოვანებას სცეს პატივი, დაბალზე კი...“

„ერთი შეხედე! ამ წალკოტში, ამ მდიდრულ კატაფალკას რა უნდა?! ნუთუ აქაც კვდებიან!“

„კვდებიანო?.. თუ კვდებიან, აქა კვდებიან!.. რომ არ ცხელოდეს, თქვენი კეფასავით გადახრუკულ ველზე წალკოტსა და კატაფალკას ვერ აღმოაჩენდით!“

„იქნებ, პირიქით, სიცხემ შენ დაგკრა და დანახვის უნარი წაგართვა?“

„არა-მეთქი!“

„იცის შიმშილმა, თვალსა და გონებას დაგიბინდავს და, საკუთარი მუცლის იქით ვერ იხედები... აჰა, მოგვიახლოვდნენ. ჩამოხდი მაგ პატივცემული სახედრიდან და მუხლი მოვუყაროთ უკანასკნელ გზაზე მიმავალს!.. ვხედავ, გაუტანელმა სოფელმა არც შენ დაგინდო, სწორუპოვარო წინამბრძოლო და მრავალ ციხეთა ამღებო!.. ვაჰ, ჩემს მოსწრებას, სახელოვანო დონ ანხელ! ერთიღა იყავი ბესტაეთის ცის კაბადონზე და აჰა!“

„ფრთხილად, ბატონო, მაგ გალაწლაწებულ შუბლს კიდევ მუშტის შემოკვრა უნდა?!“

„დიდი მწუხარება რას არ ჩაგადენინებს!“

„ეტყობა, ქვრივის მძიმე ძაძებით შემოსილ ქალბატონსაც, მხარბეჭიან მეკატაფალკე ჯეელისკენ თვალი რომ გაურბის, დიდი მწუხარებისგან მოსდის“.

„ნუ ეჭვიანობ, უზომო დარდმა უნებლიე თვალის გაშტერებაც იცის, მთავარია, საქმით არ შესცოდოს“.

„მიწას როგორც კი მიაყრიან, ცხონებულ რაინდს, „საქმეც“ იქნება... თუ გნებავთ, ნიძლავს ჩამოვალ!“

„ჩამოდი, თანახმა ვარ, მაგრამ ორი ჯიბეგახვრეტილი, არაფრის პატრონი, ერთმანეთს რაზე ვენიძლავებით?“

„მზად ვარ, ახლა ჩემს ჯიბეებს რომ ამძიმებს, ეს „არაფერიც“ წავაგო, თუ ამ ღამესვე, ქალბატონის კრუსუნი მთელ ბესტაეთს ძილს არ დაუფრთხობს... ქვრივის რა მოგახსენოთ, მაგრამ, თან რომ ანგელოზივით გერი ახლავს, ვაითუ, თავის საძრახის „ხელობას“ ნაადრევად აზიაროს!“

„სამწუხაროდ, პატარას და უცოდველს, უფრო ადვილად გადაიყვანენ ხოლმე წესიერების გზაწვრილიდან... რომ იცოდე, თომა, მხოლოდ მუცლითშობილი კი არა, წესიერი ქვეყანაც ადვილად ირყვნება... შორს რომ არ წავიდეთ, აგერ ჩვენი ბესტაეთის მაგალითი წინ გვიდევს! ყველა სიკეთით შემკული და თავმომწონე მოძალადე განუკითხაობამ უმეცრების, უსიყვარულობის, ურწმუნოების, სიძულვილის ბუდედ აქცია... ამ ბუდეში დადებული კვერ-

ცხებიდან, როგორი მომავალი გამოიჩიკება, ხომ წარმოგიდგენია!“

„მოძალადე არც ძველად აკლდა, მაგრამ ასე მაინც არ წაქცეულა!“

„მოძალადეს გააჩნია, თუ გარდაუვალია, მტერი ისეთი უნდა ინატრო, უკულტურობის იღლიაში ნაცოდვილარ, ფეხისგულების ფხანით ჭუჭყჩამკვდარ, ფრჩხილებიან ხელს საერთო ქვაბში მაინც რომ არ ჩაგიტანტრის!“

„როგორც ვხვდები, ბატონო, ორიდან ერთი ცხვრის გასაპარსი დუქარდის ან ნეხვის ასახვეტი ნიჩბის ასაწაპნად გაწიოკებს, მეორე კი, ვითომ, მოყვრად მოსული გადამთიელი, შენი ფესვის გახმობას ცდილობს... მეორე რომ პირველზე უარესია, მგონი, ნიძლავის გარეშეც დამეთანხმებით!“

„აკი ბევრჯერ გითხარი და კიდევ გაგიმეორებ, კოლეჯში მაინც უნდა ასწავლიდე და უნიჭო ეპიტაფიების მთხზველი, ბაკალავრი სამსონ კარასკო, თავს ვერგილიუსის მემკვიდრედ რომ რაცხს, თითის აწევით გელაპარაკებოდეს!“

„მეტისმეტია, ბატონო, ზედმეტად ცხიმიანი ქება გულს აყირჭებს და თავგზას გიბნევს... დუმას იმდენი უნდა ჩამოათალო, რამდენსაც შეირგებ და მოინელებ!“

„თავმდაბლობა კაცის ზნეობის მთავარი სამშვენისია... ჰოდა, თუ გადააკრეს ბინდი შენს სიფხიზლეს, გაუტვრინდი პირის გემოს საამებლად დადგმულ სალაფავს, გარეგნულად ვითომც არაფერი, ერთხანს ისევ მწვანედ შეფოთლილი ნაყოფით დახუნძლული ღაღანებ, მაგრამ თანდათან ფესვებიდან დაწყებული ხმობა გულ-გვამს გიფუტროვებს... სწორედ ფესვებზე მონადირე მტრის მოწეული, დაჭიანებული ნაყოფია ეს ხალხი“.

„საკითხავიც აღარ არის, მაგ ნაყოფის ნაყოფი რაც იქნება... არ აჯობებდა, სოფლიდან ან ჩარწყილული ფუნდუკიდან ფეხი არ გამოგვედგა?.. თქვენი წყალობა რომ მქონდეს, ახლავე დეზსა ვკრავდი და უკან დასაბრუნებლად გავიჭრებოდი!“

„ხალხს შეჩვეულ მათრახს როგორც კი მოაკლებ ან დაუგვიანებ, თვითონვე მოგთხოვს, აქავებული ზურგი აუჭრელო!.. ჩემგან იცოდე, ვერ იქნება მაძღრისა და მშიერის ლოცვა ერთნაირად გულმხურვალე. მე როცა მფლანგველი, აბუქა მეფის გვირგვინის ნაცვლად, ჩრდილოეთის მბრძანებლის ყრონტამდე ღილებშეკრული, უბრალო, ხაკის ქურთუკი მეცვა, ვცდილობდი, საერთო სუფრასთან ყველა ერთნაირად მიმეშვა...“

„ანუ მთა და ბარი გაგესწორებინათ!“

„შეიძლება ასეც ითქვას“.

„მერე, აქედან გამომდინარე, რა დაასკვენით?“

„რამდენი პირნათელიც უნდა მოავლინოს ღმერთმა ადამიანი, უკან იმდენივეს გაშოლტილს, ეკლის გვირგვინით და ჯვარზე გაკრულს დაუბრუნებს, თვითონ კი ძველებურად გააგრძელებს გვირაბში ფორთხიალს, თავის ცოდვებით დამძიმებულ არსებობის ისტორიას“.

„ეტყობა, ცოდვებში იმდენი მაცდუნებელი ნუგბარია...“

„ალბათ, თორემ, განა პატარა მაკედონიის მსუყე ბალახის ყუათი ბუცეფალისთვის არ იკმარებდა, ალექსანდრეს შორეული განგის ნაპირებზე რომ არ ეძოვებინა?.. აგე, შეგვნიშნეს და რაღას ელოდებიან, აღსასრულთან ხომ ჩვენი ფეხით მოვედით?!“

„ვაი, ჩემს მოსწრებას, თქვენი ძლევამოსილი შუბი ჩინჩხვარივით დააქუცმაცეს, მახვილი კიდევ...“

„მართალია, ძველებური კბილთა ღრჭენა აღარ მანებივრებს, მაგრამ მარწუხებს, მაჯებზე რომ მახვევენ, ახლაც გადავღრღნიდი, როგორც წნელის ლიფლიფა ღეროს!“

„მერე, რაღას ელოდებით?“

„თუ ბესტაეთს აღარ ვჭირდები, აღსრულდეს, რაც ბედისწერას ნებავს!“

„ბატონო, მპირდებოდით, გვირაბის ბოლოს სინათლე შეგვეგებებაო... ნუთუ ისე უნდა აღვესრულო, შეპირებული ვერ ვიხილო!“

„იხილავ, თომა, თავად სხეულია გვირაბი კაცისა, აღსავსე მრავალნაირი განსაცდელით, მწუხარებით და ცოტა ბედნიერებით... გახვალ სხეულიდან, მორჩები ამქვეყნიურ სატანჯველს და იხილავ ნათელს, დიად ნათელს“.

„მესმის, მაგრამ მე მაინც ეს სატანჯველი, ამ გვირაბში ყოფნა მირჩევნია... მშიერ-მწყურვალს, თავი არც უგზო-უკვლოდ საწანწალოდ მენანება... უკანგამობდღვნილ შარვალსაც ავიტან, დედაკაცის წყევლა-კრულვასაც, თქვენთვის მოქნეულ კომბლებსაც, უფრო ხშირად მე რომ მხვდებოდა... არ მინდა გასვლა, ბატონო, ამ გვირაბის სიტკბოებაც ვიცი და სიმწარეც, იმ სინათლისა კი, აბა რა გამეგება!.. რაც გამომიცდია, ის მირჩევნია!“

„გარდაუვალი ვის შეუჩერებია, თომა!“

„თუ ეგრეა, ნუ შევაჩერებთ, მაგრამ რაღა ამ ჯოჯოხეთის მსახურების ხელით...“

„არც პირნათელის ამქვეყნიური ყოფნის ყვავილი მოუწყვეტიათ ფრთიან ანგელოზებს!“

„გონებით გეთანხმებით, ოღონდ გულით არ მეთმობა... შიმშილით გავძღე მირჩევნია, ვიდრე სასუფეველში ცის მანანამ მომაყირჭოს... თვალები ისე მოგიწყლიანდათ, ნიძლავს ჩამოვალ, სიცოცხლე არც თქვენ გეთმობათ!.. აიშალა ბუზანკლების ნაყარი

– სიკვდილი ლამანჩელსო! განა თქვენზე უფრო კეთილშობილი უცოდველი დედამიწის ზურგზე ვინმე შობილა?! თუ არ უნდათ, რომ სახრჩობელა მოაცდინონ, არჩევანი განა ცოტაა? თუნდაც სამეფოს გამნიავებელი გვირგვინოსანი ან ჩრდილოეთის დიქტატორი, დიდი მთავარი, ანდა... არა და არაო, თქვენ ზომაზე განასკვეს თოკი და დაწნეს ეკლის გვირგვინი, თავისი ხალხის ნაძარცვში მოფუთფუთე ბაობაბებმა!.. თქვე უღმერთოებო, ვიდრე სახრჩობელაზე ჩამოჰკიდებთ, თვალები მაინც აუხვიეთ, ეგ ურცხვი დედაკაცი რომ არ დაინახოს!.. ჰოი,

წყეულო ტობოს ასულო, ვინ იფიქრებდა, პირველი შენ თუ გაიქცეოდი სახრჩობელაზე იდალგოს ქვეშ შედგმული სკამისთვის ფეხის გამოსაკრავად?!“

* * *

თერაპიული განყოფილების დერეფანში წეროებივით აყინჩული, გორგოლაჭებზე შემდგარი წვეთოვანების სადგამები მირახრახებენ.

ერთ მათგანს ამასთანაც შეიტანენ. წევს გულაღმა.

ქუთუთოების თრთოლვაზე ეტყობა, რომ თვალის გახელა უჭირს ან არ უნდა.

შებერებული ხელი ხრიოკის ბელტივით უდევს საბნის პირზე. გაყვითლებულ ნებზე ერთმანეთში ჩახვეულან დამშრალ-დაწრეტილი სისხლძარღვები.

სადგამის ხმაურზე, ოდნავ აწეული ქუთუთოს ჭრილიდან მაინც გამოიხედა.

ექთანი გოგო, ამობრუნებულ მკლავის საკეცთან, თითების ტყაპუნით, ჩაძინებულ ვენას აღვიძებს.

ნემსის ჩხვლეტაზე ტუჩის კიდე შეუტოკდება.

ფანჯარას ზრიალი მოაწყდება და ჩარჩოიანად ლამის შიგნით შემოიტანს.

რა ხდებაო, თვალებით ჰკითხავს გოგოს.

— რაც აქამდე, ჩემო ბატონო, ერთ ამშენებელ ხელისუფალს სავარძელს აცლიან, რომ ახლა მეორე დააბრძანონ.

— უკანალის ზომა და გვარ-სახელები იცვლება მხოლოდ! – დაიჩურჩულა.

— დიახ... დიახ... მაგათი მოსვლა-წასვლის მეტი რა ვნახეთ!..

მიტინგის ამგორებელთა გნიასი და გულმოსული ექთნის კომენტარები შორიდან, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაესმოდა.

უკან, სამშობლოში საბოლოოდ დაბრუნებული, ოთხმოცდაათიანების მღელვარე ღვარცოფებსაც ხომ მოესწრო.

იმასაც, ამ ღვარცოფებს როცა გაურუეს, ჩააწყნარეს, რათა ქვეყნის დაკოჟრებულ კისერზე ერთი უღელი მეორეთი შეეცვალათ და თავიანთი სტაჟიანი დამაქცევარისთვის ხალხით გაძეძგილი მოედანი დაეჩოქებინათ, არ წახვიდე, არ მიგვატოვო, მოგვხედე და გვიპატრონეო.

ვითომ ჩრდილოეთის ყარა-ყორუმში დაწინაურებამდე, ერთხელ უკვე გამოცდილი არ ჰქონოდათ ამ კაცის პატრონობა!

უძღები შვილი მეორე სართულის რკინის მოაჯირიან აივანზე თანამოაზრეებთან ერთად იდგა, იმათთან, ვინც გზააბნეული, საქონელივით აბღავლებული, მორჩილი ჯოგი მოუგროვა.

მოედნის ირგვლივ, ახალნაომარ, დანგრეულ უბნებში, ჯერ კიდევ სიცივით აჟიჟინებდათ თოვლ-ჭყაპით გაჟღენთილი, ჩაქცეული სახლების მიუსაფარ მაცხოვრებლებს და ისევ ხრჩოლავდა ლამფა-ჭერის საყრდენი, გაშავებული კოჭები.



მხატვარი სოფიო ჭელიძე

სამოქალაქო ომით შეურაცხყოფილი მრავალი თანამემამულე უძღებს არ უვიწყებდა წარსულს და მათი უმადურობით გულმოსული, მკაცრი, უკმეხი, კოპებშეკრული, კვლავაც მფარველი ჩრდილოეთის მოიმედე, აივანზე ბოლთას სცემდა.

„ნუ წახვალ, ჩემო ხელმწიფევ!“ – რაღაც ამის მსგავსს ჩაღმუოდა მეგაფონს მეხოტბე ქალბატონი და ჩამოწურულ, გაძვალებულ მკერდში მუშტებს გამეტებით იცემდა, – უნდა გვაპატიო, ჩვენ თუ შევცოდეთ, თქვენმა მშობელმა ქვეყანამ რა დააშავა, რომელსაც, როგორც მომაკვდავს, ჟანგბადის ბალიშივით სჭირდებით... ჩემგან არ გესწავლებათ, რომ ახლა განზე გადგომა ზურგში დანის ჩარტყმას ნიშნავს, ღალატის ტოლფასიაო.

ტორტმანებდა, ბორგავდა, აივანი, მთავარ მოზარეს დანარჩენებიც ხმას უბანებდნენ, მაგრამ ვისაც ეს მოთქმა-ვედრება ეხებოდა, გულხელდაკრეფილი და შეუვალი, მდუმარებდა. გამყინავი ხმა კვლავ დუღდა და გადმოდუღდა. თმაჩამოშლილმა ნუშისთვალება, მავედრებელმა ქალბატონმა პუდელმა, ალბათ, მიზანსცენით გათვლილ ბოლო ხერხს მიმართა, უმწეო ქალს მეტი რა შემიძლია, გიჩოქებთ და ასე გთხოვთ, პატიებასო!

განწირული ამოძახილი ქვასაც ააცრემლებდა – როგორც კი ნაზი მუხლისთავები აივნის ცივ, ხორკლიან ფილას შეახო, მოედანიც, მოცელილივით ადგილზე ისე მოითიბა, არავის უკითხავს, შე ჯოჯოხეთის მოციქულო, გვითხარი მაინც, ასეთი რა შევცოდეთ, რა უნდა გვაპატიოსო.

მაშინ, რამდენიმე კაცის მსგავსად, ესეც, ახლა წვეთოვანის ჯაჭვით დაბმული ავადმყოფი, მუხლმოყრილთა შორის ამოზრდილი მარტოხესავით

ფეხზე იდგა და თავად, ყველაფრის თუ არა, ბევრი რამის ჩამდენს გულწრფელად უკვირდა, გამორჩეულმა პოლიტიკოს-ბაირახტარმა, როგორ ინამუსა, თავის ხალხს დაჩოქება როგორ აკადრაო.

პუდელმა კიდევ ერთხელ რომ ჩამოიხოკა პირისახე, თითებს ჩამოაყოლა თმის ბუწები, მთელი ამ ფარსის მთავარმა შემოქმედმა, როგორც იქნა, გახსნა შედუღებული წარბები, გამარჯვებული კეისარივით ხელაწეულმა დაჩოქილ მოედანს ერთადერთი, დამაიმედებელი სიტყვა ძვალივით გადაუგდო, ვიფიქრებო!

ეს უკვე დათმობას, თანამემამულეებზე გასაცემი მიტევების ავანსს ნიშნავდა.

წლების შემდეგ იმედგაცრუებული მოედნის ფარა, რამდენჯერმე დასამხობად შემოუბრუნდა, მაგრამ პოლიტიკურ ინტრიგებში მრავალგზის ჭიპმოჭრილი ყოველთვის ახერხებდა წონასწორობის შენარჩუნებას, თუმცა, რასაც დასაწყისი აქვს, ადრე თუ გვიან, დასასრულიც უეჭველად დაუდგება.

ის დღეც გათენდა, როდესაც კიდევ ერთხელ დაავიწყდათ მოედანზე გადატყავებული მუხლისთავები, არც პუდელი და აივანს მატლებივით შეხორხლილი, მარჩენალის თანამზრახველები გახსენებიათ. მეამბოხე ხროვის თანხლებით, ქვეყნის მთავარ სალაყბოში შეჭრილმა, თავისსავე გაზრდილმა, პირად დაცვასთან ერთად, კუთხეში მიიმწყვდია და „დამსახურებულ“ პენსიაზე გაუშვა!

ტყუილად ეგონათ, დაუნია,

პრეზიდენტს ჩაი დაულია!

სიკვდილი კეისარსო, შესძახა უმადურმა მემკვიდრემ და მამობილისთვის განკუთვნილი ჩაის ჭიქა მოფლაშულ პირში მოიპირქვავა.

რა იცოდა სიყრუის ბალიშზე თავმიდებულმა ბესტაეთმა, რომ მაშინ გაიყიდა კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ, დიდი მთაგრეხილის გადმოსასვლელები, ნაყოფიერი მიწები, სოფლები, დაბა-ქალაქები, როცა საგანგებო დავალებით ჩამოსულმა ჩრდილოეთის შუამავალმა ემისარმა ერთმანეთზე განაწყენებული (ვითომ?) გამზრდელ-გაზრდილი შეარიგა.

აბა, ამ ფარსის შემსწრე ჟორა-პანის გაოცება მაშინ გენახათ! ხომ გაშლიდა, გაკვირვებული, თავის დიდრონ ხელებს და უფალს შეჰკადრებდა, გამზრდელ-გაზრდილთან ერთად, ჯოჯოხეთში როგორ უნდა მიკრა თავი, ბევრს ვცოდავდი, მაგრამ მაინც სამშობლოს მიწის ნამცეცი, ქვა-ღორღიანი ბელტიც კი არ გამიყიდიაო!

ამათ გაყიდეს, თანაც სარფიანად და მონაგებიც შეირგეს!..

ყველაფერი მერე მოხდა. ახლა კი, ქუჩის გნიასს მიყურადებული მძიმე ავადმყოფი, დაბინდული მზერით ითვლიდა გამჭვირვალე წვეთოვანის მილში მორბენალი სტრიქონივით ერთმანეთის მიყოლებით თავქვე დაქანებულ წამლების კოქტეილის წვეთებს.

ყურებში დაგუბებული ქუჩის ყრუ ხმაური გასავალს ვერ პოულობდა. მას რომ ახსოვდა, იგივე ხალხი, იგივე მოთხოვნებით, ლოზუნგებით, დროშებით, ქუჩის კალაპოტიდან ამოვარდნილი მიჰქელავდა გაზონებს, ყვავილნარებს, დეკორატიულ ბუჩქებს... ჩაივლიდნენ. ჩაგრიალდებოდნენ. უკან ჩამოტეხილ ტოტებს, სიგარეტის ნამწვის, გამოწრუპული პლასტმასის ჭიქების, ბოთლების, დახეული პლაკატების ნაგავს და, ყოველი შემთხვევისათვის, ერთმანეთთან საბრძოლველად აყრილ ქვაფენილს დატოვებდნენ...

ამნაირები იცის სამშობლოს უზომო სიყვარულმა?!

გარეთ ბრბო მორიგი რჩეულის სახელს აბოდებდა, შიგნით, პალატაში კი, ცოცხითა და სველი იატაკის ტილოთი შემოსული, გულმოსული დამლაგებელი, ექთანთან ერთად, დაბალ საარსებო მინიმუმსა და გაძვირებულ ცხოვრებას აპროტესტებდა.

იზოლირებულ საავადმყოფოში ყველაფერზე შეიძლებოდა ლაპარაკი, განსჯა, განკითხვა, გულის მოოხება...

ქუჩაში და შიგნით ცხოვრება სხვადასხვა გზით მიდიოდა.

როგორც სჩვეოდა, თეთრხალათიანი ანგელოზების, ახალშემოსული ავადმყოფების, იმათი პატრონებისა და მორიგეების გარემოცვაში ფუთფუთებდა მიმღები.

აქ მუცელმოშლილ სამშობლოსაც გადაეყრებოდი, რომელიც ყველა სართულზე, ყველა პალატაში, ყველა საწოლში იწვა.

ესეც, მზერადანისლული, მწყემსის ბებერი ბომბორა ნაგაზი, იმ ავადმყოფი მთელის ნაწილი იყო, ყოველი მხრიდან მკურნალობასა და შველას რომ ივედრებოდა.

ილეოდა ძაფი, წკიპზე იყო არიადნეს გორგალი, ანუ თავი უკვე სიკვდილის კალთაში ედო.

ქუჩის ღრიანცელმა ისევ შემოთქვარა პალატაში.

„ეჰ, კაპერნაუმ, კაპერნაუმ, რამდენჯერ უნდა წაიქცე, რომ ჭკუა ისწავლო?!“ – ამოიჩურჩულა და ცრემლი ჩამოუგორდა.

ღამით კიდევ უფრო დამძიმდა.

გათენებისას სულ რამდენიმე წუთით მოეგო გონს და ტუჩები ძლივს შეარხია, აქამდე უნდა მოსულიყვნენ, რატომ არ ჩანანო.

მიხვდა ექიმი, ვისაც გულისხმობდა.

დაამშვიდა, ალბათ, მალე გამოჩნდებიანო.

გაეღიმა, რა თქმა უნდა, ამ გზას გვერდს ვერც შუბოსანი და იმის მეაბჯრე აუვლიანო.

ქალბატონს ხელი ხელზე მოუჭირა და მაშინვე, ძალიან დაღლილი კაცის შვებით ამოიფშვინა.

ექიმმა გაურკვეველ წერტილს მიჩერებული თვალები დაუხუჭა.

გუგულის გამოღვიძებულს ხელმეორედ ჩამთვლიმა.

არეულია ჩემი ცხად-სიზმარი!

ამას ისედაც მიხვდება მკითხველი.

ახლაც, თითქოს ორპირმა ხმაურით მოჯახუნებულ ფანჯარაში ფარდა მოიყოლა და ისეთი ტკივილი ვიგრძენი, მეგონა, მე ჩამყვა ხელი-მეთქი.

„ჩაკეტეთ, თქვენი!“ – ვიღრინები, მაგრამ ვინ დახურავს, ძილშიც მახსოვს, რომ ოთახში მარტო ვარ, ადგომა კი არ მინდა, მეზარება ან არ შემიძლია.

ჩემ წინ, თაროზე წიგნებია აყუდებული: სერვანტესი, ბრეხტი, შალამოვი და თქვენი მონა-მორჩილის ახალი რომანი „შავი, ბებერი ძაღლის წელიწადი“.

ძაღლის წელიწადი კია, მაგრამ ბებერი ძაღლი, შავია თუ წაბლისფერი, მკითხველს სულ ფეხზე ჰკიდია, მითუმეტეს, თუ წასაკითხად არ ჩაუჯდება და თვალს მხოლოდ ყუას შეავლებს!

ისე, ცნობისთვის: შავი და ბებერი კი არა, ძაღლიც არაფერ შუაშია, ეს მისატყუებელი, ერთგვარი ხრიკია.

თაროზე წარმოდგენილ ესპანელ და რუს მწერალს მრავალრიცხოვანი დედანში წამკითხველი ჰყავს, ამ მხრივ, არც გერმანელ ბრეხტს უნდა უჭირდეს.

„შავი, ბებერი ძაღლის“ კი რა მოგახსენოთ... ვინმე იფიქრებს, დიდ სახელებს ეტოლებაო... იფიქრონ და იფიქრონ, აი, დარდი!.. აბა, ვის უნდა მივეტოლო, გრაფომან, ბანძიკელაშვილს ხომ არა!

ეგეთი არავინ გაგიგიათ?

ახლა ხომ გაიგეთ, დაჯარდით და სასწრაფოდ მიაკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და ბიბლიოთეკებს, სხვებმა არ დაგასწრონ!..

თავი ბალიშზე კი არა, გავარვარებულ გუდრონზე მიდევს.

ორ ნაკადად მიდი-მოდიან მანქანები.

გადამივლიდნენ, მაგრამ, ალბათ, ასფალტზე ბავშვების დახატულ, ნაღვლიან ცარცის კაცს ვგავარ და მიბრალებენ.

ორპირმა ახლა უკან გამოაქანა ფანჯარა.

„წამოდექი, ცარცის კაცო, ვიდრე მეეზოვე ან წვიმა წაგშლიან!“

მეც ავდექი და წამოვედი.

ვერ ვიტყვი, მთლად კარგად მოვიქეცი-მეთქი. არც სწრაფი კვების ობიექტების ცომეულით მოკვიტინებულ სპლიყვს გამოვეთხოვე, არც ტრენინგგავლილის სერტიფიკატის გადმოცემას დაველოდე, ახალმოთენებულზე ვიპლეტე და ჯერ კიდევ შუქჩამქრალ შენობას ხელი შორიდან დავუქნიე.

ნახევრად მთვლემარე მორიგემ ოთახის გასაღები ჩაიბარა, სადარბაზოს კარი გამიღო და გზა მთქნარებ-მთქნარებით დამილოცა.

არა, ყველა-ყველა და, სერტიფიკატს მაინც რას ვერჩოდი, ჩარჩოში ჩასმული ჩამომეკიდა საწერ მაგიდასთან, მომავალში იქნებ, შთამომავლებს მაინც ეამაყათ...

რა ამის პასუხია და, ზურგჩანთამოკიდებული რომ მივიჩქაროდი, მარკეტის კარზე წარწერა წავიკითხე:

ვეძებთ გამყიდველს!

გამიკვირდა, ნეტავი, სად ეძებენ-მეთქი: მოინდომე და, ჩვენში გამყიდველის პოვნას რა უნდა!

არც არაფერი!

მნიშვნელობა არა აქვს, გეზს საითკენ ავიღებ, მინდა ნებისმიერ გზას დავადგე და უკან დაუბრუნებლად ვიარო, ვიარო.

ვიცი, ადრე თუ გვიან, ცხონებული მამფის არ იყოს, ჩემი არჩევანის მიუხედავად, ბოლოს მაინც იქ მივალ, საიდანაც დავიწყე.

მანამდე კი, ზილე უსწორმასწორო წუთისოფელი!

„თავი მომაბეზრე, დედამიწავ, გონებადაფანტულო, სკლეროზიანო დედაბერო, შენს სასტუმროში ვერ მოვნახე კუთხე-კუნჭული, სადაც სულსა და სხეულს მოვასვენებდი!“ – თქვა ბრძენმა იდალგომ.

იქნებ, არც უთქვამს, მე მოვიგონე, ჩემი გულის აყრა და გაქცევა რომ გავამართლო!

მაგრამ, იქნებ დედამიწასაც უნდა ჩვენგან გაქცევა, ამდენ მილიარდ მუცლის მუშას რომ უძლებს, იტანს, ემორჩილება!

ნეტავი, ასეთი რა შესცოდა, სატანჯველად, უფალმა სამოთხედან გამოძევებულები რომ შეუსია?

ადრე თუ გვიან, ყველას გზაჯვარედინის ლოდი – გაქვავებული გულთამხილავი ელოდება, რომ გააფრთხილოს, საითკენაც უნდა წახვიდე, ინანებ, ყველგან ამაოების ქარიშხლები მეფობენო.

ვიცი, მაგრამ მაინც მივდივარ უკეთესი ბედის საძიებლად.

ისევ კეცავს მრავალცხენისძალიანი ძრავი უკვე ერთხელ გამოვლილ კილომეტრებს.

გზაც ხალიჩაა, წინ რომ იშლება და უკან დაგორგოლებული მოგვდევს.

ტყუილად არ ავიკრიფე გუდა-ნაბადი, მეგულება ერთი ადგილი, როგორც ახლა უყვართ თქმა, ეროვნული იდენტობის ნაკრძალი, სადაც შვებით ამოვისუნთქავ და ისე ვიგრძნობ თავს, როგორც მინდა.

მძღოლს ვანიშნე, გადასახვევთან შემიჩერეთ-მეთქი.

ვიდრე შუადღის მზე კეფას გამიხურებდა, შარვლის ტოტებაკეცილი, წყალთხელში ამოზიდულ ქვაზე ვიჯექი.

ვიჯექი შვებამოგვრილი, მონატრებულ სიმშვიდეს ნაზიარები. უხილავი მოქანდაკე თავიდან მძერწავდა, მხრებიდან, ზურგიდან, მკლავებიდან, მკერდიდან ცვიოდა გამომწვარი თაბაშირი და საკუთარ ხელახლა შობას ვესწრებოდი.

წყალბროლას ხეობის სიღრმიდან ზარის ხმა მოისმა, კამკამა წყლის დუდუნთან შერწყმული, თხელი, მეწამული, საუკუნოვანი აგურით ნაშენები სამრეკლოს დედოზარიდან გამოხმობილი, მეუფის საზეიმო მსვლელობის დაწყების მახარობელი.

პირჯვარი გადავიწერე და თვალმილულული, გატრუნული ველოდები, მწყალობელი ხელი, მუხლისთავებთან მოლამუნე, ერთ მუჭა, ნაკურთხ წყ-

ალს თავზე როდის გადამავლებს!

უცებ საიდანღაც ჭახჭახის მსგავსი შეძახილები გამოიჭრა.

თვალი გავახილე, არეული ხმების მიმართულებით გავიხედე და მალე ხეობის შეყოლებაზე, წყალბროლას ნაპირს მომდგარი კორომიდან, როგორც მამფი იტყოდა, დაცხინკული, დომინოს ქვებივით ერთნაირი ზომის, წონისა და შეხედულების მოყაყანე ადამიანები გამოილალნენ.

ჯერ გაკვეთილებიდან გამოპარული ბავშვები მეგონა, მერე — მიწიდან ამომძვრალი ელფები.

ნაპირს ქვემოთ დაუყვნენ. გზა და გზა თანდათან მრავლდებოდნენ, ემატებოდათ თავისნაირები.

ვიწროთვალება უცხოტომელები შინაურულად იქცეოდნენ, არადა, მაინცდამაინც ბუნებით დასატკბობად მოსულ ტურისტებს სულაც არ ჰგავდნენ.

მათმა ჭახჭახმა გადაფარა ზარის ხმაც და წყალბროლას დუდუნიც.

აქაურობა აღარ იყო ის, რამდენიმე დღის წინ რომ დავტოვე. მოულოდნელმა, უცებ გაჩენილმა, ყვითელმა ხანძარმა ატრუსა, ფერი უცვალა ყველაფერს. წყალგაღმა თავი ჩამოექინდრათ წამოყელყელავებულ უცხო ყვავილებს. ის ჩემი ნაცნობი ძაღლიც სხვა ხმაზე ყეფდა, მოგნიასეთა შორის მორბოდა და თითოეულს, რიგრიგობით ფეხებზე ეგლისებოდა.

ეგრე ჩამიარეს, რამდენიმემ თუ შემამჩნია. აწეული ხელი ჰაერში გაასავსავეს, რაც, ალბათ, მისალმებად უნდა ჩამეთვალა!

ჩამიარეს და გაქრნენ, კოვზაძის ხელოვნური განაყოფიერებით შექნილ-შობილებივით ერთნაირები, ვინ უწყის, საიდან, როგორ და რა გზით ჩამოხვეწილები...

გზაში რომ გადაჰყროდა, ვიდრე ფარ-შუბმომარჯვებული, მოგნიასეებს გასარეკად მიეტეეებოდა, ბატონი რაინდი, მეაბჯრესთან საუბარში უსათუოდ (გულისტკივილით, რა თქმა უნდა) დაასკვნიდა:

„ჩემი ღრმა დაკვირვებით, ეტყობა, თომა, საზღვრებმოღნიოშებულ, უპატრონო ბესტაეთში, ყველაფერი: ჩასაცმელ-დასახური, სასმელ-საჭმელი, მოხეტიალე ტომების მოწანწალე ნაშიერები და თავად დემოკრატიაც, მეორადი შემოდის!“

„დემოკრატიაც მეორადი, ესე იგი, ნახმარი?!“

„თანაც, გვარიანად!.. ისეთი, იმასთან შედარებით მეფუნდუკის კახპა მოახლე მარიტორანესიც კი უმანკო ქალწულად რომ მოგეჩვენება!“

„მერე, ვიღა შეახტება ვინ იკადრებს ბებერ, ხმარებაში გაცვეთილ ჭაკს, რომელზეც ჩემ დიდყურასაც კი გული არ მიუვა?!“

„ბესტაეთელები არ წუნობენ და, წარმოიდგინე, კადრულობენ... ერთი კაცი ვერ დაარწმუნეს ცოლის იმნაირობაში... ანკი როგორ უნდა დაეჯერებინა, როცა ერთთავად თავდახრილი, თვალს თვალშიც ვერ გაგისწორებდა, სკამზე ჩამომჯდარი მუხლისთავებიდან კაბას დაბლა ექაჩებოდა, კოჭები რომ არ გამოსჩენოდა... სინამდვილეში, როგორც კი ქმარს სახლიდან გაიგულებდა, ნავსადგურის სასტუმროში მეძავობდა, სადაც ნაოსნობიდან მობრუნებული მეზღვაურები ჩერდებოდნენ და ფეხებაპლაკულს ყველა ზამბარიანი საწოლი მოსინჯული ჰქონდა“.

„მეუღლის ბრმაყრუობა რითი დამთავრდა?“

„კოკა წყალზე გატყდა! ერთხელაც იმავე სასტუმროში მის ქმარს, ღამით, უცხო კახპის ნაცვლად საწოლში ჩაგორებული, საკუთარი ცოლი გაეჩითა“.

„გგონიათ, ბესტაეთიც მიხვდება, გვერდით ვინ უწევს?“

რას უპასუხებდა იდალგო:

„ადრე თუ გვიან, ალბათ კი... მაგრამ ცოლის ნაკახპარს რაღა ეშველება! ნამუსი სარკე არ არის, დაორთქლო და ხელისგულით ხელახლა გადააპრიალო, ლაქები გადაწმინდო!“

ზემოდან ელფების ახალი ტალღა წამოვიდა, უფრო ხმაურიანი და რიხიანი, ძეძვივით გაიბარჯღნენ, წყალბროლას ორივე ნაპირს მოედვნენ, გნიასით გააყრუეს იქაურობა და ვინანე, რატომ წამოვედი. ახლა იქ, ალბათ, სპლიყვი ტრენინგის შემაჯამებელ სიტყვას ამთავრებდა ან უკვე სერტიფიკატებს არიგებდა. პირველ სართულზე, ერთმანეთზე მიდგმულ მაგიდებზე კი, გამოსათხოვარი ლანჩის სუფრა იშლებოდა...

სად არიან დანარჩენი, ჩვენი იმდღევანდელი მოპიკნიკეები? ასე კვალწმინდად როგორ გაქრნენ, ის სამწვადე ნაცეცხლარი ხომ ბოლომდე არ ჩამქრალა, არც ნავლწაყრილი ნაღვერდალი გაციებულა? ალბათ, ზოგი უკვე ახლო-მახლო სამეზობლოშია, ზოგი მონატრებულ პარიზში, ზოგიც – ყველის ჩასატანად ამერიკაში... აქ რომ ყოფილიყვნენ, ელფები ასე თამამად ვერ შემობედავდნენ, ბატონ-პატრონებივით მკერდზე მჯილის ცემით ვერ ივლიდნენ...

ხეობებიდან გავიკრიფეთ, დავაცარიელეთ, სამაგიეროდ, დედაქალაქის მთავარი გამზირი შევავსეთ, ახლა ხალხით პირმოდგმული რომ ზიმზიმებს, ბორგავს, იმუქრება, შემართული მუშტებით დასიცხულ, გამონაბოლქვით დამძიმებულ ჰაერს ყნოსავს, ბოღმით დაბერილ ყელზე ძარღვები ასკდება, მიკროფონებსა და მეგაფონებს ღეჭავს...

სამთავრობო ციტადელს პოლიციელთა წყალგამყოფით დაცილებული მომიტინგეების ღავღავმა ღამის კეფა ამხადა! წამოვედი. ცნობილმა ტელე-ჭარტალამ ინტერვიუსთვის გზა გადამიღობა, რას გვეტყვით დღევანდელი აქციის შესახებო.

ხელით ვანიშნე, ყრუ ვარ, არ მესმის, რას მეუბნებით-მეთქი და სიცოცხლეში პირველად ვინანე, მართლა ყრუ-მუნჯი რომ არ ვიყავი.

ბელადონას ავუსრულე თხოვნა, ტაძარში ჟორა-პანის სულის მოსახსენიებელი სანთელი ავანთე.

თვითონაც არ დავივიწყე, ღვთისმშობელს შევავედრე ერთი მივიწყებული სცენის მშვენება, უშვილძიროდ გადაგებული, აბლაბუდების თავშესაფარს შეკედლებული, მეკუბოვე არისტოს მოიმედე

ქალბატონი.

ჯვარი ეწეროს და, თავად არისტოს ვინ შეუკრავს სამუდამო განსასვენებელს?

იქნებ, უკვე დაჭერილი აქვს თადარიგი!..

ყველა ადამიანი, თავის სიკვდილზე ნაკლებად ფიქრობს, ჰგონია, რომ იქნება და იქნება!..

რატომ, სხვებისაგან გამორჩეული წითელი კოჭია?!

გამოვხშიროთო, – ბრძანა ერთხელ ერთმა ბატონმა, – საზოგადოებაში მესიტყვეთა მესამედიც რომ დავტოვოთ, არაფერი დაშავდებაო.

თვითონ კი გადავაფიქრებინეთ, მაგრამ ბედისმწერალმა, რამდენიმე თვეში, სწორედ მთავარით დაიწყო საზოგადოების გამოხშირვა.

გულმა უღალატაო, – დანანებით ჩაილაპარაკა სასწრაფოს ექიმმა.

სიცოცხლის მანძილზე ჩვენ რამდენჯერ ვღალატობთ, ამაზე, როგორც გვჩვევია, არც ის დაფიქრებულა.

გულიც დაიღალა, დაიქანცა, ვეღარ გაუძლო და გაჩერდა... დადუმდა მთავარის კაბინეტი!

„ჩემო თომა, მარტივი, მაგრამ სასიცოცხლო ჭეშმარიტება ჯერ კიდევ მაშინ შეიმეცნა გამოქვაბულის კაცმა, როდესაც ჩინჩხვარს პირველად ცეცხლი შეუნთო და სიცივით გაფიჩხული ხელები მიუფიცხა — ვიდრე არ დარწმუნდები, რომ ნაპერწკალმა ცეცხლი შობა, მანამდე გაკრულ ასანთის ღერს ჩასაქრობად სული არ უნდა შეუბერო“.

„შიშველ-ტიტველი ველური და ასანთი?! ჯიბე არ ჰქონდა და სად ჩაიდებდა?“

„ნუ მაწყვეტინებ, თომა! განა ეგაა მთავარი?! დაუმსახურებელი სალაფავი კაცს ღორს ამსგავსებს და ღრუტუნს აწყებინებს!.. ზომიერება და თავშეკავება მხოლოდ ადამიანს ახასიათებს... დღესდღეობით ეს გრძნობებიც სულშენაბერი ასანთის ღერებია, რომელთა ანთებაც ხელახლა მოვინდომეთ, მაგრამ რა გამოვიდა — კეთილშობილურს, თუმცა შეუძლებელს, შევეპოტინეთ და ჭკუათმყოფლებად მოგვნათლეს... იქნებ, არც დამიჯერო, მაგრამ მიმწუხრის ჟამს, განმარტოებულს, ცხად-სიზმარში, მწარედ ჩაფიქრებული ღმერთიც მინახავს!.. რაც ჩვენ მოვინდომეთ, მსგავსი რამ არავის ავადმყოფი ტვინის ხვეულებში არ გაფაჩუნებულა და არც გამჩენს მოუნდომებია გზიდან აცდენილი ადამის შთამომავლის ხელახლა მოზელა... არა, თორემ, როგორ გგონია, თიხის შოვნა გაუჭირდებოდა?“

„რასაც თქვენი ენა-პირი არ ამოშაქრავს, ბატონო...“

„ჰო, ამბობენ, ბესტაეთის მთავარ ქალაქში, შვიდი სულელი დაიკარგა, ეძებენ და ვერ პოულობენო!“

„რომ დაიკარგა, მართალია, მაგრამ, რომ ეძებენ – ტყუილი!“

„ეგ როგორ გავიგოთ?“

„ვინც ეძებს, პოულობს კიდეც – სარკეში ჩაიხედავდნენ და შვიდს კი არა, ყოველი მეორე, თავის თავში, იმათზე უარეს დარეხვილს აღმოაჩენდა!“

„იქნებ, მაინც ეცადათ, ეპოვათ ის შვიდეული!“

„ფუჭი მცდელობა იქნება-მეთქი, აკი გითხარით! მაგაზე ადვილი ჭიანჭველებში დედალ-მამლის გამორჩევაა“.

წყალბროლას ხეობა ელფებს დარჩათ, გვირაბს იქითა ნათელი მომავალი სპლიყვს და სამოქალაქო დაპირისპირების გადამტანი გამზირი კი – სახელისუფლო ქარის წისქვილთან მებრძოლ, გაფიცულთა შერეკილ ლეგიონებს.

ერთ დროს ცარიელი, უკაცრიელი მიწისქვეშა გადასასვლელიც დაიტვირთა. მამფის ნაცნობმა, კინკილა მათხოვარმა იბარტყა, კიბესა და გვირაბში გამოშვერილი ხელების ჯარი იხვეწება შემწეობას.

სტაჟიანებს თავ-თავისი ადგილი აქვთ „დაზანიატებული“.

ჩამსვლელ-ამომსვლელებს გამოწვდილ ჭიქებს ცხვირწინ უტრიალებენ, განგვიკითხეთ და ღმერთი გიშველითო.

სადღაც, კიბის შუაში, კედელთან მიფენილ ჭილოფზე, მარჯვენა ხელზე საჩვენებელ თითნაკლული ბრმა მათხოვარი იჯდა.

სხვები თუ მუყაოს ან პლასტმასის ჭიქებით ითხოვდნენ მოწყალებას, ამას ალუმინის ყურში შუათით გამოდებული „კრუშკა“ ეჭირა, რომ ჩხაკუნზე მიმხვდარიყო, მონეტას თუ ჩაუგდებდნენ.

უსინათლო დილით ვიღაც თეძოამოვარდნილ ქალს მოჰყავდა, თავის ადგილზე დააბრძანებდა და წასაყვანად შებინდებისას აკითხავდა.

იჯდა კუშტი, მოღუშული, ხშირ თმა-წვერში პირისახე ჩაკარგული.

ყველამ, კიბეზე მდგომებმა და გადასასვლელი გვირაბის ბინადრებმაც, იცოდნენ ერთმანეთის ამბავი: ვინ იყვნენ, რა გზა გამოიარეს, ვიდრე ხელგაწვდილნი ამ განსაწმენდელში ფართის უფლებით ჩაეწერებოდნენ.

მხოლოდ ეს იყო უცხო, უკარება, უცნობი, მარტო გამვლელთა ფეხის ხმას მიყურადებული.

როცა მოიყვანეს და სტაჟიან მესაკუთრეთა შორის ჩააკვეხეს, ახალი კონკურენტის გამო აბუზღუნებული სტაჟიანები მომყოლმა დედაკაცმა დაამშვიდა, ეგრე ნუ უყურებთ, ეროვნული მოძრაობის ვეტერანიაო...

რაღა უნდა ეთქვათ, ისიც კი არ უკითხავთ, ვინ იყო ან სად და ვის მხარეს „მოძრაობდა“, მიიწ-მოიწიეს, როგორც უსინათლო ხეიბარს, იქ მიუჩინეს ადგილი, სადაც საფეხურებს მზისა და წვიმისგან გადასასვლელის გადახურული იფარავდა.

ანდა, რაღა უნდა ეკითხათ, განა სიტყვა „ვეტერანი“ თავისთავად არ ღაღადებდა, რომ გასული საუკუნის ოთხმოცი-ოთხმოცდაათიანი წლების თავისუფალი საქართველოს ხელახლა დაბადების შემოქმედ, ცოცხალ ანტიკვართან ჰქონდათ საქმე?!

ეგონათ, ადრე თუ გვიან, გაშინაურდებოდა, გულს გახსნიდა, მაგრამ ვეტერანი დუმდა... დუმდა...

მერე, ადრიანი გაზაფხულის ერთი მზიანი ნაშუადღევი მოულოდნელად ჩამობნელდა, მძიმე, შავმა ღრუბელმა, დაცარიელებულ კიბეს სეტყვა და დაცერავებული შხაპუნა წვიმა დააყარა.

გამოდარების მომლოდინე მიწისქვეშა გადასასვლელს შეფარებულთაგან, ხეიბრის გარდა, არავის გაუგონია ნალიანი ფეხსაცმლის ქუსლის კაკუნი, კიბე რომ ჩამოიარა და უსინათლოს წინ შეჩერდა.

ბრმამ, როგორც სჩვეოდა, ნაწყალობევი მონეტების წკარუნით, „კრუშკა“ წინ გაიწვდინა.

გადიოდა წამები, ის ვიღაც კი არც მიდიოდა და არც ფულის ჩაგდებას ჩქარობდა.

„კრუშკა“ ისევ ააჩხარუნა, ერთხელ, მეორედ, ახლა უკვე გულმოსულის მოუთმენლობით.

ისევ დუმილი... დუმილი!..

მოულოდნელად წვიმის, ქარიშხლის, ჭექა-ქუხილის ხმა ჰაუბიცების ხროტინმა, მუხლუხების ხრჭიალმა, ავტომატების ჯერმა და მთავრობის სახლის ტუფის კედლებს, კვერცხებივით მიფშვნილი ჭურვების ბათქა-ბუთქმა გადაფარა.

უსინათლოს, მთავარ გამზირზე აქოთებულმა კვამლის, ნამწვისა და დენთის ახრჩოლებულმა, ნაცნობმა ნაზავმა ცხვირში შეუღიტინა – ნადირმა თითქოს მსხვერპლის სუნი იკრაო, კბილებდაკრაჭუნებულმა ამოიხავლა, ვინა ხარო?!

ამჯერად პასუხი არ დაუგვიანეს:

„ჩვილის შეწყვეტილი სიცოცხლე, ტყვია რომ დაახალე!“

ერთხანს გაირინდა, გაწვდილ ხელგაშეშებულმა ხმა ვეღარ ამოიღო, მერე ერთბაშად კეფა გაუხურდა, მოულოდნელმა ელდამ შეაქანა, შეარყია, განათდა, გაკაშკაშდა ყველაფერი და წამით დაუბრუნდა თვალის ჩინი, მაგრამ წინ ვერავინ დაინახა — არაადამიანური ღმუილით წამოწეულმა აიტანა დაუძლურებული ტანი, ჩაბღუჯული „კრუშკა“ სიცარიელეს მოუქნია და პირქვე წაემხო.

გადმოყრილი ხურდა ფული ფილაქანზე მოღავდა, დაბზრიალდნენ მონეტები, საფეხურებზე სკუპ-სკუპით ჩახტნენ და კიბის ძირში გაყოლებულ, სადრენაჟო არხის ცხაურზე დაცვენილები, აქოთებულ წუმპეში ჩაიკარგნენ.

ქუსლის კაკუნი ახლა ზემოთ აუყვა კიბეს, მაგრამ მისი ხმა, როგორც დანარჩენებს, აღარც თვითონ გაუგონია...

ვითომც არაფერი მომხდარა, დელგმამ მალე გადაიარა, გადაიკარა და მზე გამონათდა.

საკაცით სასწრაფოს მანქანისკენ რომ მიჰყავდათ სანიტრებს ვიღაცამ ალუმინის „კრუშკა“ და დაფხავებული ჭილოფის ნაგლეჯი დააწია, აწი რაღაში სჭირდება, მაგრამ მაგისია და წაიღეთო.

არც ვინაობა, არც სადაურობა, ჯილაგი და წარმომავლობა — ბოლომდე უცნობად დარჩა!

თეძოამოვარდნილი, მეურვე დედაკაციც აღარ გამოჩენილა, სახელი მაინც რომ ეკითხათ.

ან რა მნიშვნელობა ჰქონდა, ისეთი რა უნდა რქმეოდა, ღვაწლმოსილ ვეტერანზე აღმატებულად მეტყველი და შთამბეჭდავი რომ ყოფილიყო.

„არა, თომა, ბოროტებას სახელი რაგინდ გაუკეთილშობილო, შეუცვალო, შინაარსი მაინც იგივე დარჩება... მე მხოლოდ ის ვერ ვისწავლე, რასაც კეთილშობილება არ სცნობს და არც მინდა ვიცოდე!“

„მაგრამ ნასწავლიდან ნუთუ არაფერი დაივიწყეთ ანუ წერტილმძიმეებიანად ყველაფერი გახსოვთ!“

„ყველაფრის ხსოვნისგან ღმერთმა დაგვიფაროს, როგორც პავლე მოციქული ურჩევს თესალოკონიელთ, ყოველივე უნდა გამოვცადოთ და კეთილს ჩავეჭიდოთ... თუ გზადაგზა, ჯადოსნური ხალიჩიდან ზედმეტი რაღაცები არ გადმოვყარეთ, ისე დავიტვირთებით, საფრენად კი არა, მიწაზე მღოღავადაც აღარ ვივარგებთ... მოკლედ, თუ არ ამოიფშვინე, ძველს ახალი, ცინცხალი ჰაერით ფილტვებში ვერ ჩაანაცვლებ?“

როგორ შეეპასუხა ჭკუათმყოფელი მეაბჯრე, ამაზე საფუძვლიანად დუმს ის, ვინც ამ ორეულის მეურვეობას ჩემულობს.

ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, ღრმად ამოვიფშვინოთ და წერტილი დავსვათ, უფრო მწარე-მწარეებიც რომ არ წამოგვცდეს!

თუმცა წერტილამდე, ვახსენოთ ღმერთი და კუდის ბოლო სწორედ ისე მოვიქნიოთ, როგორც ერთ სარაინდო რომანს მოუხდებოდა:

ათასი წელი ღორღიან გზაზე
მიჩურჩულებენ, უკაბადონო
სამყაროს ართობს მათი ბაასი:
— მისმინე, თომა!
— გისმენთ, ბატონო!“

ახლა კი, როგორც ზემოთ ხსენებული თხზულება მთავრდება:

— Vale!.. მშვიდობით!

2021

რაჟდენ მექვევრიშვილი

— პაპიკოს ოქროს კაკო,
აგრეთვე, სიკეთით ივლი,
ღმერთის ნყალობით მოდის, —
ქვეყნად, ყოველი შვილი.
შვილი — სიყრუხლე შლილი,
ერის ფუძე და ძირი,
შვილი — სიბერე ტკბილი,
აი, რა არის — შვილი...
ამ, ნუთისოფლის მიმართ,
სულ, არ, დამდეგა ძვირი,
ოღონდ, შემასწროს, შენგან,
ნამოდგეს — ქვეყნის გმირი...

რ. მექვევრიშვილი

მე, არ ვიყოდი ასე

მე, რომ მცოდნოდა ასე,
სწვავდი — ოცნების ნიავს,
თორემ, სურნელით სავსეს,
არ დაგყნოსავდი იას.
აღარც გკადრებდი რამეს, —
რომ არ დამეფრთხო ძილი,
და, ამ, სანუკვარ წამებს,
ფრთას დააფენდა ჩრდილი.
იქნებ, სურვილებს თარსავ? —
არ გსურს გამხელა ჩქარი,
არ შემხვედრია, არსად
შენზე ჩუმი და წყნარი.
ან, იქნებ, გინდა, მხოლოდ,
რომ გააწვალო ბიჭი,
მაინც, — მას დარჩე, ბოლოს,
დღეს, რომ... ოცნებით იწვის.
შენ არ გცილდება ფიქრი,
მივდევ ჭაბუკურ სურვილს,
წყალი მწყურია, — ძლიერ,
და ვერ ვიოკებ წყურვილს,
მაინც, ამ, წყურვილს ვრჩეობ,
გულს, ეს ახარებს, ისევ, —
და, მაგ, ზღვა თვალებს, ჩემო,
ტკბილი ალერსით გივსებ!

რაჟდენ მექვევრიშვილი

თეთრი ღრუბელი

მზეს მადლი, მაგრამ დადგება ჟამიც,
როცა, ქედს მოგვდრეკს გვალვის
უღელი.
და სწორედ მაშინ, სულ, სხვა,
ოცნებით,
მოგვენატრება თეთრი ღრუბელი.
ძვირფასო! როცა გრძნობები
დაგწვავს
და გაგაბრუებს ტრფობის სურნელი,
როცა, უძილოდ განათევ ღამეს,
უკვე, უჩემოდ, ვეღარ უშველი.
ელვა-ქუხილით გავარღვევ ზეცას,
ცის თაღს გადავჭრი —
მუხლჩაუხრელი,
რომ, მერე, ოქროს ნამად გეპკურო,
შენი ოცნების თეთრი ღრუბელი.

მაინკ მივტირი

მისმა დაკარგვამ, ბოლომდე, შეძრა —
ამ, ჩემი სულის: ლიბო-ქვითკირი,
უკვე, ასაკმაც მიწია, მაგრამ
მაინც, მივტირი, მაინც, მივტირი...
ვეღარ გასრულდა, ეს, მონატრება, —
ლანდებში, მაინც, აღარ მოჩანდეს,
თითქოს, გზაწვრილებს მოარღვევს ჩემკენ
და დალალები უცემს კოჭამდე.
მაგრამ, ზმანებებს შეეშვი, გულო,
გულო, ირწმუნე შეუძლებელი,
რომ, იგი უკვე, არის ბებია
და, რომ, ჩემსავით, არის — ბებერი.

დასალიერი

მომიახლოვდა დასალიერი,
კორდს ღრმად ვეღარ სჭრის ჩემი სახნისი,
რა ვქნათ, საწუთრო ასე ყოფილა,
მე, როგორ ვიყო გამონაკლისი.
ჰეი, რა ფრთები უნდა დავკეცო,
ვეღარ გაგანდოთ, რაც გულში იდო,
შენს თეთრ მწვერვალზე ვინ დასცემს კარავს,
ოცნების მთაო, მხრებით ნაზიდო,
მზეო, კვლავ, ცეცხლად ამოანათებ,
მთვარევ, კვლავ, შუქად ამოიფრქვევი,
მიწავ, კვლავ, მწვანედ მოისხავ ხავერდს.
მე კი, მე, უკვე, აღარ ვიქნები.
მაგრამ... რა თქმაა: აღარ ვიქნები?
ჩემი სიცოცხლე ახლად იწყება,
ვტოვებ თაობას, რომელმაც იცის,
ბრძოლაც, შეტევაც, თავდავიწყებაც.
და, სული, ღმერთთან ნაზიარევი,
ზეცაში დარად აიწვერება,
მივალ და ვფიქრობ: ნეტავ, ჩემ შემდეგ
როგორი ლექსი დაიწერება.

ლანა მანველი

ყვს ახედა. თენდებოდა. ძაღლებს ისევ ეძინათ. პაპიროსი ბოლომდე არ მოუწევია, დარჩენილი ნაწილი თუნუქის ქილაში ჩააქრო. თავის ქალებით მთლიანად ტატუირებული მარცხენა მკლავი ამაყად შეითვალიერა და სახლში შებრუნდა. მაგნიტოფონი გამორთო და ძილის შესაბრუნებლად ისევ ლოგინისკენ გაეშურა.

ეზოს ქვის ფილებზე ქარი წრეზე ატრიალებდა ყვითელ ფოთლებს. ფოთოლცვენა იწყებოდა.

ფოთოლცვენა – ბუნების და სულის...

ლ. მანველი

ოლე, №6, 2022

Il est où le bonheur

სად არის ბედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი; „ოლე“ №1, 2, 3, 4, 5, 2022 წელი

ეტიენი

ჯიუტი და მოჩხუბარი ელზასელი მარი ანტუანეტასა და წყნარი და მორიდებული იტალიელი თვითნასწავლი მხატვრის – არნოლდ მილანის შთამომავალი იყო ეტიენი.

უკვდავი სიყვარულის ქალაქ ვერონიდან სიღარიბეს გამოქცეული მილანების ოჯახი ჯერ ელზასს, ხოლო შემდეგ 1870-71 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს ლოტარინგიას შეეხიზნენ და იქვე დამკვიდრდნენ კიდეც. მათი სამი შვილიდან ერთ-ერთი ეტიენის დედა იყო, რომელმაც დედის ხასიათი და მამის ნიჭი მიიღო მემკვიდრეობით.

ეტიენშიც ორივე წინაპრის ხასიათი იყო განზავებული – სიუხეშე და სინაზე, პრაგმატიზმი და რომანტიზმი. ხშირად თვითონაც უნდოდა საკუთარ თავში ჩაეხშო ბებიის გენები, მაგრამ როგორც წესი ამას დიდხანს ვერ ახერხებდა. ამიტომაც იყო რომ ერთ მშვენიერ დღეს, თავზე დაემხო 26 წლიანი ურთიერთობა თავისი ორი შვილის დედასთან და აგერ, ახლაც მიუხედავად ორმხრივი წრფელი გრძნობისა, შარლოტასთანაც ვერაფრით ვერ ააწყო ურთიერთობა. მუდმივ შერიგება-გაბუტვებში გაჰყავდათ დრო. დრო, რომელიც ესოდენ ულმობლად შლიდა მათ არსებობას დედამიწაზე.

...ეტიენს, როგორც ყოველთვის, ღამით ცუდად ეძინა. გათენებისას სამზარეულოში ჩავიდა და ვიდრე ყავის მოსამზადებელ აპარატში გაციებული ყავა გაცხელდებოდა გორან ბრეგოვიჩის სიმღერა: „In The Death Car“* ჩართო მაღალ ხმაზე. მისი სახლი მეზობლებისგან მოშორებით იდგა. ამიტომ, თავს უფლებას აძლევდა ბოლომდე ესარგებლა ამ მდგომარეობით.

ყავას რჩეულ საკონდიტროში ნაყიდი ნამცხვრის ნაჭერი მიაყოლა. სწრაფად და გემრიელად ჭამდა. დასასრულს ლუქსემბურგში ნაყიდი თუთუნი სპეციალურ ქაღალდში ოსტატურად გადაახვია, მისაწებებლად ენა გაუსვა და თითებში გადასრისა. წამოდგა, კონსერვის თავახსნილი წითელი ცარიელი ქილა აიღო და მოსაწევად ეზოში გავიდა. ტანზე არაფერი არ ეცვა. სახლში თუ მარტო იყო, ასე უყვარდა სიარული. თუმცა, არც თავის პარტნიორ ქალებს ერიდებოდა. ამას ნატურალურობით და ბუნებრიობით ხსნიდა. ბავშვობიდან შიშველს ეძინა. ცას ახედა. თენდებოდა. ძაღლებს ისევ ეძინათ. პაპიროსი ბოლომდე არ მოუწევია, დარჩენილი ნაწილი თუნუქის ქილაში ჩააქრო. თავის ქალებით მთლიანად ტატუირებული მარცხენა მკლავი ამაყად შეითვალიერა და სახლში შებრუნდა. მაგნიტოფონი გამორთო და ძილის შესაბრუნებლად ისევ ლოგინისკენ გაეშურა.

ეზოს ქვის ფილებზე ქარი წრეზე ატრიალებდა ყვითელ ფოთლებს. ფოთოლცვენა იწყებოდა.

ფოთოლცვენა – ბუნების და სულის...

* სიკვდილის მანქანაში (თარგმან. ინგლისურიდან).

ლანა მანველი

დის უარყოფა

ლუი აივანზე, ბარის მაღალ სკამზე ცალფეხჩამოდებული იჯდა და გიტარის სიმებზე თითები ისე განელაგებინა, თითქოს სადაც არის აკორდი უნდა აიღოსო. დამიანი მისკენ ზურგით, აივნის მოაჯირს დაყრდნობილი ქუჩისკენ იყურებოდა. ხანდახან ამოიოხრებდა, მერე ამ ოხვრას ღიღინად გადააკეთებდა და დამცინავი კმაყოფილებით გადმოხედავდა ბიჭებს. ფრანსუა, კლოდი და ლუკასი როკ-ჟურნალებს ათვალიერებდნენ. ირგვლივ დაძაბული ატმოსფერო სუფევდა.

თავზე თეთრხილაბანდწაკრული ანეტი ლოგინში იწვა და ადგომის არანაირი სურვილი არ ჰქონდა. თავთან ლუის მიტანილი ხელუხლებელი საუზმე ედო.

დამიანი უცბად შემობრუნდა. ლუის მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა და მისთვის დამახასიათებელი ოდნავ შეშლილი გამომეტყველებით უთხრა:

– ლუი, შენი და როგორ არის? აქ, რატომ აღარ მოდის?

ბიჭები მოულოდნელობისგან შეკრთნენ. სიტუაცია კიდევ უფრო დამთრგუნველი, არამეგობრული შეიქმნა.

ლუი დიდხანს იყო ჩუმად, თითებს სიმებზე რიტმულად ურტყამდა. მერე პირი მაგრად მოეკუმა, სუნთქვა შეიკრა, ძირს იყურებოდა. მერე თავი ნელა ასწია და კბილებში გამოსცრა:

– რომელი და ბიჭო? – Je n’ai pas de soeur!*

ემირი

სტრასბურგის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტს ემირ ერთურქს ჩვევად ჰქონდა ლექციების შემდეგ თუ დროს გამონახავდა, აუცილებლად შეივლიდა მთავარ ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზიის მეორე სართულზე, სადაც მეორად წიგნებს ყიდდნენ. იქ ყოველთვის უფრო საინტერესო წიგნები ხვდებოდა, ვიდრე ახალი წიგნების სექციებში.

იმ დღეს მხოლოდ ორი ლექცია ჰქონდა, ამიტომ შუადღისკენ უკვე Grande rue-ს უძველეს ქვაფენილზე მიაბიჯებდა. ვიდრე მაღაზიაში შევიდოდა, გადაწყვიტა იქვე ახლოს მდებარე „Cafés du Monde“-ში დაელია ყავა. კაფეს წინ ხალხმრავლობა იყო, ამიტომ შიგნით მაგიდების გავლით შევიდა. ვიწრო გასასვლელის გამო ვეღარ მოზომა და ერთ-ერთ მაგიდას დაეჯახა. გოგონას, რომელსაც ყავა დაუღვარა, უზომოდ სევდიანი თვალები და გრძელი, ოქროსფერი თმა ჰქონდა. სასწრაფოდ მოუბოდიშა, ოფიციანტს მაგიდის გაწმენდა სთხოვა და ორი ყავა შეუკვეთა. თუმცა გოგონამ მიპატიჟება არ მიიღო, მადლობა გადაუხადა და სწრაფად წავიდა.

...ემირი პირდაპირ მეორე სართულზე ავიდა. ის იყო ფრანგული კლასიკური ლიტერატურის სექტორს მიაშურა, რომ ზურგს უკან აღელვებული ხმა მოესმა:

– Bonjour, vous cherchez quelque chose en particulier?**

მოტრიალდა, მის წინ ის გამხდარი, უცნაურად სევდიანთვალებიანი გოგონა იდგა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ყავა დაუღვარა.

– არა, გმადლობთ, ვათვალიერებ! – უხერხულად უპასუხა ემირმა და მისი სველი ბლუზისკენ გაექცა მზერა. ორივეს გაეღიმა. მან კიდევ ერთხელ მოუბოდიშა და თავი გააცნო.

მელანიმ: „მე აქვე ვიქნები, თუ დაგჭირდესო...“ – უთხრა და წიგნებთან მარტო დატოვა.

ემირმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. თუმცა მას ამჯერად წიგნები დიდად აღარ აინტერესებდა.

მალევე შეარჩია თურქი „რომანტიკული კომუნისტი“ პოეტის, ნაზიმ ჰიქმეთის ფრანგულ ენაზე ნათარგმნი კრებული და ქვედა სართულზე ჩასასვლელი კიბისკენ გაემართა.

სხვა გზისკენ

მელანი კიბესთან ახლოს, პატარა ბაქანზე იდგა და სხვადასხვა სახის მოზრდილ ალბომებს აწესრიგებდა. ზედა თაროდან ბარბარა სტრეიზანდის დიდი მოცულობის მძიმე ალბომი ჩამოიღო. საგულდაგულოდ გაწმინდა, რამდენიმე ადგილას გადაშალა, ცოტა დაათვალიერა და ისევ თავის ადგილას დააბრუნა. ქვედა თაროებზე როდ სტიუარტის და ბობ დილანის ფოტოებით ილუსტრირებული ალბომები გვერდიგვერდ დააწყო, ხოლო ჰარლი დევიდსონის სხვადასხვა მოდელების ფოტოებით სავსე ალბომს ყველაზე გამოსაჩენი ადგილი შეურჩია. ამით თავისებურად ჯონათანის ხსოვნას სცა პატივი.

– ჯონათან!.. ჯონათან!.. ჯონათან!.. – გონე-

* მე და არ მყავს! (თარგმან. ფრანგულიდან).

** გამარჯობა, რაიმე კონკრეტულს ეძებთ? — (თარგმან. ფრანგულიდან).

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ბაში რანდენჯერმე გაიმეორა სახელი, რომელიც ასე ძალიან ეძვირფასებოდა ახლო წარსულში. ახლა კი უცნაურ სიცარიელეს გრძნობდა. თითქოს ჯონათანი არც არასოდეს არსებობდა, არც მის საფლავზე მისვლისას იცვლებოდა რაიმე. მიწას ხელისგულებს ადებდა, უნდოდა ეტირა, მაგრამ მხოლოდ შინაგან ტკივილს გრძნობდა. მერე ემოციებისგან დაცლილ მზერას მიაჩერებდა შორეულ სივრცეს და ისევ ჯიუტად იმეორებდა მის სახელს. თითქოს საკუთარ თავს უმტკიცებდა, რომ ის ერთ დროს ნამდვილად იყო მის სინამდვილეში; უყვარდა და მასზე ზრუნავდა...

მისკენ მომავალი ახალგაცნობილი თურქი სტუდენტი შენიშნა, ფიქრებიდან უცბად გამოერკვა და სახეზე ღიმილი მოირგო:

– იპოვეთ, რასაც ეძებდით?

– დიახ, ამჯერად ეს წიგნი შევარჩიე. თქვენ გიყვართ პოეზია?

მელანიმ გაიღიმა და წყნარად წარმოთქვა: მიყვარს, რა თქმა უნდა. ლექსებს ხანდახან მეც ვწერ.

ემირმა ნაზიმ ჰიქმეთის „რჩეული ლექსები“ მარცხენა ხელში გადაიტანა, განთავისუფლებული მარჯვენა მელანის გაუწოდა: – მოხარული ვარ პოეზიის და ზოგადად ლიტერატურის მოყვარულმა ახალგაზრდა პოეტი რომ გავიცანი.

მელანიმ უხერხულად ჩამოართვა ხელი. ემირი უაღრესად თავდაჯერებული ჩანდა. ეს კი ის თვისება გახლდათ, რაც ყველაზე მეტად აკლდა მელანის.

საღამოს, ემირი მაღაზიის წინ დახვდა და იმ დღის საპატიებლად კაფეში დაპატიჟა.

იომ ქიფური – მიტევების დღე

ცოტაც და მთელს ებრაულ სამყაროში შეწყდებოდა ყოველგვარი მოძრაობა, ყოველდღიური რუტინა, ფაბრიკა-ქარხნების გუგუნი, არმიის წვრთნა და სამზადისი...

მონანიების ათი დღის დასასრულს, ებრაელები კიდევ ერთხელ შეჰფიცავდნენ ღმერთს, რომ დაიცავენ ათივე მცნებას, წინასწარმეტყველთა იდუმალ წიგნთა წიგნს – „თორას“ და ებრაელთა ყველა ადათ-წესს.

ისააკიც უკვე მერამდენედ აუხსნიდა ცოლშვილს, რომ ათასობით წლების განმავლობაში, სწორედ თორის რწმენამ და იმედმა იხსნა ებრაელი ერი მძიმე განსაცდელებისგან, დაიცვა ისინი უბედურებისგან, დამარცხებისგან, გადარჯულებისგან...

და აი, უკვე სრულწლოვანი, ცალ ყავარჯენზე დაყრდნობილი უზომოდ გამხდარი ელიასიც, მიმქრალი, თუმცა მტკიცე ხმით დაუდასტურებდა მამას, რომ საუკუნოდ დაიცავდა თორას, მის სიწმინდეს, რჯულს და ერთადერთ სამშობლოს!

შემდეგ ისააკი აღავლენდა ლოცვას, იტყოდა, რომ ებრაელი ერი – მსოფლიოში ერთადერთი ანთებული სანთელივით, სხვადასხვა ერებს ასწავლის სიკეთეს, ერთობას, სიყვარულს, შრომისმოყვარეობას, სამართალს, მშვიდობას!..

ღმერთს შესთხოვდა, რომ ჯანმრთელობის, ნაყოფიერების, ბარაქიანობის, მშვიდობის და სამართლიანობის წელი მიეცა მათთვის.

ისინი კი იქნებოდნენ დამთმენნი, მიმტევებლები, შემწყნარებლები...

ამრიგად, დასრულდებოდა ქიფურის ლოცვა-კურთხევა, ხვეწნა-მუდარა, მარხვა და წყურვილი!

და მერე, ისევე როგორც მთელ ებრაულ სამყაროში, მიზრაჰების ოჯახშიც აინთებოდა სანთლები, გაიშლებოდა სუფრა.

იმ რწმენით, რომ გამჩენის მადლით, ყველაფერი კარგად შეასრულეს, იმედიანად შემოუსხდებოდნენ მაგიდას.

ლეას მხოლოდ ერთი ნატვრა ჰქონდა, ქმარ-შვილის კარგად ყოფნა! მაშინ ხომ თვითონაც კარგად იქნებოდა.

სულიერ წონასწორობა შენარჩუნებული ელიასისთვის, თავისი ცხოვრების მთავარ აზრად ისევ, იმ პატარა, მიუსაფარ გოგონაზე ფიქრი

რჩებოდა, ბაჭია რომ გადმოაგდო ერთ დროს აივნიდან.

„La Perestroika“

სიჩქარის მიუხედავად, ლიტერატურის მოყვარულთა შეკრებაზე, რომელსაც „isons – Partageons“* ერქვა მელანის მაინც დააგვიანდა.

შეხვედრას ემირი უძღვებოდა, მელანიც მან მიიწვია. ერთმანეთს თბილად მიესალმნენ. ვიდრე ემირი ყავას შეუკვეთავდა, მელანიმ ინტერესით დაათვალიერა ბარის კედლებსა და ჭერზე გამოფენილი, ახლადდაშლილი საბჭოთა კავშირის სიმბოლოები და პლაკატები. სტალინის და ლენინის გამოსახულებები, წითელი დროშები ნამგალით და ეროთი. პიონერი გოგონების ფოტოები, – ერთნაირი ფორმებით, ფეხსაცმელებით, წითელი ყელსახვევებით...

შიდა ოთახში უკვე შეკრებილიყვნენ დანარჩენი წევრები. თითოეულ მათგანს წინ წაკითხული წიგნები ელაგა. ზოგი ყავას სვამდა, ზოგიც წყალს ან კოქტეილს. ემირმა მათ მელანი წარუდგინა, თქვა, რომ ის წიგნის მაღაზიაში გაიცნო. ყავის გადასხმაზე არაფერი უთქვამს. მელანი ყველას მიესალმა და ემირის გვერდით მორიდებულად ჩამოჯდა...

შემოდგომის სიგრილის მიუხედავად, საკმაოდ მხრებმოშიშვლებულმა ქალმა ემოციური, არტისტული ხმით დაიწყო წაკითხული წიგნებიდან ერთ-ერთის დანარჩენებისთვის გაცნობა:

– „Quelque chose s’est usé... quelque chose s’est refroidi... quelque chose a changé... Je suis désolé...“**

ემირმა ყავას მოყოლილი შოკოლადის შეჭმა გადაწყვიტა, მაგრამ თითებში გაუსხლტა და ბურთულა ძირს გაგორდა. მელანიმ უხერხულად გაიღიმა, თავისი შოკოლადი გაუწოდა. მეზობლად მჯდომ წიგნების მოყვარულს უცნაური სიცილი აუტყდა. იცინოდა და თან მთელი სხეულით თახთახებდა. მერე უეცრად დასერიოზულდა და ბოდიში მოიხადა. თუმცა შეხვედრის მსვლელობისას ხშირად იმეორებდა იგივეს.

დამიანი

დამიანი, ფრანსუა და ლუკას კაუფმანი ლუის სახლიდან ცუდ ხასიათზე გამოვიდნენ. კლოდ პიანეტი ლუისთან დარჩა:

– მაინც აქვე ვარ, სახლში გავალო ცოტა ხანში.

ბიჭებმა ვიწრო ქუჩაზე ჩუმად, სწრაფი ნაბიჯით გაიარეს და რესპუბლიკის მოედანზე ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

დამიანი პრეფექტურის წინ მდებარე ბაღში შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თავისუფალი სკამი იყო, არსად არ დაჯდა.

– არ... არ... არ... – თავში ლუის ნათქვამი სიტყვები უტრიალებდა. დამიანისთვის ყველა სიტყვას თავისი სუნი ჰქონდა. გაბრაზებით ნათქვამს მძიმე და აუტანელი. თითქოს სადაც არის ყელში გწვდებიან და მოგახრჩობენო, ისეთი. სურნელოვანი სიტყვები სხვანაირი სიმსუბუქის მატარებლები იყვნენ და ძირითადად, კეთილი ადამიანები ამბობდნენ.

– ადამიანები! ზოგი ადამიანი მისთვის მძიმე, აუტანელი იყო, ზოგიც მსუბუქი, სასიამოვნო.

ყველანი მაინც ერთნაირები არიანო! – გაიფიქრა და დამძიმებული გონებიდან ფიქრების გასაფანტად ღიღინი წამოიწყო:

„Tu me fais t’oublier...
Je te couvrirai d’un voile triste...
Et si jamais tu me le rappelles...
Je t’échapperai - le sentiment de douleur...“***

უეცრად გაწვიმდა. ჯერ წვრილად, აქა-იქ დაეცა წვეთები. მერე თანდათან უმატა. დამიანმა ქურთუკის საყელო ბოლომდე აიწია და გაჩერებისკენ წავიდა.

ავტობუსი იგვიანებდა. ამჯერად ქურთუკი თავზე წამოიფარა და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შენობისკენ გაიქცა. დაცვის თანამშრომელმა ჯერ ჯიბეები შეუმოწმა და მერე ისე გაატარა. ზევით არ ასულა, იქვე, კაფეტერიაში შევიდა. ფანჯრებს შორის დაკიდებულ ნახატებში ელიასის ტილო მოძებნა. ლურჯ-ცისფერ ფონზე დახატული მწვანე მთვარე, შავი მზე, თეთრი თევზი, წითელგუგიანი თვალი, ცეცხლში გახვეული წრე, ადამიანის მსგავსი დაკლაკნილი შავი, სუსტი არსება...

ამ ნახატის ქვეშ ჯდომა, გარინდება და უწყვეტი ფიქრი უყვარდა. ფიქრი შუბლის გახურებამდე. მისი და ელიასის მსგავსი სულიერი დაქსაქსულობის, ტკივილიანი წარსულის, ნამსხვრევებად ქცეული აწმყოს და ლურჯად გადაღებილი მომავლის სანიმუშო ილუსტრაცია იყო ეს ტილო.

მიუხედავად იმისა, რომ მელანი ზურგით იჯდა, მაინც იცონ – გრძელი ოქროსფერი თმით და მისთვის დამახასიათებელი ამ სამყაროსგან

* წავიკითხოთ – გავაზიაროთ (თარგმან. ფრანგულიდან).
** რაღაც გაცვდა... რაღაც გაცივდა... რაღაც შეიცვალა... ვწუხვარ... (თარგმან. ფრანგულიდან).

*** შენ მაიძულებ, რომ დაგივიწყო,
გადაგაფარო მომწუხრო ფარდა
და თუ ოდესმე თავს შემახსენებ,
მე გაგექცევი – ტკივილის განცდას.
(ლექსის ავტორი და თარგმანი – ლანა მანველის).

გათიშულობით. ფრთხილი ნაბიჯებით მიუახლოვდა და წყნარად წარმოთქვა: „მან ეს ნახატი იქ დახატა, ფსიქიატრიულში“.

მელანი შეკრთა და უცბად შემობრუნდა. დამიანს თავი გვერდით გადაეგდო და შუბლზე ჩამოშლილი თმიდან ჩვეული, გამჭოლი მზერით უცნაურად უღიმოდა:

– გამარჯობა, მელანი!

– Bonjour Damian! Que fais – tu ici?* – მელანი გაკვირვებულ მზერას არ აშორებდა, – ამას ვისზე ამბობ?

დამიანმა ხელის მტევნები მოისრისა და ყურში უჩურჩულა: ელიას მიზრაჰზე!..

მელანი გადაფითრდა და ინსტიქტურად დახუჭა თვალები. დამიანი ერთხანს ჩუმად იდგა, მერე გვერდით მიუჯდა და თხრობა დაიწყო.

...ელიასი ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაეცნო. უფრო მეტიც, მათ თვეები გაეტარებინათ ერთად, ერთ პატარა ოთახში. დამიანი იქ თავის თავს ევანს უწოდებდა. ევანად ყოფნა ადამიანებისგან გაქცევისთვის, თავის დასაცავად ესაჭიროებოდა. როდესაც დამიანი სულის დანაგვიანებას ვეღარ უძლებდა, მაშინ მას ევანი ცვლიდა. დეპრესიის დროს არეული გონების დამშვიდებას თავისი მეორე მე-თი ცდილობდა. საკუთარ თავში იკარგებოდა, იტანჯებოდა, ნადგურდებოდა. მერე გაუსაძლისი მდგომარეობიდან გამოსული ისევ დამიანი ხდებოდა და გაურკვეველი ხნით ევანს ივიწყებდა.

როგორც აღმოჩნდა მან ბევრი რამ იცოდა ელიასის და მელანის შესახებ. მოუყვა, თუ როგორ აბოდებდა წამლებით გაბრუებულ ელიასს მისი სახელი.

დეიდა ავა

მელანი ბიბლიოთეკიდან მარტო გამოვიდა. ფიქრებში ჩაძირული დამიანი კაფეტერიაში დარჩა.

აკანკალებდა, ხელის თითები ფრჩხილების ჩაჭერით ჰქონდა დაჩხვლეტილი. ასე ნერვიულობის დროს იქცეოდა. დამიანის მიერ ელიასის შესახებ მონაყოლმა, ისედაც ძლივს მოკრეფილი ძალა სულ ერთიანად გააცალა, უეცრად მოწოლილმა დანაშაულის გრძნობამ გაასავათა.

– თურმე, ელიასს ის არ მიუტოვებია... თურმე, ელიასი მასზე ფიქრობდა...

ელიასი უზომოდ შეეცოდა. თავისი თავიც...

– ღმერთო ჩემო! ელიასმა რომ იცოდეს, რეებიც გადამხდა...

პირველი რაც მოაფიქრდა, ელიასის დეიდასთან წასვლა იყო. ქოლგა გაშალა და მის ქვეშ შეყუჟული, მობუზული მხრებით დაადგა მტანჯველ გზას. კონტადესის პარკს სწრაფი ნაბიჯით ჩაუარა და მშვიდობის სინაგოგასთან შეჩერდა. მაღალ შენობას მზერა ააყოლა და ვედრებით წაიჩურჩულა:

– ელიას...

უღონოდ წაიჩურჩულა და არამყარი ნაბიჯებით განაგრძო გზა. ძველ უბანს რომ მიუახლოვდა, გაჩერდა. დიდი დრო გასულიყო მას შემდეგ, რაც უკანასკნელად მოინახულა ეს ადგილები. ქუჩის აქეთ-იქით წყალი ნაკადულებად მოედინებოდა. უბანი კიდევ უფრო ნაცრისფერი და სევდიანი ეჩვენა. სახლის წინ, სადაც ბავშვობა გაატარა, ვიღაცის ქარავანი იდგა. მისი ბავშვობის აუსრულებელი ოცნება იყო ქარავანით მოგზაურობა. მანქანას გვერდი აუქცია და შეპარვით ააყოლა მზერა სართულებს.

მათ ყოფილ აივანზე მტრედები დამსხდარიყვნენ, უბანშიც უამრავი მტრედი დაფრინავდა. მწარედ გაეღიმა და ხმის კანკალით წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც სიმართლე რომ ითქვას, წესიერად ჯერ თავადაც ვერ გაეთვითცნობიერებინა:

– იცით, მამა, აღარ არის...

სადარბაზოში სანახევროდ ბნელოდა. სინათლის ჩამრთველს თითი მიაჭირა და უეცრად განათებული ფართო საფეხურები ღელვით აიარა. მასიური კარის წინ შედგა. ოქროსფერ აბრაზე დიდი ასოებით ეწერა გვარი FELDMAN-ი. სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა. კარს მიღმა სრული სიჩუმე სუფევდა. იფიქრა, – გავბრუნდებიო, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ზარი დარეკა.

იგრძნო, როგორ ათვალიერებდა ვიღაც დიდხანს კარს მიღმა. მერე უამრავი საკეტის ჩხაკუნი გაისმა და ელიასის დეიდაც გამოჩნდა. მელანი მიესალმა და თავი წარუდგინა. ქალმა კისერზე ჩამოკიდებული სათვალე თვალებზე მოირგო და რამდენიმე წუთი მისთვის თვალი არ მოუშორებია. მელანიმ თავი დახარა. ავამ კარი ზედ ცხვირწინ მიუჯახუნა.

გაოგნებულ და შეურაცხყოფილ მელანის ზურგს უკან ისევ გაისმა უამრავი ჩამკეტის ხმა. თავგზააბნეული გამოვიდა სადარბაზოდან. ვერ ხვდებოდა, სად უნდა წასულიყო. ვინმესთან სჭირდებოდა საუბარი, ისეთ ადამიანთან, ვისაც სულ ცოტათი მაინც ესმოდა მისი. ფრედოსთან ვერ მივიდოდა, რადგანაც ბოლო დროს მასთან მისი პარიზელი მეგობარი რჩებოდა, მეცამეტე რაიონიდან.

რამდენადაც შეეძლო სწრაფად გაეცალა უბანს. ეგონა ირგვლივ ყველა მას უყურებდა, იცოდნენ თუ როგორ გზააბნეული და უსუსური

* გამარჯობა, დამიან! შენ აქ რას აკეთებ? (თარგმან. ფრანგულიდან).

იყო. წვიმას გადაეღო, მაგრამ ისევ მოღრუბლული ცა დაჰყურებდა თავს.

უცბად ბებია გაახსენდა და სულ მცირე სითბოს პოვნის იმედით, რიხარდ ვაგნერის ქუჩისკენ წავიდა.

უკანასკნელი შეხვედრა ანეტთან

ბებიის სახლის კარი მხოლოდ ღამით იკეტებოდა. აივანი ისევ სავსე იყო უბნის ბიჭებით. მათი ხმაური ქუჩაში ისმოდა. მელანიმ ცენტრალურ შესასვლელს მხარი აუქცია, ჩიხის მხრიდან ეზოში შევიდა. როგორ უყვარდა ამ უძველესი კედლების მშვიდი და ოდნავ გრილი ატმოსფერო. სახლში ყველაფერი ძველებურად იყო. ყველა ნივთი თავის ჩვეულ ადგილას დახვდა. ბებია არ ჩანდა. მისი ოთახის კარი ფრთხილად შეხსნა. ანეტს თვალებზე მიტკლის მოქარგული ხელსაწმენდი დაეფარებინა და ეძინა.

ოთახი მოათვალიერა. ხის ჩარჩოიან ოვალურ სარკეს ზედაპირზე ლაქები გასჩენოდა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა თითქოს აქვე, სადღაც მისი ბავშვობა ჩამომჯდარიყო და ჩუმად უთვალთვალებდა.

მრგვალსაზურგიანი, მოწნულდასაჯდომიანი სკამი გამოსწია და ვიდრე ჩამოჯდებოდა, წნული თითებით მოსინჯა. ბავშვობიდან მოჰყვებოდა ეს ჩვევა, სულ ეგონა დაჯდომისას ჩაწყდებოდა და ის ძირს დავარდებოდა. ახლაც ფრთხილად ჩამოჯდა. ოდნავ ღიად დარჩენილი უჯრიდან პუდრის სურნელი იფრქვეოდა. საკუთარი თავი გაახსენდა, გაპუდრული და შვინდისფერ ტუჩის საცხით გათხაპნილი. ბებია არასოდეს უკრძალავდა მის ნივთებთან შეხებას, არც ბავშვობაში და არც მერე...

– მოხვედი? – ანეტს გაღვიძებოდა და ლოგინში წამომჯდარი, დიდი ხნის უნახავ შვილიშვილს ჩამქრალი, მაგრამ თბილი მზერით უყურებდა.

მელანი ბებიას საწოლზე ჩამოუჯდა და დაბალი ხმით ჰკითხა: როგორ ხარ?

– აბა, როგორ უნდა ვიყო, ბლეიზის შემდეგ... – ანეტს თვალის კუთხეებში ცრემლები გაუკრთა, ხელსაწმენდი მოიშველია და მომჭკნარი ხელის მტევანი შვილიშვილს კალთაზე დაადო, – შენ როგორ ხარ?

მელანიმ თავი ჩაქინდრა. ერთხანს ორივენი ჩუმად იყვნენ. აივნიდან ლუის და მისი მეგობრების ხმაური შემოდიოდა. შიგადაშიგ მუსიკალური ინსტრუმენტებიც ჟღერდა.

ანეტმა ბალიში ასწია და ქვეშიდან პრიალა, კოპლებით დაწინწკლული, ვერცხლისფერი მეტალებით გაწყობილი ხელჩანთა გამოაძვრინა. მელანი ბავშვობიდან იცნობდა ამ შავი ტყავის ჩანთას. არ ახსოვდა ოდესმე ბებიას მისი შემცვლელი სხვა რამ დაეჭირა. მასაც ისეთი სურნელი ჰქონდა, როგორც ანეტს, – ვანილის, პუდრის და JEAN PATOU „Normandie“-ის უძველესი სუნამოს ერთმანეთში არეული არომატები. რამდენჯერ გაუხსნია ჩუმად, პატარა თითებით უწვალებია ცისფერი ლენტით შეკრული წერილების დასტა, ნეკი თითი ჩაუყვია თითქმის დამთავრებულ პომადის მომცრო ფორმაში და იქიდან ამოტანილი ოდნავ გამხმარი მასა საგულდაგულოდ წაუსვია ენის წვერით დასველებულ ტუჩებზე. ხურდა ფულის შესანახი საფულეც ახსოვდა. არაბი მოსტაფა უბანში გასაყიდ ნაყინს რომ მოიტანდა, გულამოვარდნილი, სირბილით შევარდებოდა სახლში. ჯერ საფულეს შეამოწმებდა, იქ თუ ხურდები დახვდებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვდა ბებიას ნაყინის ყიდვას.

მოგონებებში წასულს ანეტმა ხელებში ალესანდროს მიერ ნაჩუქარი სპილოს ძვლის სუვენირი ჩაუდო: „შენ გქონდეს, შეინახე და გამიხსენე ხოლმე“.

მელანიმ იუარა, შენთან იყოს, ისევ შენ შეინახეო, მაგრამ ვერ დაითანხმა, – მე ისედაც ყველა მოგონებას თან წავიღებ, ახლა შენ გაუფრთხილდიო.

– გავუფრთხილდებიო, – მიმქრალი ხმით მიუგო და ჩაეხუტა. ხმელი და თბილი იყო ანეტი. თავისებური, მსუბუქი შეხებით აკოცა შვილიშვილს და სახლში დაბრუნება სთხოვა.

ეს მათი ბოლო შეხვედრა იყო. მელანის ანეტი ცოცხალი აღარ უნახავს.

ფრედოს წასვლა

ფრედოს დედა მოკლესო! – ცუდი ამბავი უცბად გავრცელდა უბანში.

თურმე, ერთ-ერთი ოჯახური კონფლიქტის დროს, თავის მეორე ქმარს თავში მიწის გასაფხვიერებელი ხელსაწყო ჩაურტყამს.

აქამდე არავინ არ იცოდა ნატალის ოჯახური ამბები. ყოველთვის მხიარული და მოცინარი ყველას ბედნიერი ეგონა.

მელანის ის ძალიან შეეცოდა. მიუხედავად იმის, რომ ბოლო დროს ერთმანეთს ხშირად ვერ ხვდებოდნენ, მაინც კეთილად შემორჩა მის მეხსიერებას. წლების წინ, სწორედ მან შეუკერა ცისფერი, ლამაზი ჯიბეებიანი კაბა მაშინ, როდესაც ელიასთან ერთად კინოში აპირებდა ჩუმად წასვლას და ჩასაცმელი არაფერი ჰქონდა. მათ სახლში ყველა ფერადი ძაფიც ნატალის ნაჩუქარი იყო. იმდენი, სიცოცხლის ბოლომდე რომ ეყოფოდათ...

დედის დაკრძალვის შემდეგ, ფრედო სადღაც გადაიკარგა. ბოლოს, თავდახრილმა და ფერწასულმა გახსნა გამოკეტილი კარი. უხმოდ მიიღო მეზობლების სამძიმარი და რჩევა-დარიგებები. მერე კი, საცხოვრებლად თავის პარიზელ მეგობართან ერთად წავიდა პარიზში.

წასვლამდე გამოსამშვიდობებლად ლაპიერების კარზეც დარეკა. შარლოტას უკან მდგომი, კარს სანახევროდ ამოფარებული მელანი, აცრემლებული თვალებით გამოემშვიდობა თავის მესაიდუმლეს.

სტუმრად ემირთან

მელანი და ემირი ერთმანეთს სავაჭრო ცენტრის წინ შეხვდნენ. ცოტა გაისეირნეს. ორივენი მშივრები იყვნენ, მელანი სამსახურიდან, ემირი კი უნივერსიტეტიდან ბრუნდებოდა. ჯერ თურქულ რესტორანში გადაწყვიტეს შესვლა, მაგრამ იქაურობა გადავსებული დახვდათ და გადაიფიქრეს.

– ჩემთან წავიდეთო, – შესთავაზა ემირმა და მელანიც მორჩილად გაჰყვა. სახლის წინ, ასფალტზე, ვიღაცას ფერადი ცარცებით პატარძალი დაეხატა. გრძელი კაბით და ფატით. მელანიმ ნახატს გვერდი აუარა, ემირმა კი ზედ გადაუარა და სადარბაზოს კარი შეხსნა. ბინა შესასვლელ სართულზე ჰქონდა ნაქირავები. შესვლისთანავე ფეხსაცმელი გაიხადა. მელანიმაც მიბაძა.

პატარა ოთახის კედლები სავსე იყო წიგნებით. ფანჯარასთან საწოლი იდგა. თავთან ჩამოკიდებულ პატარა თაროზეც წიგნები ელაგა. ოთახის შუაგულში აღმოსავლური ფარდაგი, ზედ თასით ჩაიდნები, დიდი და პატარა.

ემირმა ჩაიდანი სამზარეულოში გაიტანა, გარეცხა, წყლით გაავსო და ასადუღებლად ქურაზე შემოდგა. მელანიმ წიგნების დათვალიერების უფლება ითხოვა. მალევე, შიშველ ფეხებზე შესცივდა და ფარდაგზე ჩაჯდა. ემირმა თავისი შალის წინდები ათხოვა.

ჩაი სამზარეულოში პატარა შუშის ჭიქებით დალიეს. მელანის არასოდეს დაელია ჩაი ასე. არც თურქული ჩაი გაესინჯა – მუქი ფერის და ოდნავ მომწარო. ჩაის პური, ყველი, პომიდორი და ზეითუნის ზეთმოსხმული, ლიმონდაწურული ზეთისხილი მიაყოლეს. ემირი შიგადაშიგ კითხვებს უსვამდა. მელანიც ერთი შეხედვით გულწრფელად პასუხობდა. თუმცა არ ახსენებდა არც ელიასს და არც ჯონათანს. ცდილობდა ემირთან მოეპოვებინა ის ნუგეში, რაც ასე ძალიან ესაჭიროებოდა ცხოვრების გასაგრძელებლად.

ახალი შებნელებული იყო ბინიდან რომ გამოვიდნენ. ემირმა ისევ ზედ გადაუარა ასფალტზე დახატულ პატარძალს. მელანის შეამცივნა. უცნაური შეგრძნება ჰქონდა, რაღაც ძალა იზიდავდა ემირისკენ, მაგრამ გულის სიღრმეში მისგან გაქცევა უნდოდა.

ერთმანეთს ტრამვაის გაჩერებაზე დაემშვიდობნენ. ემირმა ჯერ ლოყაზე აკოცა, მეორე კოცნის დროს კი ვითომ შეთხვევით მისი ტუჩის კუთხეს შეეხო.

სახლიდან წასვლა

გამეხებული შარლოტა კართან დახვდა.

– სად იყავი ამდენ ხანს? – შეუბღვირა და თვალებში იმგვარად ჩააშტერდა, თითქოს მის სულში უნდოდა ჩაძვრომა.

მელანის გააჟრიალა, – ღმერთო! როგორ სძულდა დედის ამგვარი საქციელი. შეეცადა როგორმე აერიდებინა ჩხუბი. სახლში შევიდა. ზურგს უკან შარლოტას გამჭოლ მზერას გრძნობდა.

სასწრაფოდ შევიდა სააბაზანოში. ის იყო ტანსაცმლის გახდა დაიწყო, რომ კარი შარლოტამ შეუხსნა:

– დასაბანი ხარ?!

– დედა!

მელანის სახე და ყურები აეწვა. უნდოდა კარი მიეხურა, მაგრამ დედამ ამის საშუალება არ მისცა. ყელში ცრემლების უზარმაზარი ბურთულა გაეჩხირა.

– თავი დამანებე, მე შენ გეკითხები ეტიენთან ერთად სად დადიხარ?

შარლოტა სულ გადაირია. ორივე ხელი მკლავებში სტაცა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუჭირა. აკანკალებულმა მელანიმ აღარ იცოდა რა ექნა. ფიზიკურ ტკივილს იმდენად ვერ გრძნობდა, რამდენადაც სული ეწვოდა. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. შარლოტა ოთახებში დადიოდა და მისი მისამართით მწარე-მწარე სიტყვებს ისროდა. რამდენჯერმე კარი შემოუხსნა და გულდასმით გაახსენა ჯონათანთან და ბოკჰორნებთან მისი მეგობრობის შედეგი. მელანიმ სიმწრით მოიკვნიტა ტუჩები და ხმამაღლა ატირდა. შარლოტაზე მისი ტირილი არ მოქმედებდა, სამზარეულოში შევიდა და თეფშების რახა-რუხის ფონზე გააგრძელა შვილის მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვების სროლა.

გონებაარეულმა მელანიმ ჩანთაში აუცილებელი ნივთები ჩაილაგა და დედამისს რომ ვერ შეემჩნია სახლიდან ისე გავიდა.

Infinie Solitude*

მარტოდ დარჩენილი შარლოტა თავიდან რაღაც სიცარიელეში აღმოჩნდა. ვერ მიხვდა გაუხარდა თუ ეწყინა მელანის წასვლა. მისი დატოვებული ქაღალდის ნაგლეჯი ლუის აჩვენა და მის სახლში დასაბრუნებლად მხარდაჭერა მოითხოვა. ლუის სახე გაუბოროტდა და კბილებში გამოსცრა: „Va au diable!..“**

შარლოტას ყოველთვის უჭირდა ბლეიზის შვილების გათავისება, მაგრამ მაინც ფიქრობდა, რომ კარგი და მზრუნველი დედა იყო. ჰქონდა შეუცვლელი პრინციპები. დარწმუნებული იყო, რომ სიმკაცრე და დისციპლინა აუცილებელი იყო ბავშვის აღზრდისთვის. საჭიროდ არ მიაჩნდა ზედმეტი სითბო და ლმობიერება, თუმცა თავად მთელი ცხოვრების განმავლობაში, სულ სითბოს და სიყვარულს ეძებდა.

რამდენიმე დღეში ნერვიულობამ დარია ხელი. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, სხეული სტკიოდა, თავი ასკდებოდა. თეატრში არაფერს ამბობდა, თუმცა თავმოყვარეობაშელახულს მოჩვენებითი სიმშვიდის შენარჩუნება ძალიან უჭირდა.

მის ამ მდგომარეობას ზედ ეტიენთან ჩხუბი და დაშორებაც დაერთო. რასაც მისი სიამაყე ვეღარ გაუმკლავდა და საბოლოოდ, რამდენიმე დღე, ლოგინადაც ჩავარდა.

მას უკვე აღარ შეეძლო ადვილად დაევიწყებინა საყვარელი ადამიანი ან ის სხვა ვინმეთი ჩაენაცვლებინა. ამის არც სურვილი ჰქონდა და არც ემოციური ფონი. საკუთარი თავის და გრძნობების დათრგუნვის მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაქანცა. ასაკზე ფიქრი არ უყვარდა, თითქოს ვერც გრძნობდა, მაგრამ მაინც ცხოვრებისგან საშინლად იყო დაღლილი.

უამრავი ტკივილი და სევდა... მცირე სიხარული და მრავალი იმედგაცრუება. დანგრეული ურთიერთობები... ოჯახი... დედაშვილობა...

იწვა თვალებდახუჭული და ეტიენის სახეს იხსენებდა იმ გამომეტყველებით, გონებაში რომ ჩაიბეჭდა ბოლო ჩხუბის დროს. მაშინ დიდი ძალისხმევა დასჭირდა რომ არ აჰყოლოდა. გარკვეული დროის შემდეგ აღარც ეპასუხებოდა. იცოდა მეტად აღარ ნახავდა, ამდენ სიუხეშეს ვეღარ აპატიებდა. ამიტომ მხოლოდ მისი სახის დამახსოვრებას ცდილობდა. იმ სახის, ერთ დროს ასე ძალიან რომ უყვარდა.

სულის და გულის სათითაო უჯრედამდე მიუშვა, გადაწყვეტილი ჰქონდა ბოლომდე სტკენოდა. უფლება მისცა ეყვირა, ჭკუა ესწავლებინა, დაემცირებინა. ნერვიულობისგან ძალა გაეცალა. სიტყვების მნიშვნელობა აღარ ესმოდა, უსიამოვნო ბგერებს შეიგრძნობდა მხოლოდ. სამაგიეროდ იხსომებდა მის გაბოროტებულ მოცისფრო-მომწვანო თვალებს, პატარა ცხვირს, ჭაღარა, აჩეჩილ თმას, წვერს, პატარა პირს, ასიმეტრიული ტუჩებით... მისი ხმა, ხავერდოვანი, ვაჟკაცური... სიტყვები მწარე და გულსატკენი, განშორების სურნელით გაჟღენთილი.

მოსმენა არ სჭირდებოდა, შარლოტამ ისედაც ყველაფერი ზეპირად იცოდა. შეიძლება რაღაცეებში ეთანხმებოდა კიდეც, მაგრამ მისი ყვირილით და აგრესიით ნათქვამი სიმართლე საშინლად აღიზიანებდა. მდგომარეობიდან გამოიყვანა იმანაც, რომ ეტიენმა ეგოისტი, სისუფთავეზე და წესრიგზე უაზროდ გაგიჟებული უწოდა.

ბრაზობდა, რომ ის უფრო ხშირად ჩამოდიოდა სტრასბურგში, ვიდრე შარლოტა მიდიოდა სოფელში მის სანახავად. ხოლო მელანი საერთოდაც არ ამჩნევდა მის არსებობას. გამარჯობასაც სასხვათაშორისოდ ეუბნებოდა და სულ თავის ოთახში იყო გამოკეტილი. მას კი ოჯახური ურთიერთობები უნდოდა!

შეიძლება ყველაფერს არა, მაგრამ მათთვის ბევრ რამეს აკეთებდა, ზრუნავდა. მაგრამ დაიღალა! მას უკვე არ შეეძლო მუდმივად ევლო სტრასბურგში, ასაკიც აღარ უწყობდა ხელს. ის უნდა გამოსულიყო სამოყვარულო კონცერტებზე ელზას-ლოტარინგიის მხარეში. მიეხედა თავისი ორი გერმანული ნაგაზისთვის, ხანდახან ეტარებინა ძაღლების კლუბში. კვირაში სამჯერ ევლო აუზზე. ვალდებული იყო ყოველკვირა მოენახულებინა მოხუცი დედა, რომელიც მარტო ცხოვრობდა სხვა ქალაქში. ეყიდა მისთვის საჭირო პროდუქტები, გაესუფთავებინა ბაღი, თევზებით სავსე აუზი; მოერწყა ყვავილები, ხეებისთვის შემოეცალა მოტეხილი და ზედმეტი ტოტები; რადგანაც თავისი დისგან განსხვავებით, ის დედას დაჰპირდა, რომ არ წაიყვანდა მოხუცთა თავშესაფარში და სიცოცხლის ბოლომდე იმ სახლში დატოვებდა, რომელიც მან და მისმა აწ უკვე გარდაცვლილმა ქმარმა შეიძინეს პენსიაზე გასვლის შემდეგ...

ეტიენს უნდოდა, რომ შარლოტა მასთან გადასულიყო საცხოვრებლად. შარლოტას კი ეს არ შეეძლო. მას არ შეეძლო თეატრის მიტოვება, ასევე მელანის მარტო დატოვება და საერთოდაც არ სურდა თავისუფლების სრული დაკარგვა, რადგან ბოლომდე მაინც არავის ენდობოდა.

ეტიენის ხშირი ბუზღუნის და ჩხუბების შედეგად კი, თანდათან გაუხუნდა ის ლამაზი გრძნობა, რამაც თავიდან ასე ძლიერად მიიზიდა, გააერთიანა და გარკვეული დრო მასთან ერთად ატარა.

* უსაზღვრო მარტოობა (თარგმან. ფრანგულიდან).
** ეშმაკთანაც წასულა! (თარგმან. ფრანგულიდან).

ალბათ, ეტიენთანაც იგივე ხდებოდა. აბა, მაშ რატომ არ ეძნელებოდა ადრე ეს ყველაფერი და ყოველი კვირის ბოლოს შარლოტას სანახავად სტრასბურგში მოუხაროდა.

დაცილების წინ, მანქანაში ნივთების ჩაბარგების შემდეგ, ამობრუნებულმა ეტიენმა უკანასკნელად მოინდომა შარლოტას ჩახუტება. უზომოდ გულნატკენმა შარლოტამ კი სამაგიერო თავისი გულგრილობით გადაუხადა.

იმ საღამოს გვიანობამდე იჯდა აივანზე, სავსე მთვარეს გაჰყურებდა და ის თავსხმა წვიმა ახსენდებოდა პირველი წაკინკლავების შემდეგ რომ მოუსწროთ. მაშინ ერთმანეთზე ჯერ კიდევ უზომოდ შეყვარებულები წმინდა თომას ეკლესიის ოდნავ შეწეულ კედელს შეეფარნენ. ეტიენმა შარლოტა მკერდზე მიიხუტა და ზურგი წვიმას მიუშვირა. შარლოტამ მკლავები მოხვია და ცდილობდა ცოტათი მაინც დაეცვა დასველებისგან...

მიუხედავად იმისა, რომ შარლოტამ თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ძალიან კარგად იცოდა სიყვარულის ფაზები, მაინც ვერ ეგუებოდა მის თანდათანობით სახეცვლილებას. ძლიერი გულისტკივილის და იმედგაცრუების პერიოდს, მალევე ცვლიდა თვალისახელის და პარტნიორის რეალური სახის შეცნობის ხანა. რის შემდეგაც ისევ მარტოდ დარჩენის და პიროვნული გაძლიერების პერიოდი ეწყებოდა.

ამჯერად კი ძალიან გაუჭირდა. მელანისგან და ეტიენისგან, თითქმის ერთდროულად იქნა უარყოფილი, რამაც მისი სიამაყე მიწასთან გაასწორა.

სალამი თავისუფლებას

სახლში დაბრუნებულმა ეტიენმა ძაღლებს აჭამა, წყალი დაალევინა და სოფლის გორაზე მანქანით წაიყვანა სასეირნოდ. ძაღლებს რომ საბარგულში სვამდა, იქვე დაგდებული თავისი ბატინკები შენიშნა. აიღო და სიამოვნებით დაალაგა უკანა სავარძელზე დადებულ ტანსაცმლით სავსე სამგზავრო ჩანთაზე. სიამოვნებით იმიტომ რომ იცოდა, სხვა დროს შარლოტას ძალიან გააბრაზებდა მისი ამგვარი საქციელი.

ჯერ კიდევ გზიდან დაურეკა დედას და ყველაფერი მოუყვა. დედამისმა, სკოლის ყოფილმა დირექტორმა რაც შეეძლო თავშეკავებულად უთხრა, რომ ის და შარლოტა ისედაც არ იყვნენ ერთმანეთის შესაფერისები.

დაურეკა თავის ბიჭს, რომელიც პარტნიორი გოგოსგან შვილს ელოდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოჰკითხა. ასევე უთხრა, რომ შარლოტას დასცილდა და ახლა უფრო მეტ დროს დაუთმობდა საკუთარ თავს. ზამთრისთვის ახალ ღუმელს იყიდიდა, რადგანაც გათბობის გადასახადი ძვირდებოდა. შვილს ხმაში კმაყოფილება შეეტყო და ველოსიპედისთვის ნაკლული თანხის დამატება სთხოვა.

გოგოსთვისაც უნდოდა დაერეკა, მაგრამ იცოდა არ უპასუხებდა. რაც დედასთან გადავიდა პარიზში საცხოვრებლად და მამასთან იჩხუბა და აღარ ეკონტაქტებოდა.

ძაღლები კმაყოფილები ახტებოდნენ და თავისებურად ეფერებოდნენ. ეტიენი ძირს დაწვა და ორივე ჩაიხუტა.

საღამოს ვახშმისთვის ხორცი შეიწვა და ძმარმოსხმულ სალათის ფურცლებთან ერთად შეჭამა. ჭურჭელი სწრაფად გარეცხა, დარაბები დახურა, იბანავა, შიშველ სხეულზე ხალათი შემოიცვა, ტელევიზორი ჩართო და იქვე კმაყოფილი მიწვა დივანზე.

ტელევიზორში ვერსალის ბაღს უჩვენებდნენ. თავისი ნაყიდი ქოთნის ყვავილები გაახსენდა შარლოტას აივანზე. ოთხი ქოთანი, ოთხი სხვადასხვა ფერის ყვავილებით. ჩხუბის დროს ძლიერმა სურვილმა მოუარა ყველა საჩუქარი წაერთმია. შარლოტას ცინიკური ღიმილი გაახსენდა, თითქოს ნაფიქრს მიუხვდაო ისეთი. მერე თავს მაინც ვერ მოერია და ოქროს ბეჭედი მოსთხოვა უკან. შარლოტამ უხმოდ დაუდო შემოსასვლელში, სარკის წინ.

მანქანიდან ამობრუნებულმა ბეჭედი საძინებელში დატოვა და აივანზე მყოფ შარლოტას უკანასკნელად სთხოვა ჩახუტება. ცივი და მოუხეშავი იყო ქალის სხეული. თვალები სევდიანი და ამღვრეული.

ეტიენს გული შარლოტას მონატრებით აევსო. ნერვიულად წამოდგა, აკანკალებული თითებით გადაახვია თამბაქო ქაღალდში, ჭიქაში კონიაკი დაისხა და ეზოში გამოვიდა. თავზე სავსე მთვარე დაჰყურებდა. ძაღლები ჩუმად მივიდნენ მის ფეხებთან. მოეფერა. სწრაფად და დაძაბულად ეწეოდა. ბოლო ნაფაზიც დაარტყა, კონიაკი გამოცალა, მთვარეს ახედა და დაიყვირა:

– Suis désolé pour la souffrance et la douleur que je t'ai infligé ma Charlotte… Je t'aime… Tu le sais.*

* ბოდიშს გიხდი იმ ტკივილისა და ტანჯვისთვის, რაც მე მოგიტანე, ჩემო შარლოტა... მე შენ მიყვარხარ... შენ ეს იცი... (თარგმან. ფრანგულიდან).



აკაკი გიძინაშვილი

თელავი

გიორგი ფარეშიშვილს

თავს მომაწონებს ვერავინ,
მე, აქ, ისეთ ხმებს ვისმენ,
გომბორის მთიდან თელავი
დაგინახიათ ვისმე?!
„ფიქრის გორაზე“, განცდები,
ფიქრებს მიშლიან მრავალს,
„ღვთაებრივ ბორცვს“ რომ ავცდები,
„ზუზუმბოს მთაზე“ ავალ.
„ბატონის ციხის“ კედლები
ჯანის სიმტკიცით მავსებს...
„ძველ გალავანთან“ შევდგები,
მივეახლები ტაძრებს.
მოვინახულებ ამ უბნებს,
ვიცი, ფიქრობენ ჩემზე...
ქარი გაფანტავს, ავ ღრუბელს,
ჩამოაცილებს ჩემ მზეს...
სამყარო მიღირს კახეთად,
გულში ვიხუტებ გომბორს...
ალაზნის ველს რომ გავხედავ,
ძალზე ჰგავს, იმ, ერთ, გოგოს...
დარდების გადამთელავი,
უკვდავ სიმღერას ვისმენ;
უფლის საუფლო თელავი,
არ გინახიათ ვისმე?!

ხათუნა
გოზალიშვილი

– კარგი, დამშვიდდი. ახლა ხომ არ გაიგე პირველად, საქონელს რომ კლავენ?

– არა, მაგრამ სულ ეგრე მეტირება... მარტო მაგაზე არა, ყველაფერზე მეტირება... მეტირება და მეშინია – ჩაიჩურჩულა.

– რისი, ბიჭო?

– ყველაფრის...

უფრო მოვხვიე ხელები. გული დამენვა.

– ხომ არავის ეტყვი? – მკითხა უცებ და მომაშტერდა.

– არ გრცხვენია?

– მრცხვენია...

ხ. გოზალიშვილი

ჯიბო

მეზობლებს დავემშვიდობე და მანქანა დავძარი. სარკიდან კიდევ ერთხელ გავხედე სახლს, რომელშიც გავიზარდე და რომელსაც, ზუსტად ვიცოდი, აღარ ვნახავდი.

უცებ, სარკეში თვალი მოვკარი, ვიღაც დაღმართზე მთელი ძალით და ხელების ქნევით მორბოდა. სვლა შევანელე და დავაკვირდი. სახეს ვერ ვარჩევდი, მაგრამ სხეულის აღნაგობით მივხვდი – ჯიბო იყო. გული შემიხტა.

მანქანა გავაჩერე და გადმოვედი. ქოშინით მოვარდა. გაოფლილი იყო, ძლივს სუნთქავდა და მაჯებით იწმენდდა სახეს.

– ისე მიდიოდი, რომ არ მნახე? – ამოთქვა როგორც იქნა.

ნაწყენი ხმა ჰქონდა და თვალებში ცრემლი ედგა.

შემრცხვა. შევწუხდი და მოვეხვიე.

– მაპატიე...

არაფერი უთქვამს. მერე კი უეცრად, მკითხა თუ დარწმუნებით მითხრა, ვერ მივხვდი:

– შენც სხვებს დაემსგავსე....

გულდაწყვეტილი იყო.

საკუთარ თავზე გავბრაზდი... კი, მეც სხვებს დავემსგავსე, სხვებზე უარესიც გავხდი ეგებ...

– წადი, აღარ გაგაჩერებ... ეგეც ვიცი, ველარ გნახავ, მაგრამ უგულოდ ნუ იცხოვრებ, გთხოვ...

გუნება მომეშხამა. მთელი გზა ქალაქამდე თავს ვსაყვედურობდი. როგორ დამავიწყდა? რანაირად დამემართა, რომ რასაც შევპირდი, ვერ შევუსრულე? არადა, როგორ მელოდა ალბათ, როგორ სჯეროდა, რომ მე ის კაცი ვარ, ვინც დანაპირების შესრულება იცის...

,,შენც სხვებს დაემსგავსე“...

მართალი იყო. სხვებს დავემსგავსე. აი იმათ, ვისაც დრო და ჟამი გრძნობებს უცვეთს, ვისშიც სულერთიობა იბუდებს, ვინც თავისი კეთილდღეობისთვის სხვებს ივიწყებს და მარტო პირადი ახსოვს... მართალი ხარ ჯიბო, მეც ასეთი ვარ, არაფრით გამორჩეული სხვებისგან... ან იქნებ ასეთი ვიყავი ყოველთვის...

ვერაფრით ვიმართლებდი თავს, ვე-რაფრით... ყელში ბურთი მეჩხირებოდა და ნერწყვს წარამარა ვყლაპავდი. „აუცილებლად აგისრულებ შეპირებულს“ – ჩავუთქვი გულში და გახარებული მეგობრის სახე თვალწინ წარმომიდგა...

ჯიბო ჩვეულებრივი ბავშვი იყო. ჩვენთან ერთად თამაშობდა დამალობანას, ლახტსა თუ ფეხბურთს... ჩვენთან ერთად ძვრებოდა ფარდულის სახურავებსა თუ ხეებზე... ჩვენთან ერთად იპარავდა სიმინდს სხვისი ყანიდან და ჩვენთან ერთად წითლდებოდა კესოს დანახვისას... პრობლემები მერე გაჩნდა, გარდატეხის ასაკში (ამ დროს, ჯიბოს მშობლები უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები). რაღაცნაირად ჩუმი და უცნაური გახდა, ჩაიკეტა, მზერა და საქციელი მოუსვენარი გაუხდა. აღარ თამაშობდა ფეხბურთს, აღარ იცინოდა უდარდელად, აღარ დარბოდა ორღობეებში ყიჟინით და აღარ შესცქეროდა კესოს გამოჩენას მოუთმენლად...

ერთ დღეს კი, სრულიად მოულოდნელად, მინდორში, ხის ძირას პირქვედამხობილს წავაწყდი. მხრები უცახცახებდა და უცნაურ ბგერებს გამოსცემდა. ტირის? – გავიფიქრე შეშფოთებულმა და დავუძახე. არ გამომპასუხებია, მხოლოდ სლუკუნი შეწყვიტა. გადმოვაბრუნე. სახე სველი ჰქონდა. თვალები არ გაუხელია, ისე, ჩუმად მითხრა: ,,წადი“. გვერდით მივუჯექი და ხელები შემოვხვიე.

– რა გჭირს?

ამომხედა.

– არ ვიცი, სულ ეგრე მეტირება... ლეოს ეზოსთან ჩავიარე და დავინახე, როგორ გამოუსვეს ყელში დანა...

ხათუნა გოზალიშვილი

ხმა ჩაუწყდა, ცრემლები ჩამოუგორდა ისევ.

– ვის გამოუსვეს დანა, ბიჭო, რაებს იძახი? – შევშფოთდი.

– ჭრელი ძროხა რომ ჰყავდათ, ხომ გახსოვს? წამოაქციეს და დანა გამოუსვეს...

ვეღარ ლაპარაკობდა, ეტირებოდა...

შვებით ამოვისუნთქე. მეც შემეცოდა ჭრელა, მაგრამ ასე გულამოსკვნილი ტირილი, რა ამბავი იყო...

– კარგი, დამშვიდდი. ახლა ხომ არ გაიგე პირველად, საქონელს რომ კლავენ?

– არა, მაგრამ სულ ეგრე მეტირება... მარტო მაგაზე არა, ყველაფერზე მეტირება... მეტირება და მეშინია – ჩაიჩურჩულა.

– რისი, ბიჭო?

– ყველაფრის...

უფრო მოვხვიე ხელები. გული დამეწვა.

– ხომ არავის ეტყვი? – მკითხა უცებ და მომაშტერდა.

– არ გრცხვენია?

– მრცხვენია...

ეს იყო და ეს. ამის მერე აღარასდროს უთქვამს არაფერი, მაგრამ მე უკვე ვიცოდი, რომ ეშინოდა... რომ საწყალი და სათუთი გული ჰქონდა და უნდა მოვფრთხილებოდი... გასუქდა, გარეგნობა შეეცვალა, სახეც უფრო და უფრო კუშტი უხდებოდა... ხან უცებ გაშტერდებოდა სივრცესმიჩერებული და რაღაცას უღიმოდა... ეფერებოდა ბალახს, ხეებს, ცხოველებს, ოღონდ თუ გარშემო არავინ ეგულებოდა, მაშინ... ჩემი სჯეროდა, მე მომყვებოდა უკან, სხვებს უფრთხოდა და ერიდებოდა. თუ უცებ შეტრიალდებოდა და გაიქცეოდა, ვიცოდი, რომ რაღაცამ გული აუჩუყა და ცრემლების დასამალად გარბოდა...

მიყვარდა და მეცოდებოდა, მეცოდებოდა და მიყვარდა...

სკოლა რომ დავამთავრე და თბილისში წასვლა გადავწყვიტე, არ ვიცოდი, როგორ მეთქვა მისთვის, რა სიტყვებით დამემშვიდებინა... ვნერვიულობდი. თვითონ მოვიდა, ჩემს წინ გაჩერდა თავჩახრილი და მითხრა:

– ხომ მალ-მალე ჩამოხვალ?

მოვეხვიე.

– აღარ ჩამოხვალ, – თქვა დარწმუნებით.

– აბა რას ამბობ? მაშ რას ვიზამ?

ახლა ვხვდები, რას გულისხმობდა. წინდაწინ იცოდა, ჩასვლა რომ უფრო გამიიშვიათდებოდა და ბოლოს, საერთოდ შევწყვეტდი. ასე იქცეოდა უმეტესობა. ასე მოვიქეცი მეც...

,,შენც სხვებს დაემსგავსე“ – მწარედ ჩამესმოდა მისი ნასაყვედურები ხმა.

სოფელში იშვიათი ვიზიტებისას, მაშინვე ჯიბოსკენ გავრბოდი. პირველი ის უნდა მენახა. თვალწინ მიდგას მისი გაბრწყინებული სახე, მოცრემლილი თვალები და ,,სულ ჩამოხვედი?“ – შეძახილი.

თიხიან ხელებს წინსაფარზე შეიწმენდდა და გადამეხვეოდა.

მერე გამომკითხავდა ქალაქის ამბებს. მეც აღტკინებით ვუყვებოდი... ყოველი ჩასვლისას, ჩემი თხრობა უფრო და უფრო ცხოველი ხდებოდა, ხოლო ჯიბოს სახე უფრო და უფრო მოღუშული. მერე, უცებ, საქმეს მიუბრუნდებოდა და თითქოს ჩემი არსებობაც კი ავიწყდებოდა. თითქოს... ვხვდებოდი, ეს პროტესტის გამოხატვა იყო მისი მხრიდან. გრძნობდა, როგორ მითრევდა ქალაქი თავისი ხმაურიანი ცხოვრებით და ნელ-ნელა ქალაქელი ბიჭი ვხდებოდი...

– ჩემს ნამუშევრებს არ შეხედავ? – მკითხა ერთხელ.

გავშრი. ადრე ყველაფერს ვათვალიერებდი, ვეკითხებოდი, გაოცებას გამოვთქვამდი... მართლა მიკვირდა, თიხა-მიწისგან შექმნილ ამ საოცარ ნაკეთობებს როცა ვხედავდი... მისი წინაპრებიც თიხაზე მუშაობდნენ. ქოთნებს, სურებსა თუ ფიალებს ამზადებდნენ, მაგრამ რასაც ჯიბო აკეთებდა, ეს ნამდვილი საოცრება იყო. ულამაზესი ფორმის, დიდი თუ პატარა, ყვავილების თუ ხილის ლარნაკები, სანათები, ქოთნები... მაგრამ ყველაზე მეტად მინიატურული, მოხატული ფიგურები მაოცებდნენ. თითქოს ცოცხლები იყვნენ, იმდენი სხვადასხვა ემოცია იყო მათში ჩადებული... უყურებდი და გეგონა, ეს-ესაა დაგელაპარაკებიანო...

– ნამდვილი შემოქმედი ხარ! – ვიძახდი აღფრთოვანებით, – გამოფენა უნდა მოგიწყო.

ის კი თავს ხრიდა, თითქოს არც ესმოდა. მერე უცებ მოიხსნიდა წინსაფარს და ,,წამო გავიაროთო“ – მეტყოდა...

სახე თანდათან უფრო ასიმეტრიული გაუხდა. ტანი დაუდონდლოვდა, მეტყველება ეფანტებოდა. თიხაზე მუშაობასაც თავი დაანება და იჯდა მთელი დღე ხან პირზე ღიმგადაკრული და ხანაც მოღუშული...

ბოლოს რომ ვნახე, გავვოცდი. სულ მთლად ახალგაზრდა, მოხუცს დამგვანებოდა. ძლივს ათრევდა ტანს, უხერხულად იღიმოდა და თავს აქეთ-იქეთ აქანავებდა.

– რა ლამაზი ბოტასები გაცვია, ყოველთვის

ვოცნებობდი ეგეთზე...

ბოტასებს დავხედე.

– არ მოგერგება, თორემ დაგიტოვებდი. კიდევ რომ ჩამოვალ, აუცილებლად ჩამოგიტან ასეთივეს, შენს ზომას.

– მართლა? – გაუბრწყინდა სახე.

– გპირდები.

ქალაქში დავბრუნდი და არც ჯიბო გამხსენებია და არც ბოტასები. თავით ვიყავი გადაშვებული ჩემს საქმეებში. და აი, სოფელში სახლის გასაყიდად ჩასულს, ჯიბოს ნახვაც კი აღარ მომსვლია აზრად.

,,შენც სხვებს დაემსგავსე...“ – ყურში მედგა მისი ნასაყვედურები ხმა.

გადავწყვიტე ბოტასები მეყიდა და ჯიბოსთვის ჩამეტანა. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი თვე და ბოტასები ისევ მანქანის უკანა სავარძელზე ეწყო.

და აი, როგორც იქნა, მოვიცალე. აღტკინებით მივაქროლებდი მანქანას და თვალწინ ჯიბოს გაბრწყინებული სახე მეხატებოდა.

გახარებული შევჩერდი მის სახლთან და გავვოცდი. ჭიშკარს კლიტე ედო. უწინ, სადაც არ უნდა წასულიყო, კარს არასდროს კეტავდა.

სად იქნება? – გავიფიქრე და მეზობელს შევეხმიანე.

– ჯიბო? – გაიკვირვა მოხუცმა ქალმა, – შენ რა, არაფერი გაგიგია?

ტანში გამცრა.

– ჯიბო აღარ არის, მოკვდა.

– რა? – დავიღრიალე უნებურად და ძალაგამოცლილი ღობეს მივეყუდე, – ეს როგორ?

– ბოლო ხანს საერთოდ აღარ გამოდიოდა გარეთ. საწოლიდან არ დგებოდა, არ ლაპარაკობდა, არ ჭამდა და ჰა, განა რამდენ ხანს გაძლებდა საცოდავი? მეზობლები შევდიოდით ხანდახან, ლოგინს ვუცვლიდით, ეგეც აგვიკრძალა, აღარ მოხვიდეთო... ბოლოს გარდაცვლილი ვნახეთ, ისეთი სუნი იდგა სახლში...

აღარ გამიგია რას ამბობდა ქალი. მანქანა დავძარი და სასაფლაოს გზას ავუყევი. კარგად მახსოვდა ჯიბოს მშობლების საფლავი. ისიც იქ იქნებოდა.

ახლადმომრგვალებული ბორცვის გვერდით ჩამოვჯექი, ბოტასები ბორცვზე დავაწყვე და ტირილი წამსკდა.

ვინ იცის, როგორ მელოდა. ბოტასებზე უფრო, ცხადია, ჩემი ნახვა უნდოდა, ჩემს მეტი ხომ არავინ ჰყავდა... ბოტასები მიზეზი იყო, რომ კიდევ ერთხელ ჩავსულიყავი და ვენახე... ვიცოდი, გული საშინლად ვატკინე, ერთგულება ვერ

მხატვარი სოფიო ჭელიძე

შევძელი... მივივიწყე...

დიდხანს ვიჯექი სინანულით შეპყრობილი და გულში ათას დაპირებას ვაძლევდი. ვპირდებოდი, რომ აღარასდროს ვიქნებოდი გულცივი, უყურადღებო, გვერდს არ ავუქცევდი ადამიანებს... მაგრამ ვიცოდი, რომ არც ცოცხალს და არც მიცვალებულ ჯიბოს ჩემი აღარ სჯეროდა.

,,აღარ დაბრუნდები?“ – მკითხა, როცა ქალაქში დავაპირე წასვლა.

,,დავბრუნდები“ – ვუპასუხე და აღარ დავუბრუნდი სოფელს.

გამოფენა უნდა მოგიწყო-მეთქი, ვეუბნებოდი და არაფერი გამიკეთებია.

ბოტასებს ჩამოგიტან-მეთქი და... დამაგვიანდა.

აბა როგორღა დამიჯერებდა ახლა?

– წადი, აღარ გაგაჩერებ... ეგეც ვიცი, ველარ გნახავ, მაგრამ უგულოდ ნუ იცხოვრებ, გთხოვ... – მახსენდებოდა მისი ნათქვამი და გულამოსკვნით ვტიროდი. ვტიროდი ჯიბოსაც და ჩემს თავსაც...

მანქანაში ჩავჯექი და უკანასკნელად გავხედე საფლავს. ჩამავალი მზის შუქზე თეთრად ქათქათებდა ბორცვზე წამოსკუპებული ჯიბოს ბოტასები...

ვაჟა
გიგაური

შენ, სილამაზით, ღვთაებას ჰგავხარ
ჩემი ოცნების ბეთლემად იქეც,
შენ ნაკადულის მშვენებად მყავხარ,
მე, სიყვარულის ჩანჩქერად ვიქეც.
შენ, მზე ხარ – ჩემი, ჩემი ხატება,
მუდამ თანა მდევს შენი სახება,
შენ, ღვთაება ხარ, – ჩემი სულისა...
და... ნაკადული – სიყვარულისა...

ვ. გიგაური

* * *

არწივი დაბუდებულა
აწყურის ციხის თავზედა,
პირჯვარი დაუწერია
თეთრი გიორგის ხატზედა.
თავსა გრძნობს მივიწყებულად,
ყველა გამდგარა განზედა,
ცხვარ-ძროხა უმრავლებია
მამა-პაპათა კვალზედა.
შვილებზე მონატრებულსა
თვალები რჩება გზაზედა,
შვილიშვილები რეკავენ
ღულუნა მტრედის ხმაზედა.
ლექსების წერა დაიწყო
სიყვარულზე და ქალზედა,
ოდესღაც სიბრძნით ქებული
მოწყენილია ძალზედა.

ლიას!..

კრწანისში გნახე პირველად,
ჯერ გასაფურჩნი იაო,
ლამაზი იის მნახველი –
მოხიბლულ ვიყავ ლიაო.
მიჯნური გავხდი ყმაწვილი, –
გვერდს მიმშვენებდი იაო,
ვერ გაგიბედე სათქმელი,
შენ, რომ მიყვარდი, ლიაო.
შორიდან გეფერებოდი,
ხელში გამიქრა იაო,
ყურებში ექოდ ჩამესმა:
„მოუტაცნიათ ლიაო“.
კვლავაც, დაგეძებ კრწანისში,
ვერსად, ვერ გნახე – იაო,
დღესაც, გულწრფელად, მიყვარხარ,
შენ, – ტყუპისცალო, ლიაო...!

მერის

შენ, სილამაზით, ღვთაებას ჰგავხარ
ჩემი ოცნების ბეთლემად იქეც,
შენ ნაკადულის მშვენებად მყავხარ,
მე, სიყვარულის ჩანჩქერად ვიქეც.
შენ, მზე ხარ – ჩემი, ჩემი ხატება,
მუდამ თანა მდევს შენი სახება,
შენ, ღვთაება ხარ, – ჩემი სულისა...
და... ნაკადული – სიყვარულისა...
და... სიყვარულით, დაქვრივებული,
მარტოსულ ირემ ქორბუდას ვგავარ,
მე, შენს სიყვარულს მოწყურებული,
შენს ნაკადულთან მწყურვალი ვდგავარ.
შენა ხარ – ჩემი ჯილდოც, – სასჯელიც,
შენა ხარ – ჩემი ტრფობის ფერია,
მე, შენს გარეშე, კარგს არას ველი,
უშენოდ, ყოფნა, ჩემთვის ძნელია...
მოგიტაცებდი, მთას წაგიყვანდი,
ჯვრის წერის ლოცვას იტყოდა ხუცი,
აღარ გიყვარვარ, განა არ ვიცი..?!
თუმც, შენს სიყვარულს, მე, მაინც ვუცდი...

გიგის...

(ჩემს შვილიშვილს)

ანგელოზად მოფრენილო,
თვალებს როგორ ათამაშებ,
ღიმილიან სახეზე, რომ
ღვთის ნათელი დაგთამაშებს.
მეცხრე ცამდე, ამაღლებულს,
დევის ღონე მემატება,
შენ, ხომ, მამის ბავშვობა ხარ,

ვაჟა გიგაური

თამუნას

(ჩემს რძალს)

მადლობა, შვილო, თამუნა,
შვილიშვილ რო მყავს – გიგია,
გალაღებული დავდივარ,
როგორც – ხოგაის მინდია...

გლოვა

ჩემი მეუღლის – დოდო ონიკაძის ხსოვნას

შავი ღრუბლები შაყრილან, –
ელიას გორის თავზედა,
დიდი ელია კითხულობს,
რა ხდება ვაჟას თავზედა.
აღარ ჰყავს დიაც ლამაზი, –
ვარსკვლავი მოსწყდა ცაზედა,
სიკვდილმა ცოლი მოსტაცა,
ვეღარ დაიწვენს მკლავზედა.
გლოვაა დოდოს ოჯახში, –
რიგი დგას სახლის კარზედა,
ძმას, დედას, შვილებს, ახლობლებს,
ღვარად სდით ცრემლი თვალზედა.
უნივერსტეტის ტაძართან
ელვამ იჭექა ცაზედა,
დიდი-პატარა მოსთქვამდა, –
მეხი დაგვეცა თავზედა.
დამწუხრებულა თელავი,
შავებს იზომავს ტანზედა,
ვერავის ნახავ მომღიმარს, –
ყველას ცრემლი აქვს თვალზედა.
მრევლი-წმინდანი შეყრილან,
თეთრი გიორგის კარზედა,
მარიამ ღვთისა – მშობელი
ზის პანთეონის ტახტზედა.
წმინდა გიორგი ბრაზობდა, –
სიკვდილ მოგვიხტა კარზედა,
მოგვტაცა რძალი, – ლამაზი,
შუქნ დაგვიბნელა ცაზედა.
კოპალამ, დევებთ მხოცველმა
ლახტი გადიგდო მხარზედა,
თევდორე, გმირი მხედარი,
გორდას ურტყამდა ფარზედა.
ბოჭორმა, თავის მხედრებით,
იწყებს საომრად მზადებას,
მუხის გიორგი ხევსურებს
უხმობს გუდანის კარზედა.
კვირა-ცხოველი ამშვიდებს, –
მოსულ მრევლს, ხატის კარზედა,
სიკვდილს – სიკვდილით დავთრგუნავთ
მავალნი ქრისტეს გზაზედა.
მწუხარი ანგელოზები
შემოსხდნენ ხატის ჯვარზედა,
სამგზავროდ ემზადებიან, –
სასუფეველის გზაზედა.
გლოვა – დაკრძალვა წარმართეს,
ქრისტიანული წესითა,
ცხედარი აწყურს დაკრძალეს, –
გიგაურების გვერდითა.
ანგელოზების ფრთების ქვეშ
სულმა ორმოც დღეს იფრინა,
განვლო ოცამდე საზვერე
ცის სასუფეველს მიფრინდა.
სიძე, მამა და ბებია
ლოცვა – გალობით შემოხვდა,
დოდუნა, გახარებული,
ცერზედ, ხევსურულს ცეკვავდა.
დაუხვდა მაზლების გუნდი:
ნოდარ, რევი და ზურიკო,
სიხარულს ვეღარ მალავენ
კოკოჭინა და თინიკო.
ზეიმობს გიგას ოჯახი, –
რძალს ეგებება კარზედა,
ალერსით დააბრძანებენ
სასუფეველის სკამზედა.
არწივი, ფრთებდალეწილი,
ზის, – სასაფლაოს თავზედა,
ბედნიერებით მოლაღე,
ვერაა ძველსა ჯანზედა.
ღვთის მოშიში და მორწმუნე
ცოცხლობს იმედით ხვალისა,
„ნურცა გენახოთ არწივი, –
შნო აღარ ჰქონდეს ომისა“...
უკვდავი სული დოდოსი
ზეციდან უცქერს შვილებსა,
ღვთის პირით ლოცვებს უგზავნის
პატარა სიხარულებსა!..

ნუნუ ძამუკაშვილი

ეს ეს ეს ეს ეს ეს ეს ეს ეს ეს ეს ეს

ეს, რამდენი ყვავილია,
ლამაზი და დაუთვლელი;
ალიონზე გაიღვიძეს
და მზეს ჩამოართვეს ხელი.
მზემ ამბორი ნაზად უძღვნათ
გაუბრწყინდა ყველას სახე;
და... ნანატრი – სიყვარული
გულში, ჩუმად, შეინახეს.

ნ. ძამუკაშვილი

საქართველოს

ჩვენი ქვეყნის სილამაზევ,
დახატულო მთა და ბარო,
გვიყვარხარ და გეფერებით, –
შენით ვცოცხლობთ, შენით ვხარობთ.
გაბრწყინდი და გაიხარე,
აციმციმე ცისარტყელა,
სულ მშვიდი ცა დაგნათოდეს,
მზეგრძელობდეს ქვეყნად ყველა.
სანეტარო საქართველო
ოქროს ცვარით ნაბანია;
ჩვენ, მომავალს მისი მოვლა, –
სიყვარული გვაბარია.

ნაკადული

განა მართლა სძინებია ნაკადულს?
ერთი პირი ჩასთვლემია მხოლოდ...
უჩემობა ვაი, ხომ, არ იდარდეთ?
წყალი, ხომ, არ გწყურიათო, – ღონობს.
პირველ სტუმრებს, – ჩიტებს შეხვდა ხალისით,
დაუსველა ჭრელა-ჭრელა ფრთები,
მოუსინჯა, ყველას, ხმები, – სამღერი,
წახვალთ ახლა, მთა-ბარს მოედებით.
ნაირ-ნაირ პეპლებს ეთამაშება,
ხან, კი ჩივის... და მზის სხივებს ნატრობს;
მართალია, დამდურება არ ვიცი,
გევედრებით, ნუ დამტოვებთ მარტო.
ეფერება იებსა და ენძელებს,
სიყვარულით, თან, გარშემო უვლის,
ჩამორბენილ ნიავს ბარად მისდევს და
გავსებია გული-გაზაფხულით...

თელავი და თელა

თედო პაპამ ასე უთხრა –
თემურის და ელას:
– თელები როგორ ამშვენებს
ჩვენ საყვარელ თელავს.
ჩვენც, რომ დაგვერგა, თელები
არ იქნება ურიგო,
მეზობლებიც გვიშველიან:
ნიკა, ლიკა, ზურიკო.
– რა კარგია, რა კარგია! —
შემოსძახეს, – ერთად...
დავრგათ: ცაცხვი, წიფელი და...
უამრავი თელა...
ნარგავები მოუტანა
ბავშვებს – თედო პაპამ;
ერთად დარგეს ნარგავები
ჰგავს თელავი, – ზღაპარს.

პეპელა

გამოფარფატდა პეპელა, –
ლამაზი, ჭრელი ფრთიანი;
ნიავმა თქვა: რომ პეპელა
არ არის დიდი დღიანი.
სამი დღე ცოცხლობს პეპელა,
საწყალი, მარტო, სამი დღე;
და, გულში ნატრობს, – საფრენად
დარსა და მზიან ამინდებს.
ია მოუხმობს თავისკენ, –
მოგეფეროო, – ლურჯთვალამ,
მე, შენთვის, ჩემო ლამაზო
დღეებსა ვნატრობ – უთვალავს.

რა ამინდია?

ზეცა, ხან, შუბლს შეიკრავს,
ხან, ლამაზად გაშლის,
ხან, – წვიმაა თვალუუჟუნა,
ხან, – მზის სხივი, მაშინ.
ფრინველები, თუ, ზეცაში
ნავარდობენ, – მაღლა,
მზე გამოვა, მზე, – ცხრათვალა, –
არ ეტყობათ დაღლა.
ხან კი, დაბლა, სერავენ ცას,
სულ, მიწასთან, – ახლოს...

ნუნუ ძამუკაშვილი

შემოდგომა

შემოდგომის სურნელია,
შარბათის და მაჭრის,
მეზვრე პაპა ვენახშია, –
ჩხებს აკიდოს აჭრის.
ბაღში კი, დიდი გოგრა
დაგოგმანებს გულით,
ეფერება საზამთროებს,
ნესვებს, – სიყვარულით.
ბექა რაშით შემოივლის
და უსწორებს აღვირ ს,
საამო სანახავია –
დახუნძლული ბაღი.

ზამთრის პირი

ჯერ, მთლიანად, არ გასულა
შემოდგომა, – ნოემბერი;
ზამთარს გული აღარ უთმენს, –
თავის თარზე, უკვე, მღერის.
ააცეკვა ფანტელები,
შუბლი შეკრა შემოდგომამ,
– ხვავ-ბარაქით მოვედიო
და... ზამთრამდე მსურსო დგომა.
რადგან, მალე, დეკემბერიც –
გახსნის თავის ბროლის კარებს,
ნუ დაღონდი, შემოდგომავ,
წყენას გულს ნუ მიიკარებ...
მადლობა თქვეს პატარებმა,
თქვეს: ყველაფერს კარგად ვხედავთ;
შემოდგომავ, შენი მოსვლით,
სიუხვე რომ დაგვებედა.

ახალი წელი

თოვლის პაპას დათოვლია მხრები,
საჩუქრებით აქვს ხურჯინი სავსე;
მივეგებოთ, მოგვილოცოს წელი, –
ფეხბედნიერ მეკვლეს ვნახავთ, წამსვე.

მოგვილოცეს წელი, სულ, ახალი,
მოგვილოცეს წელიწადი უხვი;
ფანტელებით ზეცა თავს დაგვხარის, –
ჩვენ ახალ წელს დღესასწაულს ვუხდით.

იმედი და რწმენა მოგვცეს ღმერთმა
და სიკეთე, – დიდ-პატარას, ყველას,
ნაძვის ხესთან მოვილხინეთ ერთად:
ნინიმ, ნიკამ, ზურიკომ და ლელამ.

თოვლის პაპამ გვიძღვნა საჩუქრები, –
ზოგს – ყურცქვიტა, ზოგს – დათუნა დრუნჩა...
ჩვენს ნაძვის ხეს ყველა შეხვდა ქებით, –
ამ, ახალ, წელს კარგი პირი უჩანს.

წვიმების კრიალოსნები
მალე, უნდა ვნახოთ.
რა კარგია, ილიმიან:
დათუნა და ხათო,
ამინდის გამომცნობელი
ჩიტუნებიც ხართო.

დამეგობრდნენ

ლეკვები და კნუტები
დამეგობრდნენ გუშინ;
რატომ გვქონდა, აქამდე, –
ერთი ვაი-ვუში.
ახლა, უკვე ერთმანეთს
სულსა და გულს ვუშლით...
მეგობრობა სჯობია, –
ასე ვფიქრობთ გულში.

ყვავილი „პატარაძალა"

ლამაზია „პატარაძალა"
ხან, ნიავი, ხან, მზე ძალავს,
ხან, მოიწყენს, ხან, მოილხენს,
მისთვისა აქვს – ნაზი ძალა.
სულ, თვალებში შევყურებთ და...
ლამაზი აქვს: დგომა, ტანი,
მზეც მიყვარს და სიოც, წყალიც, –
არ მიყვარსო, – ნამეტანი!

ნიჭიერი გოგონა

ლექსის წერა დაიწყო
ლელა გოგომ, – ამ დილით...
ლამის, რომ გაუცივდეს:
საუზმეც და სადილიც,
ლექსებს უძღვნის – სამშობლოს,
მის მშვენიერ ბუნებას;
რაც დაწერა, – ლექსებზე, –
ახლა, ხატვა უნდება.
ლექსებიც, ნახატებიც
ყველას მოსწონებია,
ნიჭიერი გოგო გვყავს, –
გულით ლოცავს, ბებია.

შემოდგომა მიინურა

შემოდგომა უკვე მიდის
მოიხადა თავის ვალი;
რა ყურძენი მოიწია
ატამი, თუ, ვაშლი, მსხალი.
მშობლებსა და ბებო-პაპას
ჩვენც ვშველოდით პატარები,
პაპამ ასე გვითხრა ბავშვებს
ჩვენ გულში ხართ სატარები.

როინ ჭიკაძე

ამრიგად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ელეგია“ ლირიკული ინტიმით, სახისმეტყველებითა და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ატრიბუტიკით თანაზიარია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სამყაროსი. ამ ერთი ლექსითაც კი კანთიელად გასაგნაურდა გალაკტიონის სულიერი და შემოქმედებითი ნათესაობა ბარათაშვილის ლირიკასთან.

რ. ჭიკაძე

მარტოსულნი

(ბარათაშვილი და გალაკტიონი; გოდერძი ჩოხელი)

„ნუ დამტოვებ მარტო“ – უთხრა ჩემმა სულმა ჩემს სულს“ — (პოლ ვალერი, 1993, 150) – ფრანგი პოეტის, ესეისტისა და ფილოსოფოსის პოლ ვალერის (1871-1945 წ.წ.) ეს სულისშემძვრელი ღაღადისი სავსებით მიესადაგება ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისეულსა და პოეტურ მარტოსულობას, რაც კიდევ უფრო ხელშესახები გახდება, თუ ამ ფრაზას პერიფრაზულად გარდავთქვამთ: „ნუ დამტოვებ მარტო“ – უთხრა გალაკტიონის სულმა ბარათაშვილის სულს... და აკი არც დაუტოვებია! ანდა მარტოსულობისათვის როგორ გაწირავდა გალაკტიონს თავადაც სულით ობოლი ტატო, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა, თუ რაოდენ „ძნელი არის მარტოობა სულისა“ („სული ობოლი“).

„ნ. ბარათაშვილის ლირიკის სიტყვიერებიდან და პოეტური სინტაქსიდან ცხადად გამოსჭვივის ბედის უკუღმართობასთან შეჭიდებული პოეტის „სულით ობლობაცა“ და იმავდროულად ბედთან შეურიგებლობაც“ (რ. ჭიკაძე, 2011, გვ., 46.); და გალაკტიონმაც სწორედ ბარათაშვილში ჰპოვა მარტოსულობის თანაზიარი პოეტი, რაც შესანიშნავად ჩანს როგორც მთელი მისი პოეტური სამყაროდან, არამედ ჭაბუკობისდროინდელი მისი ლექსიდან „ელეგია“ (1914 წ.); ამ ერთი ლექსითაც კი ცხადად იგრძნობა გალაკტიონ ტაბიძის სულიერი ნათესაობა თუ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სიახლოვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ისეთ პოეტურ შედევრებთან, როგორიცაა: „სული ობოლი“, „სულო ბოროტო“, „მერანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ხმა იდუმალი“... ორივე მარტოსული პოეტი არა მხოლოდ სიტყვიერებით, განწყობითა და აზრთა მდინარებით, არამედ ზოგჯერ ლექსწყობითაც კი თანაზიარნი არიან:

ბარათაშვილი:

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო
ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის
შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე
სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ
ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?“
(„სულო ბოროტო“).

გალაკტიონი:
„რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა,
ჩემი სიზმარი!
დროო წყეულო, სად წარიღე
ჩემი ფიქრები!
დროო ბოროტო, სად დამარხე
ოცნება წყნარი?
მარქვი, ოჰ, გველო, რად დაგჭირდა,
რომ მოგეწამლა
ყვავილოვანი სიყმაწვილე
და ჩემი ქნარი?“
(„ელეგია“).

ბარათაშვილისათვის „ძნელი არის მარტოობა სულისა“ და მაინც „მას ელტვიან სიამენი სოფლისა“ („სული ობოლი“); გალაკტიონსაც დაემსხვრა „სიყმაწვილის წრფელი სიამე“: ოჰ, რად მომექცა ასე უღვთოდ მე ჩემი ბედი, რად დამიმსხვრია სიყმაწვილის წრფელი სიამე („ელეგია“).

ბარათაშვილი დაღონებული დგას მტკვრის პირას და მისი „თვალნი რბიან შორად, შორად ცის დასავალსა“ („ფიქრნი მტკვრის პირას“), ასევე გალაკტიონიც „დაღონებული გასცქერს ცის დასავალსა.“ თუ ბარათაშვილმა მერანს მიანდო ფიქრი მისი შავად მღელვარი, გალაკ-

ტიონმა წყეულ დროს შემოუძახა: „დროო წყეულო, სად წარიღე ჩემი ფიქრები?!“

ბარათაშვილიცა და გალაკტიონიც პასუხს სთხოვენ სასტიკი ბედის შემოქმედთ:

ბარათაშვილი:
„სულო აღმშფოთო, მიპასუხე,
ნუ იმალები.“
(„სულო ბოროტო“)

როინ ჭიკაძე

გალაკტიონი:
„ზეცავ სასტიკო, მიპასუხე,
მითხარი რამე!“
(„ელეგია“).

ორივე ბედგამწყრალი პოეტი გულმტკივნეულობს ნაადრევად გარდასული ყმაწვილობისა და წუთისოფლის ამაოებათა გამო:

ბარათაშვილი:
„რა ვსცან პირველად წუთისოფელი,
დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის“
(„ხმა იდუმალი“).

გალაკტიონი:
„რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის
მზიანი ჩრდილი,
რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა,
ჩემი სიზმარი.“
(„ელეგია“).

ბარათაშვილისა და გალაკტიონის ეს სევდა არ არის ოდენ პიროვნული, გამოწვეული ბედის უკუღმართობით; ესაა სევდა კაცობრიობისა. „გაცვეთილი ფრაზა „მსოფლიო სევდა“ უფრო ღრმა ხასიათისაა, ვიდრე სიტყვიერების ოფიციალური ისტორიკოსები ფიქრობენ: მანფრედისა და ფაუსტის წუხილი, ჰამლეტის ტრაგედია, ბარათაშვილისა და ლეოპარდოს სასოწარკვეთილება კაცობრიობის უკეთილშობილესი და უმშვენიერესი გრძნობის გამოხატულებაა.“ (კ. კაპანელი, 1989, გვ., 150).

ბარათაშვილის გენიის პირველაღმომჩენმა ილია ჭავჭავაძემაც რამდენადმე თავად განიცადა მისი ლირიკული სამყაროს გავლენა; „ფორმალური თვალსაზრისით, ილია განსაკუთრებით ახლოს დგას ბარათაშვილის ინტიმურ ლირიკასთან თავის ადრინდელ ლექსში „მაშინ დავსტკბი სრულის სამოთხით“. აქ თვით პოეტური ლექსიკაც კი აშკარად ბარათაშვილისებურია: „ქალწულობის კრთომით“, „მორცხვობით“, „ლოცვით“, „ლმობით“ და სხვა.“ (გ. ასათიანი, 1983, გვ. 11.) მით უფრო ბუნებრივია ბარათაშვილისა და გალაკტიონის პოეზიის სასიტყვეთის სიახლოვე.

და მაინც, რით მიიზიდა ბარათაშვილმა გალაკტიონი ესოდენ ძალუმად? – რით და: „ბარათაშვილი რომანტიკოსია მთელი თავისი არსებით, რომანტიკოსია არა მხოლოდ გონებითა და გრძნობით, აზროვნებითა და ემოციურობით, არამედ აგრეთვე მათი გარეგანი გამოხატულების საშუალებითაც, ენით: სიტყვიერების მარაგით, მათი შერწყმით, ერთმანეთთან შეხამების ხერხით და, საზოგადოდ, ლექსიკურ-გრამატიკული ტონის მიხედვით.“ (ა. შანიძე, 1939, 160).

ამრიგად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ელეგია“ ლირიკული ინტიმით, სახისმეტყველებითა და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ატრიბუტიკით თანაზიარია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სამყაროსი. ამ ერთი ლექსითაც კი კანთიელად გასაცნაურდა გალაკტიონის სულიერი და შემოქმედებითი ნათესაობა ბარათაშვილის ლირიკასთან.

მარტოობის ტრაგიზმითაა დაღდასმული გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი გზასავალიც. მისთვის „მარტოობა ფიქრის დედაა.“ ამასთანავე, მარტოსული მწერლისათვის მთელი სამყარო, ცა და დედამიწა თუ გუდამაყარი ერთი დიდი წიგნია, დარდია, წუხილია და ტანჯვა... „ნაღვლიანი და სევდიანია კაცთა მოდგმა! სევდიანი და ცოდვიანია სულეთისაკენ მიმავალი მათი გზა“ („გაცოცხლებული მიცვალებული“).

გოდერძი ჩოხელის აზრით, არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ კაცთა მოდგმის უმთავრესი საწუხარი მარტოობაა: „საზარელია სიმარტოვის ჟამს საიდანღაც მონაქროლის ამაოების ქარი“ („სიყვარულის ცეცხლი“). ეს „ამაოების ქარი“ ქრის მარტოსული მწერლის ნააზრევში, რომელიც სავსებით მიესადაგება მეოცე საუკუნის ქართველი ფილოსოფოსის კონსტანტინე კაპანელის მსოფლმხედველობას: „ქარი ქრის, წყალი მიდის, ბრუნავს უაზროდ წუთისოფელი. ეგრე იყო, ეგრე იქნება, მაგრამ რაც იყო, აღარ არის; რაც არის, აღარ განმეორდება.“ იგი მიმართავს ადამიანს: „გრძნობ თუ არა, ადამიანო, სევდას მარტოობისა და წარმავლობისა?“ და იქვე პასუხობს: „ეგრე იყო, ეგრე იქნება.“ (კ. კაპანელი, „სული და იდეა“, ფილოსოფიური შრომები, თბ. 1989, 173).

სავსებით ანალოგიურია ცხოვრების ამაოებაზე დაფიქრებული შუღლიაანთ საბას „ფილოსოფია“: „– ეგეთია ეს ცხოვრება, მაშ!.. ისე იწყება, შენ არავინ გეკითხება და ისე მთავრდება,

არც მაშინ გეკითხება ვინმე რამეს“ („სულეთის კიდობანი“). მარტოობა საკაცობრიო პრობლემაა: „სევდა შეიპარა კაცობრიობის სულში, სევდა მარტოობისა და რღვევის“ (კ. კაპანელი, „ორგანოტროპიზმი!, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989, 270).

მარტოობის მძლავრი განცდა გასდევს გოდერძი ჩოხელის მთელ შემოქმედებას, სადაც მარტოა ადამიანი და სახლი, მარტოა სოფელ-ქვეყანა, მარტოა მდინარე, მცენარე, ფრინველი, ცხოველი... მოთხრობაში „წერილი ნაძვებს“ არის მცირე მონაკვეთი, რომელსაც ჰქვია „სიმარტოვე“. აქ აღწერილია მიტოვებული სოფელი, სადაც დამფრთხალი სიმარტოვე ნება-ნება მოიპარება და სადაც მამაპაპურ კერას სიმარტოვეში გამომწყვდეული ბებიაღა შემორჩენია.

არანაკლებ გულისმომკვლელია კერაგაციებული სახლი, რომელიც ქმრისაგან მიტოვებულ ქალსა ჰგავს: „თითქოს მღერის მიტოვებული სახლი. არ ემღერება, მაგრამ გულში მაინც მღერის. ეს სიმღერა სიმარტოვის სიმღერაა... მიტოვებული სახლი ხომ ქმრისაგან მიტოვებულ ქალსა ჰგავს, ჩამოღამებულ, ხელ-მხარჩამოყრილ დარდიან ქალს, რომ არ ეკადრებოდა და მაინც მიატოვეს... მიტოვებული სახლის გულისგულიც მღერის მოლოდინის სიმღერას და მიტოვებული ქალისაც“ („დევების ნასოფლარი“).

მარტოობაში გამომწყვდეული „გაგილაი უწილ-უკერძო კაცია, არც ცოლ-შვილი ჰყავს, არც ვინმე ისეთი ნათესავი, რომ მის მარტოობაზე გული შესტკიოდეს. მარტო ცხოვრების უღლის ტარება უჭირს“ („საქორწინო მტრედი“).

საზარელია უპატრონო და მიტოვებული საფლავი, რომელიც „ერთადერთია ამ არემარეში, უპატრონო, მიტოვებული და მიუსაფარი“ („ძვლების სევდა“). აქ უნებურად გვახსენდება ფრანგი პოეტისა და ფილოსოფოსის პოლ ვალერის ნააზრევი: „ნუ დამტოვებ მარტო“, – უთხრა ჩემმა სულმა ჩემ სულს“ (პოლ ვალერი, „სულის კრიზისი“, თბ. 1993, 150.).

განსაკუთრებით შესაბრალისია ჭირში მარტოდ დარჩენილი ადამიანი: დაობლებული თადეოზი „მარტოკა თხრიდა მამის საფლავს... მარტომ მიაყარა მამას მიწა“ („სიკეთის კიდობანი“).

მარტოობა ფიზიკურადაც ანადგურებს ადამიანს; ასეთი ბედი ეწია ბებო სალომეს, რომელიც ახალგაზრდობაში ისეთი მშვენიერი იყო, „როგორც იის ფოთოლზე გამომკრთალი დილის ცვარი“, მაგრამ „თავისი სილამაზე დარდს შეაჭმევინა, სიმარტოვეს გამოახრევინა და ძაძებში ჩაკლა“ („ბებო სალომე“).

ადამიანის მარტოობას მხოლოდ ობლობა, უთვისტომობა, უმეზობლობა თუ უსოფლობა კი არ განაპირობებს, არამედ ადამიანი მარტოა მაშინაც, როცა ხალხით სავსე სოფელ-ქვეყანაში ცხოვრობს, მაგრამ ადამიანების თანადგომას ვერ გრძნობს, გაუცხოებულია; სწორედ ასეთ ადამიანებზე იტყვის გოდერძი ჩოხელი: „ადამიანი ხშირად ხალხშია, მაგრამ მაინც მარტოდ გრძნობს თავს“ („სიკეთის კიდობანი“).

მარტოობის თანმდევია დარდი; შვილმკვდარი მარტია ბუბუნაური მარტოა თავის დარდთან; და როდესაც ეკითხებიან, რა გადარდებსო, ამოიკვნესებს: – „მარტოობა მადარდებს“ („ადამიანთა სევდა“).

და მაინც, გოდერძი ჩოხელის რწმენით ყველაფერი ღვთის ნებაა, ვინაიდან „იყო ნება ღვთისა და არარაისაგან იქმნა რაობა. იყო ნება ღვთისა და რაობა იქცა არარაობად („შემინახე, დედაო, მიწა.“).

ასე რომ, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და გოდერძი ჩოხელი შემოქმედებითი ცხოვრებით მარტოსულნი არიან. ამასთანავე, მათ მხატვრულ ნააზრევში გაცხადდა მარტოსულობის საკაცობრიო სულიერი ტრაგიზმი.

ლიტერატურა

1. გურამ ასათიანი, „თანმდევი სულები“, თბილისი, 1983 წ.
2. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1945 წ.
3. პოლ ვალერი, სულის კრიზისი, თბილისი, 1993 წ.
4. კონსტანტინე კაპანელი, სული და იდეა, ფილოსოფიური შრომები, თბილისი, 1989 წ.
5. გალაკტიონ ტაბიძე, „ელეგია“, თხზულებანი 15 ტომად, ტ. I, 2014 წ.
6. აკაკი შანიძე, ბარათაშვილის ენა, ლექსები, პოემა, წერილები, თბილისი, 1919 წ.
7. გოდერძი ჩოხელი, „ადამიანთა სევდა“, კრებული „წითელი მგელი“, თბ., 2007 წ.
8. გოდერძი ჩოხელი, „სულეთის კიდობანი“, მოთხრობების კრებული, თბ., 2001 წ.
9. როინ ჭიკაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სინტაქსი, „ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა“, თბილისი, 2011 წ.
10. როინ ჭიკაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის ენობრივი ექსპრესია, „ლინგვისტური სჯანი“, თბილისი, 2017 წ.

ციური
ბერიძე

ნიკო სულხანიშვილის გუნდმა გაოცება გამოიწვია ჯერ თავისი უბრალო ჩაცმულობით, ხოლო შემდეგ ოსტატური შესრულებით. ეს იყო ხალხური სიმღერა „მესტვირული" ვაჟა-ფშაველას ლექსზე და სულხანიშვილის „სამშობლო ხევსურისა". დარბაზი ოვაციებით შეხვდა სულხანიშვილის გუნდის ამ შესრულებას. მანამდე ასეთი რამ არასოდეს ღირსებია ქართველ კომპოზიტორს.

ლადო მესხიშვილის საიუბილეო ზეიმს დაემატა ქართული მუსიკის არნახული ზეიმი. საზოგადოებამ იგრძნო დიდი ხელოვნის მოსვლა სამუსიკო შემოქმედებით სარბიელზე. ეს იყო სულხანიშვილის ტრიუმფი.

ს. ბერიძე

მკვლევარი გიორგი ნადირაძე და ნიკო სულხანიშვილი – გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი და ლოტბარი

XIX საუკუნის გამოჩენილი მუსიკოსებისა და შემოქმედების, საზოგადო მოღვაწეების ცხოვრების შესწავლა გახდა ორგანული ნაწილი ამ სტრიქონების ავტორის შემოქმედებით ცხოვრებაში. ამ კვლევებს დიდი სიამოვნებით ვეწევი არქივებში, მუზეუმებში, საქართველოს ეროვნულ და სხვა ბიბლიოთეკებში. დიდი მადლობა მათ ხელშეწყობისთვის და საქმისადმი პროფესიული მიდგომისთვის!

ეს მუშაობა გრძელდება ოჯახებში, რომლებიც, ხილული თუ უხილავი ძაფებით, დაკავშირებულნი არიან შესწავლის ობიექტთან. ასეთი შეხვედრები საინტერესო მასალას მაძლევენ შემდგომი საქმიანობისთვის. მკითხელისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში ჩაღრმავება.

2007 წლის 20 ივლისს საქმიანი ვიზიტით ვესტუმრე ცნობილ ოჯახს. ეს იყო მარინე ნადირაძისა და ტარხუჯ ჯავახიშვილების ოჯახი, რომელსაც შეუძლია იამაყოს თავისი სახელოვანი წინაპრებით და ოჯახური ტრადიციებით.

თითოეულ მათგანზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას და დაიწეროს, მაგრამ ჩემი მიზანი იყო კვლევითი, რომელიც შეეხებოდა XIX საუკუნის ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიის ფურცლებს.

როგორც აღმოჩნდა, მარინე ნადირაძის მშობლები იყვნენ სახელოვანი ადამიანები: მამა – გიორგი ნადირაძე (1902-1960) – ცნობილი ქართველი მეცნიერი, პუბლიცისტი, მთარგმნელი და მწერალი, 4 მონოგრაფიის ავტორი. მან თარგმნა ლესინგის, შილერის, გოეთეს, ლაიზეგიცის ნაწარმოებები, აქვს ნარკვევები რუსულ, ქართულ, დასავლეთევროპულ ლიტერატურაზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე, დრამატურგიაზე; ხოლო დედა – გულნარა ქავთარაძე – თვალსაჩინო ქართველი პიანისტი (მასზე წიგნი გამოიცა 2008 წელს და შვილმა მისახსოვრა).

ეს ორივე პიროვნება იმსახურებს მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას. მაგრამ, ამჯერად, მინდა მკითხველთა ყურადღება გავამახვილო გიორგი ნადირაძის მონოგრაფიაზე „ნიკო სულხანიშვილი" (თბ., 2006, 103 გვ. და ფოტომასალა – 8 გვ.), რომელშიც ნახსენებია ლადო აღნიაშვილი და იოზეფ რატილი (ფოტოების თანდართვით).

გიორგი ნადირაძის ამ წიგნში მოცემულია საინტერესო კვლევითი მასალა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორისა და ლოტბარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

როგორც წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს მუსიკისმცოდნე მანანა ახმეტელი, ეს მონოგრაფია მაშინ იწერებოდა, როცა ქართული მუსიკისმცოდნეობა თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა, როცა ჩვენში ამ სახის ლიტერატურა, კერძოდ, ბიოგრაფიული რომანი, თითქმის არ არსებობდა, როცა ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ ნ. სულხანიშვილის თანამედროვეები, მასთან ახლოს მდგომი ადამიანები, რომელთა საშუალებით გ. ნადირაძემ აღადგინა და თავის ნაშრომში აღბეჭდა ამ დიდი კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მრავალი ფაქტი, მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ გზით გ. ნადირაძემ შეკრიბა და გამოამზეურა ძვირფასი მასალა, რომელიც ნათელს ჰფენს არა მარტო ნ. სულხანიშვილის პიროვნებასა და მის ბიოგრაფიას, არამედ, ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიის ფრიად მნიშვნელოვან პერიოდს და იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს.

გიორგი ნადირაძის მონოგრაფია „ნიკო სულხანიშვილი" პირველად 1937 წელს გამოიცა და მაშინვე მკითხველი საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია. ამ თარიღიდან 85 წლის შემდეგ გამოიცა მეორედ, 2006 წელს.

პროფესორი ლადო დონაძე წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ნიკო სულხანიშვილზე თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. სწორად ამ კვლევის მასალა შევიდა 1990 წელს თბილისში გამოცემული

ნიკო სულხანიშვილი

„ქართული მუსიკის ისტორიაში“ (გვ. 243-264).

მკლევარი გიორგი ნადირაძე დიდი მოწიწებით და პატივისცემით, ემოციურად აღწერს ნიკო სულხანიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომელმაც სულ 48 წელი იცოცხლა და ვერ მოასწრო მთელი შემოქმედებითი ძალების პოტენციალის გამომჟღავნება. ამას ზედ დაერთო მეორე ტრაგედია: სიკვდილის დღეს კომპოზიტორი გაქურდეს და უკვალოდ გადამალეს მისი ნაწერები და მდიდარი საარქივო მასალა.

„მაგრამ მიუხედავად ამისა, ნიკო სულხანიშვილი მაინც შედის საქართველოს მუსიკალური კულტურის ისტორიაში და იქ საპატიო ადგილს იკავებს“ – აღნიშნავს წიგნის ავტორი, რომელიც, ძირითადად, ეყრდნობა ნაცნობების ზეპირ მოგონებებს და აღნიშნავს „ამ მოგონებათა მეტი სხვა არაფერი მქონია. ამიტომაც კომპოზიტორის ცხოვრების აღწერილობამ ფრაგმენტული ხასიათი მიიღო“ (გვ. 5).

მკითხველი ვერ ჰპოვებს აქ ნიკო სულხანიშვილის შემოქმედების პროფესიულ განხილვას. ასეთი მიზანი ავტორს არც დაუსახავს.

გიორგი ნადირაძე იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში ეს ხარვეზი აუცილებლად გამოსწორდება; გამოჩნდება მკვლევარი, ვინც შემდგომში ძირფესვიანად შეისწავლის და წარმოაჩენს ნიკო სულხანიშვილის ღვაწლს ქართველი ერის წინაშე.

ახლა კი ფრაგმენტულად მიმოვიხილოთ ზემოაღნიშნულ მონოგრაფიაში განხილული მასალები.

ნიკო სულხანიშვილი (1871-1919) – გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, ქართული ხალხური სიმღერების შემგროვებელი და ლოტბარი, დაიბადა კახეთში, სოფელ აწყურში. ის მეთერთმეტე შვილი იყო.

ნიკოს მამა – პაატა – ღარიბი და მშრომელი აზნაური იყო, მას ყველაფერი ეხერხებოდა და შვილებსაც აჩვევდა შრომას. ბავშვობიდან გამოამჟღავნა ნიკომ მუსიკალური ნიჭი.

ოჯახში თაობიდან თაობაზე გადადიოდა ხალხური სიმღერების შესწავლა ზეპირად. პაატა სულხანიშვილის ოჯახში ყველა მღეროდა. მთელი კახეთი იცნობდა პაატას, როგორც საუკეთესო მომღერალს და მომლხენს. ასეთივე ნიჭით იყო დაჯილდოებული მისი ცოლი – ნინო მაჭავარიანიც. ნიკოს უმცროსი და – ბარბარე იგონებდა, რომ დედას ძალიან ტკბილი დაბალი ხმა, კონტრალტო ჰქონდა. საღამოობით მთელი ოჯახი მართავდა საოჯახო კონცერტებს.

ნიკოს მუსიკალურ ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მისმა მაღალმა პოეტურმა სულმა, ქართული მუსიკალური შემოქმედებისადმი მისწრაფებამ, კახეთის, კავკასიონის მშვენიერმა ხედებმა, სადაც ის იზრდებოდა და კახურმა ჰანგებმა, რომლებიც ისე უყვარს ყველა ქართველს, როგორც კარგად დაყენებული ღვინო. აქ ყოველმა გლეხმა იცის შრომის, სალხინო, ვაჟკაცური და გმირული ჰანგები, სატრფიალო შაირები.

კახურ სუფრაზე ურიცხვი სადღეგრძელო ითქმის. ყოველ სადღეგრძელოს კი თავისი სიმღერა ამშვენებს. ასეთ გარემოში იზრდებოდა ნიკო სულხანიშვილი.

ვისაც არ უნახავს კახური ნადიმი, ის სანახევროდაც ვერ იგრძნობს აქაური სიმღერების მშვენებას!

სულხანიშვილების ოჯახში ორმოცამდე მრავალჟამიერი იცოდნენ. თითოეული მათგანი თავის ადგილას უნდა თქმულიყო. ნიკოს მამას – პაატას იმ დროს მხარში ედგნენ სახელგანთქმული კახელი მომღერლები: შაქრო ჩოლოყაშვილი, გიგლო ყარაშვილი, სოსიკო კოზმანიშვილი და მიხა მეღვინეთუხუცესი, რომელიც კოჭლი მიხას სახელით იყო ცნობილი, მაგრამ მას ათი კაცის ხმის ბანი ჰქონდა. ამ ცნობილ მომღერლებს ნიკოს მამა – პაატა რეგენტობდა.

კახეთში ტრადიციულად ორი დიდი დღეობა იცოდნენ: ალავერდობა და თეთრი გიორგის დღესასწაული სოფელ აწყურში. ამ დღეობებს კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს იყო სახალხო დღესასწაულები გრანდიოზული შეჯიბრებებით, ხალხის ნიჭისა და ოსტატობის ჩვენებით.

ნიკოს ყველაზე მეტად უყვარდა დიდი დღეობები, როცა ბევრი ხალხი იყრიდა თავს მეგობრულ გარემოში.

ბავშვობაში განცდილი შთაბეჭდილებები უყალიბებდა ნიკოს სულიერ მოთხოვნებს.

დამთავრდა ნიკოს უზრუნველი ბავშვობის წლები, როდესაც 7 წელი შეუსრულდა, მამამ თელავში წაიყვანა თავის სიძესთან, ილია ზარაფიშვილთან,

რომელიც თავისი დროის დიდად განათლებული, ნაკითხი პიროვნება იყო, წერდა კიდეც „ნადიკვრელის“ ფსევდონიმით. ნადიკვარი თელავის მშვენიერ გორაკს ჰქვია, აქედან შესანიშნავი ხედი იშლება ალაზნის ველსა და კავკასიონის ქედისაკენ.

ილია ზარაფიშვილის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ მოწინავე ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ანტონ ფურცელაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი, დიმიტრი მაჩხანელი, იოსებ დავითაშვილი და სხვანი. აქ იყო ნამდვილი სალონი, სადაც მსჯელობდნენ საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

ილია ზარაფიშვილს უწოდებდნენ „ცოცხალ ენციკლოპედიას“ ისტორიის, ეთნოგრაფიისა და გლეხის ყოფა-ცხოვრების საკითხებში.

ნიკოს მამამ თავისი შვილი აღსაზრდელად ილია ზარაფიშვილთან დააბინავა, რომელმაც ის 1878 წელს თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. აქ მას გალობას ასწავლიდნენ ცნობილი ლოტბარები: დ. ელიოზიშვილი და შემდეგ ზაქარია ჩხიკვაძე. მეორე წლიდან ნიკო საეკლესიო გუნდში ჩაირიცხა. აქ მან გამოიჩინა მუსიკალური იმპროვიზაციის დიდი ნიჭი სიმღერაში, მას წკრიალა ხმა ჰქონდა.

1884 წელს ნიკო სულხანიშვილმა სწავლა გაგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1885 წელს, როცა შეიქმნა ლადო აღნიაშვილის პირველი ქართული ეთნოგრაფიული გუნდი, რომელმაც პირველად შეასრულა სცენიდან ქართული ხალხური სიმღერები 1886 წლის 15 ნოემბერს, ნიკო სულხანიშვილი დიდი ინტერესით ესწრებოდა ამ გუნდის რეპეტიციებს, აღტაცებული იყო ამ ახალი საქმის ინიციატორთა თამამი იდეით.

15 წლის სულხანიშვილმა დაიწყო სიმღერების წერა. მათ შორის დიმიტრი მაჩხაანელის ლექსზე „ჩემს საყვარელ სამშობლოს“ (კრებულიდან „სიყვარულის კონა“, ტფ., 1881, გვ.17-18).

ჭაბუკობის ასაკში გაიტაცა პოეზიამ, ძველი ჟურნალ-გაზეთების კითხვამ, სადაც აღმოაჩინა ნაწყვეტი ბაირონის პოემიდან „ჩაილდ ჰაროლდი“, იოსებ ბაქრაძის თარგმანით. ნიკომ სცადა ამ ლექსზე მუსიკის დაწერა და ეს სიმღერა შეასწავლა ბავშვების ტრიოს, რომელმაც ის შეასრულა ცნობილი მწერლის – ბარბარე ჯორჯაძის წინაშე. ამ შესრულებამ პოეტი ქალი აატირა.

იმ პერიოდში, როცა ნიკო სულხანიშვილი ტფილისში ცხოვრობდა, ვოკალური მუსიკის კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. ქართველები გატაცებულნი იყვნენ იტალიური ოპერით, ტფილისში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ისეთი სახელგანთქმული ვოკალისტები, როგორებიც იყვნენ: უსატოვი, კომისარჟევსკი, რიადნოვი, ლედსი და სხვა.

ნიკო სულხანიშვილი მოწაფედ აიყვანა უსატოვმა, რომელსაც მოეწონა მისი ხმა. ამასთან გაიცნო ნიკო სულხანიშვილმა ფიოდორ შალიაპინი და დაუმეგობრდა მას.

მაგრამ უსატოვთან მეცადინეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ნიკო სულხანიშვილი დაბრუნდა თელავში, დაინიშნა თელავის სასულიერო სასწავლებელში – ზაქარია ჩხიკვაძის ადგილზე, რომელიც თბილისში გადავიდა. აქ მას რუსული საეკლესიო გუნდის ხელმძღვანელობა დააკისრეს. ნიკო შესანიშნავად იცნობდა სლავურ გალობას და თავის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ მაინც შექმნა ქართული გალობის მოყვარულთა გუნდი.

ათიოდე წელიწადი გაგრძელდა ნიკოს სამსახური თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამ პერიოდში ის ბევრს ფიქრობდა ახალ მუსიკალური ფორმებზე, რომლებიც ორგანულად უნდა ამოზრდილიყო ხალხური სიმღერის ნიადაგზე. ამისთვის კი გადაწყვიტა ამ ნიადაგის ძირფესვიანად შესწავლა მისი დაფარული საუნჯეების გამოსარკვევად, მისი განვითარებისა და დახვეწის შესაძლებლობათა მისაგნებად.

პირველი პერიოდის საუკეთესო ნიმუშია სიმღერა: „ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად“, რომელსაც ნიკო სულხანიშვილი თავის პირველ ნაწარმოებად თვლიდა. ამ სიმღერის სიტყვები ეკუთვნის დიმიტრი მაჩხანელს. ეს ლექსი დაიბეჭდა ზემოთაღნიშნულ კრებულში „სიყვარულის კონა“, მისი სათაურია „ვედრება“ და ძალიან ჰგავს ი. ჭავჭავაძის ლექსს „გახსოვს, ტურფავ?“ (1860).

1901 წელს ნიკო სულხანიშვილმა გაიცნო დიმიტრი არაყიშვილი, რომელიც კახეთში ჩავიდა ფონოგრამით კახური სიმღერების ჩასაწერად და მოუხდა დარჩენა ილია ზარაფიშვილთან, ვისთანაც თელავში ცხოვრობდა ნიკო სულხანიშვილი. დ. არაყიშვილის მასთან ურთიერთობის მოგონებები გამოქვეყნებულია.

1912 წლის ივლისში ნიკო სულხანიშვილმა შემოიარა ქიზიყი და ძვირფასი მუსიკალური მასალა შეაგროვა ქვემო და ზემო მაჩხაანში, არბოშიკში, ხირსაზე, ტიბაანში, ჯუგაანში.

„სახალხო გაზეთის“ კორესპონდენტი დაწვრილებით აღწერს კომპოზიტორის მუშაობას ამ სოფლებში (1912, 668).

1913 წელი ყველაზე ნაყოფიერი იყო ნიკო სულხანიშვილისათვის, როგორც შემოქმედების, ასევე საკონცერტო გამოსვლების მხრივ.

ქართველ მწერლებთან ნიკო სულხანიშვილს მუდამ გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა. ეს იგრძნობა მათ მოგონებებში (შიო მღვიმელი, ი. გრიშაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, აბაშელი, ს. შანშიაშვილი, გ. ქუჩიშვილი). სანდრო შანშიაშვილმა თავისი ერთ-ერთი პირველი ლექსი „კახეთი“ სულხანიშვილს მიუძღვნა.

1913 წლის 30 მარტს ქართული თეატრის დარბაზში გაიმართა პოეტ ალექსანდრე აბაშელის საღამო, სადაც ნიკო სულხანიშვილის გუნდმა შეასრულა 2 ახალი სიმღერა: „მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ“ და „მო, ფანდურო, შემოგჩივლო...“

1913 წლის 2 ივნისს გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი სულხანიშვილის სასარგებლოდ. ეს იყო სულხანიშვილის ერთადერთი კონცერტი, რომელიც მის სიცოცხლეში მოეწყო. საინტერესოა ამ კონცერტის პროგრამა:

1. ლექცია: „ქართული ლიტერატურა XIX საუკუნეში" – მომხსენებელი – ბ-ნი მ. წულუკიძე

2. გუნდი „გუთნის დედა" (ლექსი ი. ჭავჭავაძისა. მუსიკა ნ. სულხანიშვილის).

შემდეგ წაიკითხეს ლექსები ი. გრიშაშვილმა, ა. აბაშელმა, ი. ევდოშვილმა, კ. მაყაშვილმა.

შესრულდა სულხანიშვილის მუსიკალური ნაწარმოებები: სიმღერები „მაშ გამარჯვება", „სამშობლო ხევსურისა", გუნდის შესრულებით, ნაწყვეტი სულხანიშვილის ოპერიდან „ორი ძალა" („ეს ქვეყანა"), სულხანიშვილის ორატორია აკაკის ლექსზე.

კონცერტის მთელი შემოსავალი გადაეცა ნ. სულხანიშვილს. ამ კონცერტის გამო „სახალხო გაზეთში" (1913, №911) დაიბეჭდა ინტერვიუ კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილთან, სადაც აღნიშნულია, რომ ბ-ნ სულხანიშვილს საზოგადოება დიდად უნდა აფასებდეს. საჭიროა მისი ნაწარმოებები დაიბეჭდოს და გამოიცეს. „ვალდებულები ვართ, შესაფერისად დავაფასოთ მისი ნამუშევარი, ნიჭი და მეტის ყურადრებით მოვეკიდოთ" – განაცხადა დიმიტრი არაყიშვილმა. დიმიტრი არაყიშვილის სიტყვამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო.

1914 წელს სახალხო კლუბის საბჭომ სულხანიშვილს გამოუყო 400 რუბლი და დაავალა ხალხური სიმღერების ჩაწერა. ნიკომ ფონოგრაფი შეიძინა, შემოიარა თელავის მხარე, ჩაიწერა ხალხური სიმღერები, დავალება პირნათლად შეასრულა. მაგრამ, სამწუხაროდ, ძვირფასი ფონოგრამები მოულოდნელად გაქრა, თუმცა კლუბის საბჭომ ჩაიბარა ისინი და შეინახა ქართულ თეატრში, რომელიც 1914 წელს ცეცხლმა შთანთქა. სავარაუდოდ, ფონოგრამები განადგურდა. ფონოგრაფი კი გადარჩა და ამჟამად ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

ოჯახის რჩენა საკომპოზიტორო შრომით შეუძლებელი იყო მეფის რუსეთის დროს. ამიტომ ნიკო სულხანიშვილი მუდამ გაჭირვებას განიცდიდა.

12 წელი იმუშავა ნიკო სულხანიშვილმა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში გალობის მასწავლებლად. სასწავლებლის ხელმძღვანელებმა პირველი დღიდანვე იგრძნეს მასში უცხო ადამიანი და „საეჭვო პირთა" სიაში შეიყვანეს.

იმჟამად სასულიერო სასწავლებელში სასტიკად იყო აკრძალული საერო სიმღერების სწავლება, მაგრამ ნიკო მაინც ახერხებდა საერო მუსიკის გაკვეთილების ჩატარებას. ამ ნიადაგზე დიდი უსიამოვნება ჰქონდა ადმინისტრაციასთან.

მძიმე ცხოვრება განვლო ნიკო სულხანიშვილმა, მაგრამ ბოლომდე შეინარჩუნა დიდი სიყვარული და რწმენა უკეთესი მომავლისადმი. ამაში ეხმარებოდნენ მეგობრები და ერთ-ერთი მათგანი იყო დავით პავლიაშვილი – მეტად საინტერესო პიროვნება. ის ნაპოლეონს ჰგავდა და მეგობრები ასე უწოდებდნენ კიდეც. ბევრმა არც კი იცოდა მისი ნამდვილი გვარი. პროფესიით ჟურნალისტი და სცენისმოყვარე „ნაპოლეონი" სცენას ემსახურებოდა და თავისი ნიჭით აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი.

დ. პავლიაშვილს დამსახურება მიუძღვის არა მარტო სახალხო სცენის, არამდე ჟურნალისტიკის წინაშეც. მისი წერილები ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული.

დ. პავლიაშვილს, როგორც ბავშვს, ისე უყვარდა ნიკო სულხანიშვილი და მისი ნიჭის აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი იყო. ყოველდღე მის გვერდით იყო. ხშირად სთხოვდა მეგობარს, ემღერა. განსაკუთრებით უყვარდა მას ნიკოს „ურმული", რომელსაც უცრემლოდ ვერ უსმენდა. მის თვალწინ წარმოისახებოდა შინისაკენ მიმავალი გლეხკაცი, რომელიც მიწაზე მძიმე შრომის შემდეგ დაღლილი მიუძღვის ნელ-ნელა ურემს და კამეჩს და დაბალ ხმაზე იწყებს სიმღერას, ღიღინებს.

სულხანიშვილის შესრულებით „ურმული" უბრალო სიმღერა კი არა, არამედ განცდილი ცხოვრებისეული ემოცია იყო. ამიტომ ის ძალიან შთამბეჭდავად ასრულებდა მას.

საინტეერსოა, რომ ნიკო სულხანიშვილმა 1905 წლის რევოლუცია აღფრთოვანებით მიიღო და უძღვნა მას მარში, რომელსაც თელაველებმა, „მარსელიეზას" მიბაძვით, „თელავიეზა" უწოდეს.

ნიკო სულხანიშვილს უყვარდა თეატრი და ერთხელ კიდეც სცადა სცენაზე თამაში. ეს იყო თელავში, სადაც სცენისმოყვარე მეგობრებმა დადგეს დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი". ნიკო დარისპანის როლს ასრულებდა. მაყურებელი გაოცებული იყო იმით, რომ მუდამ კახური კილოთი მოსაუბრე ნიკომ ოსტატურად გადმოსცა დარისპანის იმერული კილო.

ნიკო სულხანიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ლადო მესხიშვილის იუბილეში, რომელიც გაიმართა 1912 წლის თებერვალში. საღამო მიჰყავდა აკაკი წერეთელს, დირიჟორობდა ზაქარია ფალიაშვილი. მილოცვებით და პოეტური საჩუქრებით იუბილარს მიმართეს ქართველმა პოეტებმა: ეროდიონ ევდოშვილმა, იოსებ გრიშაშვილმა, გიორგი ქუჩიშვილმა. „ქართული ფილარმონიული საზოგადოების" გუნდმა იუბილარს უმღერა „სამშობლო", ქართული ამხანაგობის გუნდმა – „დედამ რომ შვილი გაზარდოს, ემაგრე შენისთანაო".

ნიკო სულხანიშვილის გუნდმა გაოცება გამოიწვია ჯერ თავისი უბრალო ჩაცმულობით, ხოლო შემდეგ ოსტატური შესრულებით. ეს იყო ხალხური სიმღერა „მესტვირული" ვაჟა-ფშაველას ლექსზე და სულხანიშვილის „სამშობლო ხევსურისა". დარბაზი ოვაციებით შეხვდა სულხანიშვილის გუნდის ამ შესრულებას. მანამდე ასეთი რამ არასოდეს ღირსებია ქართველ კომპოზიტორს.

ლადო მესხიშვილის საიუბილეო ზეიმს დაემატა ქართული მუსიკის არნახული ზეიმი. საზოგადოებამ

იგრძნო დიდი ხელოვნის მოსვლა სამუსიკო შემოქმედებით სარბიელზე. ეს იყო სულხანიშვილის ტრიუმფი.

ნიკო სულხანიშვილი იყო პირველი კომპოზიტორი, რომელმაც გამოიმუშავა საკუთარი, დამოუკიდებელი მუსიკალური სტილი ქართული ხალხური მუსიკისათვის.

ნიკო სულხანიშვილი იყო არა მარტო პედაგოგი თელავის სასწავლებლისა, არამედ გულშემატკივარი მოღვაწე საკონცერტო საქმისა. თელავი ძალიან უყვარდა, როგორც თავისი მშობლიური კუთხე. აქ ბევრი უმუშავია გუნდებთან, მრავალი მომღერალი გამოუწვრთნია, მრავალი კონცერტი მოუწყვია.

1916 წლის 22 ნოემბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა და თელავის ინტელიგენციამ ეს იუბილე სალიტერატურო საღამოთი აღნიშნა. ამ საღამოს სულისჩამდგმელი იყო ნიკო სულხანიშვილი. მისი ამ საღამოსთვის სპეციალურად დაწერილი მუსიკალური კომპოზიცია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსზე „მერანი“, რომელიც წარმატებით შესრულდა, მაგრამ სამწუხაროდ, დაიკარგა, როგორც სხვა მრავალი.

მაგრამ, ყველაზე დიდი რეზონანსი კახეთში ჰქონდა ილია ჭავჭავაძის საღამოებს, რადგან ის იყო მწერალი, ადამიანი, მოაზროვნე და ტრიბუნი, რომელიც ყველას უყვარდა, მათ შორის ნიკო სულხანიშვილსაც.

თელავში ტრადიციულად, ყოველ წელს, 2 ივლისს, აღნიშნავდნენ ილიაობას, ტარდებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები, რომლებიც გამოხატავდნენ დიდ პატივისცემას მწერლისადმი. ხალხი აღფრთოვანებით ხვდებოდა ამ საღამოებს, შეკრებილ საზოგადოებას არ ჰყოფნიდა დარბაზი.

1913 წლის 5 მაისს თელავში აკურთხეს და შემდეგ გაიხსნა ილიას ძეგლიც. სიტყვით გამოვიდა აკაკი წერეთელი. სულხანიშვილის გუნდმა შეასრულა სიმღერები ი. ჭავჭავაძის ლექსებზე.

ნიკო სულხანიშვილის მუსიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოეზიასთან. ხალხური პოეზია იყო მისი პირველი მუსიკალური შემოქმედების შთამაგონებელი.

„ვეფხისტყაოსანი“ მისი უდიდესი სიყვარულის საგანი იყო მუდამ. დედამ შეაყვარა შოთა რუსთაველი, რომელსაც ბავშვობაში ძველი ქართული რეჩიტატივით უკითხავდა თავის შვილებს ზეპირად.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველად „ვეფხისტყაოსნის“ დეკლამაცია მღერით იცოდნენ, რაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ნიკო სულხანიშვილი იყო პირველი ქართველი კომპოზიტორი, რომელმაც რუსთაველის სტრიქონებს მუსიკალური ფორმა მოუნახა. „მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა“ – ამ სიტყვებით იწყება მისი რომანსი.

შემდგომში ნიკო სულხანიშვილმა დაწერა „ლოცვა“, რომელსაც ავთანდილის ვედრება დაუდო საფუძვლად.

ნიკო სულხანიშვილის ოცნება იყო ოპერის დაწერა.

1890 წელს აკაკი წერეთელმა გამოსცა ცალკე წიგნად დრამატული პოემა „პატარა კახი“. სწორად მაშინ ნიკო სულხანიშვილს დაებადა იდეა, დაეწერა ქართული ოპერა. ამისკენ უბიძგა ევროპული ოპერის მოსმენამ. მაგრამ, მისი აზრით, ქართულ ოპერას საფუძვლად უნდა ედოს ქართული ხალხური შემოქმედება, სადაც ჩვენი ხალხის ტრფიალის, შრომის, მწუხარების, მოლხენისა და გმირობის სიმღერათა მშვენიერებანი გაჟღერდება.

ოპერა „პატარა კახი“ უკვე მზად იყო 1919 წელს, როდესაც ნიკო სულხანიშვილი ტფილისში ჩამოვიდა კაპელას ხელმძღვანელობის მისაღებად და განაცხადა ვ. კოტეტიშვილთან, რომ ოპერის პარტიტურა ჩამოიტანა.

1919 წელს ნიკო სულხანიშვილი გარდაიცვალა. ოპერა „პატარა კახი“ 5 მოქმედებად გარდაცვალების დღეს ბალიშის ქვეშ ჰქონდა ამოდებული. ის უკვალოდ დაიკარგა. ასევე გაქრა მთელი მისი მუსიკალური მემკვიდრეობა, დაიკარგა ორიგინალური საგუნდო სიმღერებისა და რომანსების მთელი წყება, მის მიერ ჩაწერილი და დამუშავებული ხალხური სიმღერები.

ოპერა „პატარა კახი“-დან გადარჩა ორი არია: მწყემსისა – „დაიგვიანეს“ და „პატარა კახისა“ – „ძლივს მარტო დავრჩი“, რომლებიც ნიკოს მეგობრების მეხსიერებით ჩაიწერა ნოტებზე კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა.

და ბოლოს.

1937 წელს გიორგი ნადირაძემ, პოეტმა სიკო ფაშალიშვილმა და მომღერალმა გ. ვარდიაშვილმა დააყენეს საკითხი (გაზეთი „მუშა“, 17.04.37), რათა საქართველოს სახელმწიფო კაპელას მიკუთვნებოდა ნიკო სულხანიშვილის სახელი. ეს განხორციელდა მხოლოდ 1991 წელს.

ნიკო სულხანიშვილის ცხოვრება და შემოქმედება დღესაც საყურადღებოა. მას შეისწავლიან ახალი თაობის მუსიკოსები – ლოტბარები, ფოლკლორისტები, კომპოზიტორები.

* * *

გივი მუნჯიშვილი ნიკო სულხანიშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებელია

საქართველოში ბევრი საინტერესო პიროვნება მოღვაწეობს. ეს ადამიანები იმსახურებენ მათი ნაშრომის დაფასებას და საზოგადოდ წარმოჩენას, რადგან მათ მაგალითზე უნდა აღიზარდონ მომავალი თაობები. მრავალი მათგანი ცოცხალი რგოლია ჩვენი, ქართული ტრადიციების გაგრძელების ისტორიულ ჯაჭვში.

როგორც მკვლევარს, ძალიან მაინტერესებს ასეთი პიროვნებების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა და საზოგადოების წინაშე წარმოჩენა, მათი ღვაწლის შეძლებისდაგვარად დაფასება.

ასეთ გამორჩეულ პიროვნებებს შორის მიმაჩნია

გივი მუნჯიშვილი

ბატონი გივი გრიგოლის ძე მუნჯიშვილი, რომელმაც ცხოვრების დიდი და საინტერესო გზა განვლო და თავისი შემოქმედებით დაიმსახურა საზოგადოებაში დიდი პატივისცემა და სიყვარული.

ნიკო სულხანიშვილის საქმის ღირსეულ გამგრძელებლად მიგვაჩნია გივი მუნჯიშვილი, რომლისთვისაც თელავი ისეთივე მშობლიური ქალაქია, როგორც ნიკო სულხანიშვილისთვის.

1975-2005 წ.წ. წარმატებით ხელმძღვანელობდა ნიკო სულხანიშვილის სახელობის ეროვნულ საგუნდო კაპელას.

მან არა მარტო შეისწავლა ნიკო სულხანიშვილის მუსიკალური მემკვიდრეობა ქართული ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანისა და დამუშავების საქმეში, არამედ მიზნად დაისახა ამ სიმღერების გაჟღერებაც საგუნდო რეპერტუარში.

გივი მუნჯიშვილის ინიციატივით სამჯერ აღინიშნა ნიკო სულხანიშვილის საიუბილეო თარიღები.

2011 წლის 18 მაისს თბილისში, ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში საზეიმოდ აღინიშნა ნიკო სულხანიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავი. საიუბილეო საღამო ლექცია-კონცერტის სახით მიჰყავდა ბატონ გივი მუნჯიშვილს.

2016 წლის 26 მარტს ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში საზეიმოდ აღინიშნა ნიკო სულხანიშვილის დაბადებიდან 145 წელი. ლექცია-კონცერტს უძღვებოდა გივი მუნჯიშვილი, რომელმაც ძალიან საინტერესოდ წარმოაჩინა ნიკო სულხანიშვილის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე ქართული ხალხური მუსიკის განვითარების საქმეში და მისი საკომპოზიტორო მოღვაწეობა.

ამ ორ საიუბილეო საღამოზე გაჟღერდა საქართველოს ცნობილი საგუნდო კოლექტივების მიერ შესრულებული ქართული ჰანგები, რომელთა შორის იყო ნიკო სულხანიშვილის ნაწარმოებები: „მო, ზუალო“ (რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“), „დაიგვიანეს“, „ტურფავ, მოდი“ (სიტყვები დ. მაჩხანელის, ორანჟირება – გ. მუნჯიშვილის), „დიდება ივერსა“ (ლექსი სიკო ფაშალიშვილის), „სამშობლო ხევსურისა“ (სიტყვები რ. ერისთავის), „მესტვირული“ (ლექსი აკაკი წერეთლისა), „ღმერთო, ღმერთო“, „მაშ გამარჯვება“ (სიტყვები ს. ფაშალიშვილის), „გუთნური“ (სიტყვები ი. ჭავჭავაძის).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქების ღირსნი არიან აგრეთვე ზემოაღნიშნული ორი საიუბილეო საღამოს მონაწილე საგუნდო კოლექტივები. ესენი არიან: თელავის ქალთა კამერული გუნდი „კახეთის ჰანგები“ (ხელმძღვანელი პავლე დემურიშვილი), სიონის ტაძრის ვაჟთა გუნდი (ხელმძღვანელი – ლაშა ზაალიშვილი), გორის ქალთა კამერული გუნდი (დირიჟორი – თეონა ცირამუა), ანსამბლი „რუსთავი“ (ხელმძღვანელი – ანზორ ერქომაიშვილი), ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური გუნდის დირიჟორობის მიმართულების მაგისტრატურის გუნდი (ხელმძღვანელი – შალვა მოსიძე, არჩილ უშვერიძე). ამ გუნდებში შემავალი წევრები მათ ხელმძღვანელებთან ერთად ღირსეულად აგრძელებენ ჩვენს ეროვნულ სასიმღერო ტრადიციებს და არიან ნიკო სულხანიშვილის საქმის გამგრძელებლები.

გივი მუნჯიშვილის ინიციატივით, 2021 წლის 28 ნოემბერს მის მშობლიურ თელავში აღინიშნა ნიკო სულხანიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი.

მნიშვნელოვანია ამ შესანიშნავი პიროვნების ღვაწლი ერის წინაშე. ამიტომ ჩაფიქრებული მაქვს მასზე მონოგრაფიის შექმნა.

ვფიქრობ, რომ მკითხველისათვის საინტერესო იქნებოდა გაეცნოს ჩვენი შემოქმედებითი მოღვაწეობის ორ ეპიზოდს.

ეპიზოდი 1.

ეს ამბავი 2010 წლის გაზაფხულზე მოხდა. ბატონ გივი მუნჯიშვილის ინიციატივით თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხელმძღვანელობამ (რექტორი – მანანა დიოჯაშვილი) გადაწყვიტა განეხორციელებინა გეგმა სამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით:

ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის დაბადებიდან – 150,

იოსებ რატილის დაბადებიდან – 170,

ქართული ხოროს დაარსებიდან – 125

წლისთავთან დაკავშირებით.

ამ გეგმით დაისახა ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება: კონსერვატორიის დიდ დარბაზში ლექცია-კონცერტი, რომელიც მოამზადა და ჩაატარა კონსერვატორიის პროფესორმა გივი მუნჯიშვილმა და აღნიაშვილისა და რატილის ხსოვნისადმი პატივის მიგება კუკიის სასაფლაოზე.

ლადო აღნიაშვილის საფლავი იქვე, პანთეონში იყო, ხოლო რატილის საფლავი ვერ მოინახა. მისი საფლავის ადგილი იცოდა მხოლოდ ამ სტრიქონების ავტორმა, რომელსაც ეს საფლავი აჩვენა რატილის შვილთაშვილმა მარგარიტამ.

ჩემს მშობლიურ რუსთავში მცხოვრები, ცნობილი პიანისტის, ნუნუ ჭელიძის დახმარებით გივი

მუნჯიშვილი დამიკავშირდა და მთხოვა მეჩვენებინა რატილის საფლავი.

გივი მუნჯიშვილს სურდა ამ საფლავის გადატანა პანთეონში, რათა მისი ნახვის და პატივის მიგების მსურველებისთვის ეს აღარ ყოფილიყო პრობლემატური. კონსერვატორიამ გამოყო ფინანსები ამისთვის, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ არ გათხრილიყო საფლავი და ლადო აღნიაშვილის საფლავის მახლობლად გაკეთებულიყო საფლავის ქვა შესაბამისი წარწერით (მათ შორის, ჩეხურ ენაზეც), რაც გაკეთდა საიუბილეოდ. ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა გივი მუნჯიშვილმა, და მისი დამსახურებაა, რომ იოზეფ რატილის საფლავის ქვა აღარ დაიკარგება, თავისი ადგილი დაიმკვიდრა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ იოზეფ რატილის საფლავის რკინის გალავანში დასაფლავებულია აგრეთვე მისი მეუღლე – მარია სვობოდა და სადღაც მარჯვენა კუთხეში კი ამ სტრიქონების ავტორის მოგვარე (ვფიქრობ, აღნიაშვილის გუნდის ლოტბარი რატილისა და ბალანჩივაძის შემდეგ – ალექსანდრე (საშა) ბერიძე. თურმე მისმა შვილთაშვილმა დაასაფლავა თავისი მამა, ნებართვა კი არავისგან აუღია. უფრო მეტიც. იმ ადგილიდან დაიკარგა ყვითელი მარმარილოს ქვა, რომელზეც ოქროს ასოებით ეწერა იოზეფ რატილის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები. ამ ისტორიული მნიშვნელობის საფლავზე ასეთი ვანდალური აქტის ჩადენის უფლება არავის ჰქონდა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ საფლავზე რკინის გალავანიც მოხსნილია და საფლავის მიგნებაც ძნელია.

როცა ამის შესახებ გავიგე, მოვთხოვე რატილის შვილთაშვილს – მარგარიტას იმ ჩემი მოგვარის ტელეფონი, რათა გამერკვია:

1. რა უფლებით დაასაფლავა მან გალავანში თავისი მამა?
2. სად წაიღო ის ძვირფასი ისტორიული მარმარილოს ქვა წარწერით?
3. რატომ მოხსნა რკინის გალავანი საფლავს, რამაც ხელი შეგვიშალა ამ საფლავის მიგნებაში?

მაგრამ მარგარიტამ თქვა, რომ მას დაემუქრნენ, თუ ამ ამბავს სადმე იტყოდა, ამიტომ ტელეფონიც არ მომცა. სამწუხაროდ, ეს ამბავი ისევ გაურკვეველია, რაზეც საქმის კურსში ჩავაყენე სათანადო პირები.

უნდა აღინიშნოს, რომ ლადო აღნიაშვილისა და იოზეფ რატილის საფლავებზე მათ დაბადებისა და გარდაცვალების დღეებში, მათ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, ყოველთვის ყვავილებით ავდივართ, ვუხდით პანაშვიდს, სრულდება საეკლესიო წირვა-ლოცვა, ჟღერს საგალობლები, ვანთებთ სანთლებს მათი სულის მოსახსენებლად. აღნიაშვილის საზოგადოების აქტიური წევრები, ამ საზოგადოების წარმომადგენლები.

ეპიზოდი 2.

ეს იყო 2010 წლის 19 ოქტომბერს. გამომცემლობა „საქართველოს მაცნეში“ დაიბეჭდა ჩემი მონოგრაფია „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“. იმ დღეს ტირაჟი უნდა გამომეტანა. მეორე დღეს კი, 20 ოქტომბერს, გივი მუნჯიშვილი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ატარებდა ლექცია-კონცერტს, რომელიც მიძღვნილი იყო ზემოაღნიშნული იუბილეებისადმი.

მონოგრაფიის მთელი ტირაჟი ბატონი გივი მუნჯიშვილის დახმარებით გამოვიტანეთ გამომცემლობიდან და პირდაპირ კონსერვატორიისკენ გავეშურეთ.

ასე მოხდა მონოგრაფიის პირველი პრეზენტაცია.

მახსოვს, როცა გივი მუნჯიშვილმა მაღლა აწია ჩემი ზემოაღნიშნული წიგნი და წარმოთქვა: „აი, ნაშრომი, რომელსაც ჩვენ დიდ ხანია ველოდით!“, მთელი დარბაზი სავსე იყო ხალხით, რომელიც ტაშის გრიალით მიესალმა წიგნის პრეზენტაციას. რა დამავიწყებს ამ სასიხარულო წუთებს!

ასეც მოხდა. წიგნი დაფინანსდა კულტურის სამინისტროს მიერ. მაგრამ არც ერთი წიგნი არ გაყიდულა, ისე დარიგდა.

ახლა კი თვალი მივადევნოთ გივი მუნჯიშვილის ცხოვრების ეტაპებს.

გივი გრიგოლის ძე მუნჯიშვილი დაიბადა 1937 წლის 30 სექტემბერს მოსამსახურის ოჯახში (მამა რკინიგზაში მუშაობდა, დედა კი – ანა გაბაშვილი – პედაგოგი იყო).

1944 წელს შევიდა თელავის 1 ვაჟთა სკოლაში (დირექტორი – ნოე დავითაძე). კარგად ახსოვს და თბილად აგონდება თავისი მასწავლებლები – ნოე გურგენიძე, მარიამ გაჩეჩილაძე და დავით გეგელიძე.

მისი პირველი მასწავლებელი იყო თამარ თვალიაშვილი – უნიჭიერესი პედაგოგი, მხატვარი და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომელიც სახლში იბარებდა მოსწავლეებს, ასწავლიდა სიმღერას, ხატვას (თელავში ჩაეყარა საფუძველი გივი მუნჯიშვილის ინტერესებს, უნარ-ჩვევებს, მიდრეკილებებს). კარგად ახსოვს ბატონ გივის თამარ მასწავლებლის მეუღლეც – ისტორიკოსი მიხეილ ცაკაშვილი, რომელმაც ისტორია შეაყვარა.

სამუდამოდ დაამახსოვრდა პატარა გივის ალაზნის ველი და კავკასიონი, რომელიც კლასის სარკმელიდან მოჩანდა, რომანტიკულად განაწყობდა ყმაწვილს, უღვივებდა სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულს.

გივი მუნჯიშვილს ეამაყება, რომ დაიბადა და აღიზარდა ქალაქ თელავში. ის ამაყობს მისი ისტორიული, კულტურული და ფოლკლორული ტრადიციებით.

მეცხრე კლასის დამთავრების შემდეგ დეიდამ – ეკატერინე ფერშანგიშვილმა, რომელიც იყო მუსიკის მასწავლებელი, ჩამოიყვანა გივი თბილისში გიორგი ხახანაშვილთან საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გამგესთან და ნიჭიერთა ათწლედის საგუნდო კაპელის დამაარსებელთან (1947). მას მოეწონა გივი და

მისცა რეკომენდაცია მუსიკალურ ათწლედში ჩასაბარებლად.

1954 წელს მშობლებმა თბილისში ჩამოიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად მუსიკალური განხრით. ის ბავშვობიდან მღეროდა, ჰქონდა აბსოლუტური სმენა, მაგრამ მუსიკალური განათლება არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ოჯახმა გადაწყვიტა: შეეყვანა შვილი მუსიკალურ ათწლედში, რომლის დირექტორი მაშინ იყო გივი სვანიძე.

გამოცდების წინ ის მიიყვანეს ცნობილ გიორგი ხახანაშვილთან, რომელმაც გაუსინჯა სმენა, ამღერა და დაიბარა გამოცდაზე, რომელზეც გივი მუნჯიშვილმა შეასრულა მელიტონ ბალანჩივაძის „ოდესაც გიცქერ“. შესრულება მოეწონა მიმღებ კომისიას, მაგრამ დირექტორმა გააფრთხილა, რომ 6 თვეში უნდა შეესწავლა ნოტები და მუსიკის ელემენტარული თეორია, თორემ დააბრუნებდნენ უკან, სახლში. ეს გამოწვევა გივი მუნჯიშვილმა მიიღო, როგორც ბრძანებდა დღე და ღამე შრომობდა, რათა ნდობა გაემართლებინა. პირობაც ბრწყინვალედ, ღირსეულად შეასრულა.

იმ წელიწადს მუსიკალურ ათწლედში მიიღეს 5 ბავშვი, აქედან 3 თელაველი იყო: გივი მუნჯიშვილი, რამაზ ქარუხნიშვილი და შალვა დავიდოვი.

არდადეგებზე, თელავში ჩამოსვლისას, გივი მუნჯიშვილი ისმენდა ძველ ფირფიტებზე ჩანაწერებს და აგროვებდა მათ, თუმცა ბავშვობიდან ნაზიარები იყო სანდრო და მიხეილ კავსაძეების მიერ ნამღერ ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერებს, რომლებიც ზეპირად იცოდა 1 წლისა და 8 თვიდან. მუდამ ღიღინებდა ამ საყვარელ ხალხურ სიმღერებს. ეს განპირობებული იყო მშობლების დიდი სიყვარულით ძველი, თბილისური ქალაქური სიმღერებით, რომლებიც ქართულ ტრადიციულ ოჯახებში მუდამ ჟღერდა.

3 წელიწადში სამუსიკო სასწავლებლიდან გივი მუნჯიშვილმა უფლება მიიღო კონსერვატორიაში ჩაებარებინა გამოცდები 1957 წელს და წარმატებით დაამთავრა 1962 წელს. იმ პერიოდში კონსერვატორიის რექტორი იყო იონა ირაკლის ძე ტუსკია – ცნობილი მევიოლინე და კომპოზიტორი. გივი მუნჯიშვილი მადლიერებით იგონებს კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში თავის მასწავლებლებს, ლექტორებს: მუსიკის თეორიას ასწავლიდა ქეთევან თუმანიშვილი, ფორტეპიანოს – ეთერ ბაგრატიონი, სოლფეჯიოს – გიორგი კაპანაძე, ჰარმონიას – ბორის გულისაშვილი, დირიჟორობას – გიორგი ხანანაშვილი.

1963 წელს ვახტანგ ფალიაშვილი საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის გამგეა თბილისის კონსერვატორიაში და პედაგოგად იწვევს გივი მუნჯიშვილს. მანამდე, 1961 წელს, ვ. ფალიაშვილი მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიმფონიური ორკესტრის დირიჟორად. მან თან წაიყვანა ასისტენტად გივი მუნჯიშვილი. იქ დაიდგა 1962 წელს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, რომელსაც დირიჟორობდა ვ. ფალიაშვილი, ხოლო 1962 წლის 29 ივნისს ეს საპატიო მისია დაეკისრა გივი მუნჯიშვილს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს სპექტაკლი იმავე წლის შემოდგომაზე დაიდგა მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნივერსიტეტებს შორის „მემორანდუმის“ საფუძველზე. იდირიჟორა გივი მუნჯიშვილმა თავის მასწავლებელთან – ცნობილ დირიჟორ – ალექსანდრ გაუკთან ერთად. სპექტაკლი, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებით შესრულდა და მაღალი შეფასებები მიიღო, რაზეც მეტყველებს იმდროინდელი პრესა.

1965 წელს გივი მუნჯიშვილმა სწავლა დაუსწრებლად განაგრძო თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სიმფონიური დირიჟორობის კლასში ოდისეი დიმიტრიადის ხელმძღვანელობით, რომელიც 1967 წელს გადავიდა მოსკოვის კონსერვატორიაში და მიიწვიეს დიდ თეატრში დირიჟორად.

1968 წელს ოდისეი დიმიტრიადიმ მოსკოვში გადაიყვანა გივი მუნჯიშვილი, რომელმაც სწავლა განაგრძო მოსკოვის კონსერვატორიაში სიმფონიური და საოპერო დირიჟორობის კათედრაზე.

1970 წელს დაასრულა სწავლა მოსკოვის კონსერვატორიაში და გივი მუნჯიშვილი დაბრუნდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პედაგოგად. ის მიიწვიეს აგრეთვე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მთავარ ქორმეისტერად და დირიჟორად, სადაც მან 1970-1974 წლებში უდირიჟორა 5 სპექტაკლს: ბიზეს „კარმენი“ (დებიუტი), მასკანის „სოფლის პატიოსნება“, თაქთაქიშვილის „მინდია“, ფალიაშვილის „აბესალომი და ეთერი“ და „დაისი“.

საქართველოს მთავრობამ გივი მუნჯიშვილს დაუფასა შრომა: დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მას მიენიჭა სახალხო არტისტის წოდება (1984), არის თელავის საპატიო მოქალაქე.

2017 წელს დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით მას მიენიჭა „ხელოვნების ქურუმის“ საპატიო წოდება.

გივი მუნჯიშვილი დღესაც მწყობრშია ხელოვნების სამსახურში. 1963 წლიდან დღემდე მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, არის პროფესორი-ემერეტუსი, ნ. სულხანიშვილის სახელობის ეროვნული საგუნდო კაპელას საპატიო კონსულტანტი.



12 ნოემბერს, თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის წინ, ცნობილი კომპოზიტორის, დირიჟორისა და ლოტბარის, გივი მუნჯიშვილის ვარსკვლავი გაიხსნა.

ISSN 1512-3995

 ISSN 1512-3995